სარჯიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 13 აპრილი 2000 №68 (1090) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი

შესარჩევი ეტაპი

საქართველო 88
რუსეთი 82

სლოვენიასაც თუ მოვუგეთ...

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე გუშინ პირველად იმარჯვეს ქართველმა ჭაბუკებმა. რუს თანატოლთა ძლევით ჩვენებურებმა წინა დღეს მასპინძელ ფრანგთაგან მიყენებული წყენაც გაიქარვეს, სატურნირო მდგომარეობაც გაიუმჯობესეს და, ცხადია, გულშემატკივარსაც ჩაუსახეს იმედი. რომ არა წუხანდელი მოგება, მიზნის მიღწევაც ერთიორად ძნელი გახდებოდა, იქნებ, წერტილიც დასმოდა ყველაფერს...

ჭაბუკთა მთავარ მწვრთნელ ნიკო ჩერქეზიშვილისგან არცთუ ძლიერ მეტოქედ შერაცხული რუსთა ნაკრები, შეიძლება ითქვას, კერკეტი კაკალი აღმოჩნდა. ტაიმი ქართველებმა ერთი ქულით დათმეს, შეხვედრის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე მოწინააღმდეგს 8 ქულითაც ჩამორჩებოდნენ, თუმც ბოლოსკენ მაინც იძალეს.

მწვრთნელის თქმით, ჩვენი გუნდიდან ძალიან უყოჩაღია ბაბიაშვილს, რომელიც თავისიანთ 23 ქულით შეეწია. ჩერქეზიშვილმა ცქიტიშვილიც აქო (16 ქულა) და ფაჩულიაც (17). განსაკუთრებით კი კოტე ტუღუშს ემადლიერებოდა (17).

გუშინვე ფრანგებმა დამაჯერებელი ანგარიშით 77.ᲡᲐ დაამარცხეს პოლონელები.

მეორე გამარჯვება მიითვალა სლოვენიის ნაკრებმაც, რომელმაც ასევე შთამბეჭდავად — 89:73 მოუგო თურქეთს.

დღეს ქართველი კალათბურთელები სწორედ სლოვენიელებს დაუპირისპირდებიან. ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ თუ მოვიგეთ, ჩათვალეთ, ფინალში ვართო, გვითხრა გუშინ ნიკო ჩერქეზიშვილმა.

REUTERS მილანიდან

ასე დაასრულა თამაში ექვისი წუთის წინ მოედანზე შესულმა საბრალო რონალდომ

რონალდო დაბრუნდა... საავადმყოფოში

იტალიის თასის პირველ ფინალურ მატჩში „ლაციომ“ „ინტერს“ 2:1 მოუგო. თავიდან კლარენს ზეედორფის გოლმა სტუმრები დააწინაურა, მაგრამ პაველ ნედვედის და დიეგო სიმეონეს ზუსტმა დარტყმებმა საბოლოოდ რომაელებს მოაგებინა. თუმცა თავად თამაში და მისი შედეგი წუხელ ერთმა დრამატულმა ამბავმა დაჩრდილა: რონალდო დაშავდა! ნაოპერაციევი და ფეხბურთის ოთხი თვით ჩამოცილებული ბრაზილიელი ვარსკვლავი მოედანს სულ ექვსი წუთით დაუბრუნდა და მეტოქის საჯარიმო მოედნის კიდესთან დაენარცხა. ახლოს მდგომმა ორმა რომაელმა მცველმა მყისვე ექიმი მიიხმო. ადგილობრივი წამლობა სულ სამ წუთს გაგრძელდა და... რა მოხდა მერე, სურათზე ხედავთ.

ᲛᲝᲐᲛᲝᲠᲔᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ!

გუშინ ქართული ფეხბურთის შესახებ იმსჯელეს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, თედო ისაკაძის მისაღებში. სხდომა დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა, მასში ოცამდე ქართული ფეხბურთის გადამრჩენი მონაწილეობდა და შსს-ს, კონტროლის პალატის, ქონების მართვის სამინისტროს, სფფ-ს, გულშემატკივართა, პროკურატურის, ვეტერანთა, ადვოკატთა კოლეგიის წარმომადგენელთა ბაგეთაგან არაერთხელ გაისმა ჩვენთვის „ამოდ სასმენი“ „დინამო“ — „მრეტების“, „დინამო“ — TBC ბანკის, სტადიონის, 28 მილიონის (და ასე...) საკითხების შესახებ.

გარე (ჟურნალისტები მხოლოდ ვუსმენდით) თვალი უკეთ ხედავს და ამ ვერსიის საფუძველზე ერთს ვიტყვი — ეს მუშა სხდომა გაცილებით „მუშა“ იყო, ვიდრე ადრინდელები, კომისიაც გაცილებით ჭრელი გახლავთ, სადაც იურისპრუდენტ და კანცელარიის ჩინოსნებთან ერთად კოლორიტული ქართველი გულშემატკივრებიც — გოგი დემეტრაძე და ვაჟა კიკნაძე ირიცხებიან.

იხილეთ მეორე გვერდი

ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲒᲐᲘᲢᲐᲜ-ᲒᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ

AP ფრაიბურგიდან

ფრაიბურგი — ბაიერნი 1:2. მიუნხენელ პაულუ სერჟიოს ქართველი ლევან კობიაშვილი მეურვეობს

ᲐᲗᲙᲐᲪᲘᲐᲜ ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘᲡ ᲤᲠᲐᲘᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲛᲒᲐᲨᲘ ᲛᲡᲐᲯᲘ ᲨᲔᲛᲔᲨᲕᲔᲚᲐ

„ბაიერნის“ კარში გოლი შევაგდე — ეჭვი არაა, ამ წინადადებას განსაკუთრებული სიამაყით ამბობდნენ, ამბობენ და იტყვიან. შესაძლოა, ბევრისთვის ეს კარიერის ყველაზე სასიამოვნოდ მოსაგონარი მოშენტიც იყოს. ვიშედოვნებთ, ქართველ ნახევარმცველს, ლევან კობიაშვილს კიდევ უფრო საამაყო წუთებიც ელის, მაგრამ მას უკვე შეუძლია კმაყოფილმა თქვას: „ბაიერნის“ კარში გოლი შევაგდე.

წუხელ, „ფრაიბურგისა“ და „ბაიერნის“ შეხვედრაში ანგარიში ოსტატური საჯარიმო დარტყმით ლევან კობიაშვილმა გახსნა. ერთ-ერთ ეპიზოდში ბურთი გოლცის კარის ხაზიდანაც გამოიტანა. საერთოდაც, ლევანმა, ისევე როგორც მეორე ფრაიბურგელმა ქართველმა, ალექსანდრე იაშვილმა, თელი შეხვედრა კარგად ჩაატარა, მაგრამ მიუნხენის გუნდმა მოიგო.

მართალია, სტუმრებს გამარჯვებაში ნაწილობრივ მსაჯის დაბნეულობამაც შეუწყო ხელი — მან ორ თუ სამ საკვანძო ეპიზოდში „ბაიერნის“ სასარგებლოდ დაუსტვინა ან არ დაუსტვინა — თუმცა არც იმის დაუნახავობა იქნება, რომ დიდი მატჩებით დატვირთულმა და გუშინდელი შეხვედრის დასაწყისშივე გაძევებულ სამუელ კუფურის გარეშე დარჩენილმა ბავარიელებმა სასურველ შედეგს ძალთა მინიმალური ხარჯვით მიაღწიეს. არაობიექტური მსაჯობით გაგულისებულმა „ფრაიბურგის“ ერთ-ერთმა ქოშაგმა მატჩის მიწურულს ოლივერ კანს თავში ბოთლი მოარტყა. სამშეცვლაგამოყენებული „ბაიერნის“ კაპიტანს, შტეფან ეფენბერგს უკვე მეკარის ფორმა გადაეცვა, კანმა თამაში რომ გააგრძელა.

თამაშის მერე კი კარსუკანა ტრიბუნას გასისხლულ საფეთქელთან თითიც უტრიალა.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

ხმა მისალეგთან:
მოაშორეთ სპორტს ასათიანი!

კანცელარიაში გუშინდელი სხდომისას

ბადრი კეთილაძის ფოტო

დასაწყისი პირველ გვერდზე

სხდომის სრული სურათის აღწერისთვის მასზე გამოტანილი საკითხებიც შეუქმნის მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას — 1. თბილისის „დინამოს“ შესახებ 2. სტადიონის შესახებ 3. ქართული ფეხბურთის გადარჩენის შესახებ.

ამ ყოველივემ ერთი „სტალინური“ ანეგდოტიც შეიძლება გაგვახსენოს — სოფლის კრებაზე ორი საკითხი რომ დასვეს: 1. ავაშენოთ სოფლის კლუბი და 2. ავაშენოთ კომუნიზმი. კრებაზე გამოდის თავმჯდომარე და ამბობს — ვინაიდან კლუბის ასაშენებლად არა გვაქვს მასალა, გადავიდეთ პირდაპირ კომუნიზმის მშენებლობაზეო. ყოველი ანეკდოტი თავისთავად სიბრძნეს შეიცავს და ვინაიდან: ვერ მოგვარდა „დინამო“ — „მრეტების“ საქმე! ვერ მოგვარდა „TBC ბანკის საქმე“! ვერ მოგვარდა „სტადიონის საქმე“! აზრზე არ არიან, სად წავიდა „ის 28 მილიონი“...

ავდგეთ და პირდაპირ ქართული ფეხბურთი გადავარჩინოთ (ა, ძმაო, განაჩენი)!

მანამდე კი (სანამ ქართული ფეხბურთი გადაგვირჩენია) ერთხელაც გავცვეთ ქართული ფეხბურთის ხლართულებს და ერთხელაც გავიხენოთ უახლესი ქართული ისტორიის (საფეხბურთოსი — კ.გ.) უმნიშვნელოვანესი რამერუმეები.

პირველად იყო დინამო

პირველად მართლა „დინამო“ იყო. დედაქალაქური კლუბი ოდითგან სრულიად ქართული ფეხბურთის სახე გახლდათ, მილიონების (დიიაახ!) კერპი და სიხარული. მეც ასე მეგონა (პირველად).

მერე... მერე „დინამო“ შაგრენის ტყავი უფრო მეგონა. დაპატარავდა და დაპატარავდა.

ახლა... ახლა „დინამო“ უჩინმაჩინი მგონია. თურმე არ არსებობს, ფააფუ „დინამო“. იურიდიული (ხელახალი) რეგისტრაცია არ გაუვლიაო და... საქართველოს ჰყავს ჩემპიონი (ათგზის), რომელიც არ არსებობს. საქმეა ახლა ეს? ეშველება რამე „დინამოს“?

სხდომაზე თქვეს, კიო, ეშველებაო, ოღონდ ლოკალურად არა და გლობალურად შევხედოთ საქმესო. „დინამო“ რას მიქვია, „გურია“ „ჭ“ ლიგაში ბოლო ადგილზეაო, მარტო „დინამოს“ კარგად ყოფნით ჩვენ ფეხბურთს არაფერი ეშველებაო. ყოველგვარი ირონიის გარეშე მსურს, გითხრათ, რომ ასეცაა. დაძირული „გურია“ ისეთივე ტკივილია ჩვენი ფეხბურთისა, როგორიც დასაძირი „დინამო“.

უბედურება ისაა, რომ ჩვენს ფეხბურთში ისტორიას და სკანდალებს თავად ფეხბურთი არა, პიროვნებები ქმნიან და პიროვნებათშორის ომებს (არც მოლად ცივილიზებული გაგებით) ქართული ფეხბურთის ინტერესები ეწირება. სხდომაზე მონაწილეებმა არაერთი სახამუშო ინფორმაცია მიაწოდეს სახელმწიფო მინისტრს — მრეტების, ღონდტის, TBC-ბანკში დაგირავებული დიღმის ბაზის და სხვა ასეთები, მაგრამ...

ბატონმა ისაკაძემ ასეთი რამ იკითხა — თუ „დინამო“ არ არსებობს, პასუხი ვის უნდა მოეთხოვოსო?

სხვები რომ გაჩუმდნენ, ისევ შსსა და ადვოკატთა კოლეგიის წარმომადგენლებმა „დააკვალიანეს“ სახელმწიფო მინისტრის მოადგილე — ჯერ სასამართლოს მივმართოთ, იმათ დავადგენინოთ „დინამოს“ ყოფნა-არყოფნა და ამის შემდეგღა შეგვეძლება ვინმეს პასუხი მოვთხოვოთო.

„დინამოს“ საკითხმა ს.კ. „დინამოსა“ და ს.ს. „დინამოს“ შორის დაპირისპირებაც გააჟღერა სხდომაზე — მისი არსი, რა თქმა უნდა, არათანაბარი წილები და ბანკში უკანონოდ დაგირავებული დიღმის ბაზა გახლდათ.

დიღმის ბაზა ს.ს. „დინამოს“, იგივე შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილება ყოფილა, კლუბ „დინამოს“ მესვეურებმა კი აიღეს და სხვისი ქონება დაავირავესო, ითქვა სახელმწიფო მინისტრის მისაღებში. რა ხანია TBC-ბანკი თავისას ითხოვს, გირაოს გასტუმრება კი დღემდე ვერ მოხერხდა და არც ის არის ცნობილი, როდის მიიღებს TBC-ბანკი კუთვნილ 302 ათას დოლარს.

ახლა პრივილეგიებზეც. სხდომაზე გარკვეულ პირთაგან დაიგმო „დინამოსადმი“ მინიჭებული უპირატესობანი (პრეზიდენტის შეცდომა!) გადასახადებიდან განთავისუფლებულმა „დინამოს“ მესვეურებმა შემოიტანეს სიგარეტი, გაატარეს საბაჟო და გაყიდეს. სწორედ ამ მარტივი სავაჭრო ოპერაციის შემდეგ დააკისრეს „დინამოს“ მესვეურებს 28 მილიონი ლარის გადახდა. მერე დიდების სასამართლომ განიხილა ეს ვერდიქტი და გაამართლა ს.კ. „დინამოს“ მესვეურები, რასაც თავის მხრივ უზენაესი სასამართლო არ დეთანხმა, გააუქმა დიდების სასამართლოს განაჩენი, გადასცა ვაკისას და ახლა იქაურ გადაწყვეტილებას ელიან. მკითხველმა რომ ადვილად აღიქვას ეს სასამართლო აბრაკადაბრა, პირობითად, ციფრების საშუალებით ავუხსნით იმ მარტივ ბუღალტერიას, რაც ს.კ. „დინამოს“ ბიზნესს ედო საფუძვლად — წესით, „დინამოს“ უნდა შემოეტანა „LM“-ის (ვთქთათ) მარკის სიგარეტი 40 თეთრად, გაეტარებინა საბაჟო, სახელმწიფო მას დაარიცხავდა (კანონის თანახმად) 137 პროცენტს. სიგარეტის ფასი გაიზრდებოდა 40-დან 85 თეთრამდე (ვთქვათ) ბიზნესმენები გაყიდნენ 90 თეთრად, (40 თეთრი შესყიდვა — ტრანსპორტირება, 45 თეთრი დღგ და ასე შემდეგ, დანარჩენი 5 თეთრი სუფთა მოგება) და ამ ოპერაციების შემდეგ კმაყოფილი იქნებოდა გამყიდველი (40 თეთრს მიიღებდა), სახელმწიფო (45 თეთრი ბიუჯეტში შევიდოდა) და ბიზნესმენი (5 თეთრი მოგება დარჩებოდა). ს.კ. „დინამოს“ მესვეურები ასე არ მოქცეულან, მათ გვერდი „აუარა“ 137-პროცენტიანმა დანარიცხმა და რაკი საბაჟოსგან ხელი არ შეშლიათ, 90 თეთრად გასაყიდი სიგარეტი 45 თეთრად გაყიდეს.

როგორც მოგახსენეთ, ციფრები პირობითია, მაგრამ საქმის არსი ოპერაციაშია და აქ ციფრები ბევრს არას ნიშნავს. ის ოცდარვა მილიონის ზარალი კი (რომელსაც „დინამოს“ სთხოვენ) სწორედ 45 თეთრსა (როგორც გაიყიდა) და 90 თეთრს (როგორც უნდა გაყიდულიყო) შორის სხვაობამ მისცა სახელმწიფოს.

გამოსავალი? ამაზეც თქვეს სხდომის მონაწილეებმა — ყველაზე მისაღებ ვერსიად ჯერჯერობით შემდეგი მიაჩნიათ — გადაიქცეს ს.კ. „დინამო“ (თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით) სააქციო საზოგადოებად, რეალურად გადანაწილდეს წილები და ამის შემდეგ მაინც მართონ გუნდის საქმე ნორმალურად. დაველოდოთ სასამართლოს ვერდიქტს, ბოლოს და ბოლოს საქმეს ნათელს მოჰფენენ და მერე ჩვენც ვიმყვით ჩვენსასო — ერთსულოვანნი იყვნენ სხდომის მონაწილეები.

ფილიმონ თეთრი ყვავი

გეხსომებათ, რევაზ მიშველაძის ნოველას ჰქვია ასე. ერთი მუშაკაცი რაიკომის ბიუროში თუ რაღაც ასეთში შეიყვანეს, ალაპარაკებდნენ სიმართლეს და მერე მაინც თავისებურად ჭრიდნენ. დაახლოებით ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა გულშემატკივართა კლუბ „მუშთაიდის“ პრეზიდენტი ვაჟა კიკნაძე, რომელმაც ჩვეულებისამებრ ემოციის ჭარბი დოზა გაურია თავის სიტყვას და არც აცივა, არც აცხელა — კახი ასათიანი სპორტს მოაშორეთო — მოითხოვა — კახი ასათიანი ბუმბერაზი ფეხბურთელი იყო, შესახედავადაც სასიამოვნო კაცია, გავუშვათ სადმე ელჩად იტალიაში, არგენტინაში, ოღონდ სპორტს ჩამოვაშოროთ.

ყველა სპორტული კონფორნტაციის მიზეზი ეს კაცია. ეტყობა, თარგამაძეს (შს მინისტრს) მაგის სიმაღლე კამერები არა აქვს, თორემ აქამდე დაიჭერდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, კახი ასათიანი სათაყვანებელი ფეხბურთელი გახლდათ, მაგრამ როგორც ჩანოსანი, ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია.

ამის მთქმელს შეკაზმული ცხენი რომ სჭირდება, ეს სხდომაზეც იცოდნენ და ცოტა არ იყოს, სერიოზულად მიანიშნეს გულშემატკივართა პრეზიდენტს ამაზე. ვაჟა კიკნაძე თავის გამოსვლისას ძირითადად საგაზეთო მასალებს ეყრდნობოდა. მან პეტრიაშვილის ქუჩაზე მშენებარე რომელიღაც სასახლის ქსეროასლი აჩვენა თანაწევრებს და ამისი პატრონიც ასათიანიაო, განაცხადა.

ამაზე კი სერიოზულად გაუბრაზდნენ ბატონ ვაჟას გვერდით მსხდომები — ეს ის სახლი არ არის, მაგას ასათიანი არ აშენებსო. ვერაფერს გეტყვით, სად სახლი, სად ფეხბურთი, მაგრამ...

ისეთი კარგი სახლი იყო (ქსეროასლზეც კი) მასში დახარჯული ფულით ბარე ორ სტადიონს მოაშშენიერებდი.

სტადიონი, ტუალეტი თუ დეზერტირების ბაზარი?

ამ სხდომაზეც გაიჟღერა ეროვნული სტადიონის შესახებ. ითქვა, რომ სტადიონი დიდ 75-ათასიანი ტუალეტად გადაიქცა, რომ იქაურობა პირდაპირ წალეკეს ჯიხურებმა და სხვა საბაზრო ნაგებობებმა, რომ „ეროვნული“ მალე თავზე დაგვენგრევა, მინდორიც აღარ ვარგა და ამისთანები.

ეს ხომ ისედაც ვიცით. ვიცით ყველაფერი, ვიცით, რომ უეფამ დაგვიწუნა ერთ დროს ჩვენი ფეხბურთის სავანე, წმინდა ადგილი და ახლა იქ ბევრად მეტ განავალს (უკაცრავად) ნახავს კაცი, ვიდრე მაყურებელს.

სავაჭრო ჯიხურები და ავეჯის მაღაზიები კი ზუსტად ისე აშშვენებს ეროვნულ სტადიონს, როგორც შერონ სტოუნის საჯდომს ძირმაგარები.

ჰო, საჯდომზე გამახსენდა, თურმე პლასტმასის ინდივიდუალური სკამების დამატებას აღარ აპირებს მავანი სტადიონის არსთა გამრიგე, მაინც აღარ დადის ხალხი ფეხბურთზეო. ამ გადაწყვეტილებას ვიცე-პრემიერთან შეთანხმების გარეშე სიბრძნეს ვუწუნებთ.

დაახლოებით ეს იყო. კიდევ ითქვა რაღაც-რაღაცეები ვიცე-პრემიერის მისაღებში, მაგრამ მოსახდენი მაინც შემდგომში უნდა მოხდეს.

მაშინ, როცა დამსწრეების სტატუსით ს.კ. „დინამოსა“ და სფფ-ს წარმომადგენლებს მოიწვევენ და თავად კომისიის წევრებიც სამუშაო ჯგუფებს შექმნიან (ცალ-ცალკე, ასე მოუწოდეს).

იმედია, ამ ხუთწლედში მაინც ეშველება ხსენებულ საკითხებს.

თედო ისაკაძეზე კი რა უნდა ვთქვათ, სახეზე ეტყობოდა კაცს, რომ ქართული ფეხბურთი საჩუქარი არ არის.

კონსტანტინე გოგიშვილი

ვაჟა კიკნაძე და მურთაზ მნათობიშვილი

თედო ისაკაძე და მიხეილ ჯოჯუა

ბადრი კეთილაძის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჰ, ტრანსფერი ათასფერი

გუშინ, სახელმწიფო მინისტრის მოადგილის მისაღებში ასეთი ინფორმაცია გაისმა — თბილისის „დინამოდან“ გასხვისებულია 110 ფეხბურთელი, აქედან ოფიციალურად შემოსავალი მხოლოდ რვა ფეხბურთელის ტრანსფერიდან მიუღია კლუბს. უბრალო არითმეტიკის ამბავია 110-8=102, ანუ 102 ფეხბურთელი (ექვსი სრული გუნდი) დაკარგულა (როგორც ასეთი).

დაკარგულა კლუბისთვისაც და ქართული ფეხბურთისთვისაც.

დაკარგულა ის შრომა, რომელიც საფეხბურთო სკოლამ დახარჯა ფეხბურთელის აღზრდაზე, წყალს წაუღია გუნდის, მწვრთნელის ამაგი, საერთოდ ჩვენი შინაური ფეხბურთის ამაგი წაუღია წყალს. ერთი გუნდისთვის 102 ძალიან ბევრია, თანაც 5-6 წლის განმავალობაში. იხუმრეს კიდეც — მიიყვანენ დიღმის ბაზაზე ფეხბურთელს, პირს დაბანენ, „დინამოში“ ერთხელ დააყენებენ და მერე ყიდიანო.

ყიდიანო? როდესაც რაიმეს ყიდიან, უკუგება უნდა ჩანდეს. 110-ში 102-ჯერ არა სჩანს. და ეს ძალიან ბევრია.

მარტო „დინამო“ არ არის ასეთ დღეში. სხვა გუნდებიც იგივე პოლიტიკას ადგანან. ის კი არა, ერთი ქართული გუნდის პრეზიდენტს ესეც უთქვამს — ცოტაც მაცადეთ და სეზონს ჩავამთავრებთ თუ არა, ჩავსხამ ჩემს ბიჭებს ავტობუსში და ჰაიდა, უკრაინაშიო...

მთელ გუნდსო, კაცო!

ჩვენი ფეხბურთის არსთა გამრიგეები კი — ასაკზე ცენზიო, საფეხბურთო სკოლების კუთვნილი კომპენსაციაო, ქართული ფეხბურთის მომავალიო...

ჯერჯერობით სიტყვად რჩება ყველაფერი.

„დინამო“ წლების მანძილზე რჩება ქართული ფეხბურთის ფლაგმანად და რახან ინტერესის საგანსაც სხვებზე მეტად ის წარმოადგენს, ამიტომაცაა ცნობილი იმ 102 „დაკარგულის“ შესახებ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სხვა გუნდების სამზარეულოში ცალი თვალით ჩახედვაც საკმარისი იქნება, რათა ის 102 202 ანაც 302 გახდეს.

აქედან გამომდინარე, არარენტაბელურნი არიან ჩვენი საფეხბურთო კლუბები...

აქედან გამომდინარე, არარენტაბელურია მთლიანად ქართული ფეხბურთი.

სამწუხაროდ და ჯერჯერობით კი არც ისე ცნობილი ვართ, რომელიღაც ტელეკომპანიამ ხელშეკრულება დაუდოს ჩვენს ფეხბურთელს, არც სხვა სპონსორული არხები გვიჩანს ჰორიზონტზე და ...

მიდის ჰეე, ქართული ფეხბურთი, უკან-უკან მიდის.

ზემოთ თქმული ზოგადი სურათია ჩვენი საგუნდო მოწყობისა, ქართველი საფეხბურთო საქმოსნების მიერ გატარებული პოლიტიკისა. ეს შეუიარაღებელი თვალით მოსჩანს ასე, თორემ...

პირადად მე არც ისე მიამიტი ვარ ქართულ სატრანსფერო ნუსხებში ჩამოწიკწიკებულ „განათხოვრებულია-უკომპენსაციოდ-გათავისუფლებულია“-ს დავუჯერო.

სახელმწიფოსთვის (გულშემატკივრისთვის, ჩასაფრებული ხალხისთვის) ფულის დამალვის უამრავი ფაქტი არსებობს და ეტყობა ერთ-ერთი სწორედ „განათხოვრებულია-უკომპენსაციოდ-გათავისუფლებულია“ გახლავთ.

ცნობილი ამბავია, საფეხბურთო პრეზიდენტებს ჯერ ფული უყვართ, მერე ფეხბურთი. ჰოდა, როცა კაცი ამ არეულ დროსა და არეულ ქვეყანაში საფეხბურთო ბიზნესში ფულის ჩადებას რისკავს, ფაქტობრივად წინასწარაა განწირული.

იმ შემთხვევაში თუ კანონს „ბოლომდე“ დაემორჩილა.

ქართული კანონები ხომ იმ ავ სუტენიორს გვანან, მასთან მომუშავე მეძავს რომ ჯერ მუშაობით სიკვა გააცლის, მერე მთელ ფულს სულივით ამოაძრობს და ბოლოს ქუჩაში მოისვრის.

ბევრი ვინმე უმსხვერპლია (ეკონომიკური გაგებით) „მათ დიდებულება ქართულ კანონებს“. ჰოდა, პრეზიდენტებსაც რაღა გზა აქვთ, კონტრილეთებს იგონებენ-ხოლმე.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ქართული გუნდების არსთა გამრიგეები ერთიანად მამა აბრამის ფარიდან გახლავან მორეკილები. მათაც გააჩნიათ (მეტ-ნაკლებად) თავიანთი სისუსტეები, მაგრამ როცა კანონი „თეთრად გარჯის“ საშუალებას არ გაძლევს, იძულებული ხარ სხვა გზები ეძებო და აქედან მოდის ის სატრანსფერო კომბინაციები, რომელზედაც ცოტა ზევით გვქონდა საუბარი.

საერთოდ, როცა პრეზიდენტი საფეხბურთო გუნდში ფულის დაბანდებას გადაწყვეტს, მას სამი ძირითადი ბილიკი აქვს ასარჩევი — 1. მოიზიდოს (გააცოცხლოს) „შავი ფული“ და ამ ფულის ნაწილით არჩინოს გუნდი. 2. გუნდი შეინახოს ტრანსფერების მეშვეობით. 3. გათვალოს დროზე, ეყოს ნერვები და აქციოს გუნდი შემოსავლიან მექანიზმად (დაელოდოს წმინდა საფეხბურთო ამონაგებს — რეკლამა+ტრანსფერები+სპონსორული თანხები).

ამათგან მესამე თავიდანვე უნდა გამოვრიცხოთ. ქართული საფეხბურთო ინფრასტრუქტურისთვის „წმინდა საფეხბურთო ამონაგებები“ ნამეტნავად უცხო ხილია და ასეთი გუნდი ისე გამოჩნდება ჩვენს კლუბებს შორის, როგორც ოთხი გედი ყვავთა საკრებულოში.

„შავ ფულზე“ ახლა მსოფლიო ფეხბურთი ლაპარაკობს, ეს ცნება „შავ ჭირადაა“ ქცეული და ჩვენისთანა დაფეხვილი ქვეყანა კი არა, ესპანეთი და იტალია ვერ აუვიდა (ბევრჯერ) ამ ჭირს. და ერთიცაა, „შავი ფულის“ მფლობელები არც აგრე ენდობიან ჩვენს ფეხბურთს — ამისთვის კაზინო-ბენზინგასამართი სადგურებიც მრავლად არსებობს.

და რჩება ყველაზე ნაკალი და ნაცადი გზა — გაზარდე, გაყიდე, ისევ გაზარდე, ისევ გაყიდე.

ჯერჯერობით ამ პოლიტიკის გარდა სხვა უკეთესი ვერაფერი მოუფიქრებიათ ჩვენში. უბედურება იმაშია, რომ იზრდება რაოდენობა, მცირდება ხარისხი (ჩვენი ფეხბურთელების ოსტატობისა), ის კაპიკებიც აღარ ხმარდება (თუნდაც ადრინდელივით) ფეხბურთს და...

„დინამოს“ რომ ხელფასების გადახდა გაუჭირდება, სხვას რა უნდა მოსთხოვო კაცმა. არავინ იცის, როდემდე გაგრძელდება ასე, რამდენი ფეხბურთელი წავა „უკომპენსაციოდ“ საქართველოდან, მაგრამ აქამდე წასულების შესახებ რაღაც-რაღაცეების მოძიება ნამდვილად შეიძლება.

და ეს კონტროლის პალატას გადაულოცეს ვიცე-პრემიერის მისაღებში.

ვნახოთ რა და როგორ იქნება. სიტყვა კონტროლის პალატაზეა.

კონსტანტინე გოგიშვილი

მიხეილ აშვეთია: ერთ-ერთი გასხვისებულთაგანი

ზურაბ ბათიაშვილი



მურთაზ ხურცილავა

ბადრი კეთილაძის ფოტოები

საფრანგეთი ქართველთა ოაზისი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირიდან დაბრუნდა. მურთაზ ხურცილავას შეგირდებმა ხუთი მატჩი გამართეს. მოუგეს ალჟირის, დანიის და ბრაზილიის გუნდებს, ნახევარფინალში ხორვატებთან დამარცხდნენ — მეტოქემ უკეთ შეასრულა მატჩისშემდგომი თერმომეტმეტრიანების სერია და მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ისევ ალჟირელებს ხვდებოდა. ოღონდ ამჯერად ქართველებს პენალტების სერიაში გაუღიმათ ბედმა, მატჩის ძირითადი დრო კი ფრედ 0:0 დასრულდა. ამ ტურნირით ხურცილავას ნაკრებმა ფაქტობრივად მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მზადება დაიწყო და, როგორც ჩანს, ნაკრების თავკაცი ერთობ კმაყოფილიცაა, რაშიც საფრანგეთიდან დაბრუნებული მთავარი მწვრთნელის „სარბიელისთვის“ მიცემული მცირე ინტერვიუც დაგარწმუნებთ.

ერთიც, ორი დღის წინა „სარბიელში“ ვწერდით, ფედერაციაში არ იციან, ახალგაზრდულმა ნაკრებმა სენტ ჟან დე ლუზის ტურნირის მატჩები რა ანგარიშებით დაამთავრა, შინ როდის დაბრუნდებიან და საერთოდ, მარჩიელობენო. ფაქტია, ორშაბათს ფედერაციაში ზუსტი პასუხი ნამდვილად ვერ მივიღეთ, მაგრამ ერთს დავაზუსტებთ, ჩვენი გულისწყრომა ფედერაციის საინფორმაციო კომიტეტს არ ეხებოდა.

— საფრანგეთში ბრწყინვალედ ორგანიზებულ ტურნირზე ვიყავით. გვქონდა საუცხოო, ენით აუწერელი პირობები. ჯერ მარტო იქაური მოედნების ნახვა რად ღირდა. სწორი კვება, ჩინებულ ვითარებაში ვარჯიში, გუნდიც თითოეულ მატჩზე შემართული და მობილიზებული გადიოდა. პირველ შეხვედრაში 3:0 ვძლიეთ ალჟირს, მომდევნო ორ მატჩში კი ერთნაირი ანგარიშით — 1:0 დავამარცხეთ დანიელები და ბრაზილიელები. განსაკუთრებით ბრაზილიელებთან გამარჯვებამ გამახარა, მაგრამ ყველაზე უკეთესად მაინც ხორვატებთან ნახევარფინალურ მატჩში ითამაშებს ბიჭებმა. მაინც არ გაგვიმართლა, ბევრი საგოლე მომენტი გავაცუდეთ და საბოლოოდ ფრეს (1:1) დავჯერდით, პენალტების სერიაში კი მეტოქემ იმარჯვა. სხვათა შორის, გამორჩევით მომეწონა ეს გუნდი. მეტ-ნაკლებად თანაბარი ნაკრებები დაკომპლექტებულ ამ ტურნირზე ხორვატებმა მაინც სხვებზე უკეთესი შთაბეჭდილება დამიტოვეს... გამარჯვებით დაწყებული საქმე კი გამარჯვებით დავასრულეთ და ჩვენსავით ნახევარფინალში დამარცხებულ ალჟირელებს ისევ მოვუგეთ, თუმც პენალტების სერიაში.

— ამ ტურნირმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის ნაკრების ძირითადი ბირთვი თუ გამოკვეთა?

— ძირითადი ბირთვის ჩამოყალიბებაზე ჯერ ნაადრევია საუბარი. სასაფრანგეთოდ მოთამაშეთა ფართო არჩევანი არც მქონია. მოგეხსენებათ, თითქმის წამყვანი ლეგიონერების გარეშე გავემგზავრეთ ტურნირზე, ძირითადად ჩვენს პირველობაზე მოთამაშე ფეხბურთელები წავიყვანეთ. თანაც ტურნირის რეგლამენტი 1980 წელს და მის შემდგომ დაბადებულთა თამაშს ითვალისწინებდა და ამიტომ საშუალება არ მქონდა, 1979 წელს დაბადებული ფეხბურთელები გამომეცადა. მაგრამ არაფერია, ამ ტურნირმა ბევრრამ შეგვძინა, კარგ განწყობაზეც დაგვაყენა და მუშაობასაც მეტი შემართებით გავაგრძელებთ.

— თქვენი გუნდისგან ვინმეს თუ გამოყოფდით?

— გამიჭირდება ამის გაკეთება. მთლიანობაში ყველამ კარგად ითამაშა და მათი მადლობელი ვარ.

— ახალგაზრდული ნაკრების სამომავლო გეგმები როგორია?

— 26 აპრილს ეროვნულ ნაკრებთან ერთად სომხეთში გავემგზავრებით. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, მეზობელ თანატოლებთან ამხანაგურ მატჩში გამოვცდით ძალას.

მოკლედ ასე, ახალგაზრდულ ნაკრებში ყველა კმაყოფილია. მართალია, მურთაზ ხურცილავამ თავისი გუნდიდან ვერავინ გამოარჩია, მაგრამ ჩვენ მაინც ნაკრების მეკარეს ზურაბ ბათიაშვილს გამოვყოფთ. 5 მატჩში ერთი გოლის გამშვებმა მეკარემ მესამე ადგილისთვის მატჩში პატარა სასწაული მოახდინა და მატჩის შემდგომ პენალტების სერიაში ოთხი დარტყმის მოგერიება შეძლო. მეხუთე თერმომეტმერიანი კი აღარ დაურტყამთ ალჟირელებს, ქართველებმა პენალტების სერიისთვის უცნაური ანგარიშით 2:0-ით უწიეს საპატიო საპრიზო ადგილს. სენტ ჟან დე ლუზის (სწორედ ამ პატარა ქალაქში ჩატარდა ტურნირი) თასი კი ბოლივიელებმა იოგუნეს, ფინალში მათ დამატებით დროში ოქროს გოლი გაუტანეს ხორვატებს.

პაატა კვანტალიანი

ლევან გვაზავას მოგება არ აცალეს

სამშაბათს „სარბიელის“ ლეგიონერთა გვერდში ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხვდა ორი ჩემპიონატის — მოლდოვასა და უკრაინის ორი მატჩის ტექნიკური მონაცემები, რასაც დღეს ვასწორებთ.

მოლდოვაში მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა ლეონერმა ტირასპოლის „შერიფმა“, რომელმაც კიშინიოვის „კონსტრუქტორულს“ შინ ვერ მოუგო. ამ შეხვედრის ძირითადში ორმა ქართველმა — დათო მუჯირმა და ვაჟა თანხნიშვილმა — ითამაშა. თამაზ პერტია 57-ე წუთზე შეცვალეს, რევაზიშვილი კი ისევ არ გამოჩენილა. „შერიფის“ წაფორხილებით მდევარმა „ზიმბრუმ“ ისარგებლა. თუმცა „რომასთან“ მატჩი თავიდან სხვაგვარად წარიმართა. კიშინიოველთა ძირითადში პირველად ითამაშა ექსხობელმა ლევან გვაზავამ და დებიუტს მოგებითაც აღნიშნავდა, მაგრამ „რომამ“ მსაჯი ტენდენციურობაში დადანაშაულა და მოედანი ვადამდე ადრე დატოვა. ამ თამაშის შესახებ გადაწყვეტილებას ფედერაცია გუშინ მიიღო — სტუმრებს მოგება ჩაუთვალა. „შერიფს“ უფრო ნაკლებად გაუმართლა თასზე, მან „მოლდგაზი“ მიიღო და 1:1 ეთამაშა. ტირასპოლელები იოლ გამარჯვებას ელოდნენ და ამიტომაც წამყვანი ფეხბურთელები — მუჯირი და როგაჩოვი თავიდან დასვენეს. შემდეგ წრეში სტუმრები გავიდნენ, რაკი პირველი მატჩი 0:0 დასრულდა.

რაც შეეხება უკრაინას, ტერნოპოლის „ნივამ“ ექვსი ქართველით მოუგო მარიუპოლის „მეტალურგს“ — 2:1 გადამწყვეტი გოლი ტარიელ კაპანაძემ თავისივე ძმის, ავთანდილის პასით გაიტანა. ისინი ძირითადში იყვნენ გვიანიძესთან ერთად. დგებუაძემ 65 წუთი ითამაშა და იგი ავთო სიხარულიძემ შეცვალა, ჩომახიძე კი ბოლო 15 წუთით გამოჩნდა მინდორზე.

კიევის ცსკა-ს რიგებში ამ ტურშიც არ უთამაშია ვიტალი დარასელიას.

სიმონ მენაბდე

საქართველოს ჩემპიონატი
მეორე ეტაპი
6 ტური
ალიოსანი

ერთხელ სიჩუმეც დაირღვევა

ბათუმელი პაატა მაჭუტაძე (№9) და ვიტელი გიორგი ყიფიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადრი კეთილაძის ფოტო

ჩვენ ვიყავით არჩევნებზე? არ ვიცი, უფრო სწორად, ვერ გეტყვით, სად ვიყავით და სად — არა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების გამო საქართველოს საფეხურთო ჩემპიონატში ორკვირიანი იძულებითი შესვენება იყო გამოცხადებული.

ძნელი სათქმელია, ვინ როგორ გამოიყენა ის ორი კვირა, ან გამოიყენა კი საერთოდ?! ამას და ბევრ სხვა რამესაც ეროვნული ჩემპიონატის მეექვსე ტური გვიჩვენებს.

ბურთაობა დღეს „ლოკომოტივ“ — „მერანის“ მატჩით განახლდება და რახან მათ უძლიერესთა მარაქაში არაფერი ესაქმებათ, მოდით, ჯერ ლიგაში დამრჩენ-გასავარდნთა ამბები მოვილიოთ და მერე იმათზე მოგითხრობთ, მუდამ ევროსარბიელი რომ ესიზმრებათ.

მაშ ასე, „ლოკომოტივი“ „მერანის“ წინააღმდეგ. „ბ“ ზონაში ვინმეზე თუ ითქმის, თავი ქუდში აქვთო, ეს ორი გუნდია. გავარდნა არც ერთს ემუქრება, ამიტომ დაპირისპირების სტიმულად ორი რამ გაუხდიათ — ერთი ისაა, მეტოქე წინ არ გაუშვან და გათამაშების ცხრილში საფეხურით უკან ჩამოიტოვონ, მეორე კი მოგებისთვის დაწესებული პრემიებია. ჩვენს დღევანდელ ყოფაში ზედმეტი ლარები აბა, ვის აწყენს.

ამაზე ფიქრში, არ არის გამორიცხული, თამაში ფრედ დამთავრდეს, რაც მაინცდამაინც გულს არც ერთს დასწყვეტს. გააჩნია, ფრისთვის ვის რამდენი ერგება. ეგ არის და ეგ, სხვა მხრივ არაფერი დაშავდება.

წყალტუბოში „სამგურალი“ ხობელების დამარცხებას შეეცდება და მგონია, გამოუვა კიდეც, მაგრამ გამარჯვება უშველის კი სამგურალელთა წამხდარ საქმეს?! ყოველ შემთხვევაში, გადარჩენის შანსი ორმაგდება.

„ხობისა“ კი რა მოგახსენოთ, გუნდს, რომელსაც ხელში ერთადერთი კოზირი ეჭირა (საშინაო მატჩების საკუთარ მინდორზე თამაში) და ისიც ქარს გაატანა, ბევრის ღირსიც არ არის. მაინც იბრძვიან ხობელები, თავს არ ზოგავენ, თუმც ამ საქმიდან ჯერჯერობით არაფერი გამოდის და, ალბათ, ვერც გამოვა.

მცხეთაში საინტერესო მატჩია. თსუ და „გორდა“ ის გუნდები არიან, რომლებიც სხვებზე მეტად ინარჩუნებენ (იმსახურებენ) ლიგაში დარჩენის შანსს, თუმც ეს თითქმის არაფერს ნიშნავს, ამიტომ დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი.

თსუ-ს „გორდასთან“ თავისი ანგარიშები აქვს გასასწორებელი. სტუდენტებს კარგად ახსოვთ, საუკეთესოებში მოხვედრის ბოლო იმედი სწორედ რუსთავში რომ დაკარგეს, ამიტომ ხვალ კომპრომისი გამორიცხულია.

„გორდას“ ბედი კი სამი კაცის გარჯასა და მონდომებაზე ჰკიდია. თუ კი- ლასონიები და ბურნაძე თამაშის იშტაზე იქნებიან, მაშინ კაციას შეგირდებს ბევრი სანერვიულო ექნებათ, არადა...

ავლაბარში ყველაფერი თითქმის ნათელია. „არსენალის“ მოთამაშეები ახალი შფოთის მოწყობას აპირებენ, მიზეზი კი ძველია — გაუცემელი ხელფასები.

ჩემპიონატის მეორე ეტაპის წინ შეკოწიწებულ „არსენალს“ ჯონი ჯანელიძე კი არა, სასწაულიც ვერ უშველის. ეს იმიტომ, რომ კლუბში ხელის (გნებავთ თავისა და ფეხის) გამტოკებელიც არავინაა.

თითქმის იგივე დღეშია „თბილისიც“. ფაქტობრივად უსახსროდ მოთამაშე გუნდისგან სიურპრიზებიც არ არის მოსალოდნელი. მან შეიძლება მოუგოს „არსენალს“, მაგრამ ვერაფრით დაამარცხებს „ლოკომოტივს“, „მერანს“ თსუ-ს და „გორდას“. რას ვიზამთ, ასეთია ღვთის ანაბარა დატოვებული გუნდის ბედი.

თუ ვინმეს „ბ“ ზონის მატჩებზე დასწრების სურვილი მაინც გაგიჩნდებათ, მაშინ გირჩევდით, მცხეთის „არმაზს“ მიაკითხოთ. სხვას თუ არაფერს, ფეხბურთისმაგვარს მაინც იხილავთ.

„ა“ ზონაში კი ყველას თავისი სატკივარი გასჩენია. უფრო მართლები ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ რვიდან ხუთს დღე და ღამე არ სძინავს. მათ სულ საპრიზო ადგილები და ევროთასები ელანდებათ, ხოლო სამისთვის ყველაფერი სულერთია.

ანაც რა უნდა ჰქონდეთ თავში საცემი გორის „დილას“, ბოლნისის „სიონს“ და სამტრედიის „იბერიას“. მათ არსად გავარდნა არ ემუქრებათ და არც ევროსარბიელი აბოდებთ. არიან წყნარად თავიანთთვის, მოუნდებათ და გზადაგზა ვინმეს გაამწარებენ, არადა, სამი ქულაც გუდაში და ინებეთ, ბატონო, ხელს გააყოლეთ სულ მუქთად.

სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ ხვალ სამტრედიაში „კოლხეთი“ მოიგებს. ფოთელებს ჰაერივით სჭირდებათ სამი ქულა. თუ ეს მოახერხეს, მაშინ საევროპო თვითმფრინავი ოდნავ მოახლოვდება. „იბერიასთან“ ფრეს და წაგებას ერთი ფასი ეძლევა და თუ მსგავსი შედეგი დაფიქსირდა, მაშინ ფოთელებს საღლაც დიდი შეცდომა დაუშვიათ.

ბათუმში მეტად პრინციპული მატჩია, სასიცოცხლო ორივე გუნდისთვის. ჩემპიონატის პირველმა ეტაპმა ვერ გასცა კითხვას პასუხი — „ბათუმი“ სჯობს „ვიტ ჯორჯიას“ თუ პირიქით. ზღვისპირელთა და ვეტერინართა ორივე დაპირისპირება უგოლო ფრით დამთავრდა.

ხვალ ფრე თითქმის წარმოუდგენელია. არც მასპინძელს აძლევს ხელს და არც სტუმრის წისქვილზე ასხამს წყალს, ამიტომ გუნდები მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

„ბათუმის“ იტალიელი თავკაცი სამშობლოში იმყოფებოდა პირადი პრობლემების მოსაგვარებლად და უკან ახალი დაბრუნებულია. კარნევალი ყველაფერს გააკეთებდა, რომ მისი არყოფნით შექმნილი დანაკლისი ამ ორ დღეში შეევსო. თანაც იტალიელს „სკუდეტოს“ სუნი ეცა და ახლა უკან არაფერზე დაიხევს.

თავის მხრივ, „ვიტ ჯორჯიაც“ მწყობრად ემზადებოდა ურთულესი მატჩისთვის. ვეტერინარებს საფრანგეთში მივლენილი ახალგაზრდული ნაკრების წევრებიც დაუბრუნდნენ და ბათუმში დღეს დილით გაემგზავრნენ, რათა საპასუხისმგებლო მატჩის წინ დასვენება და ძალების სრულად აღდგენა მოასწრონ.

ტრავმები არავის აწუხებს, არც დისკვალიფიცირებულია ვინმე და ვნახოთ, ვინ — ვის, ხვალ გამოჩნდება.

ქუთაისში „ტორპედო“, ალბათ, არ გაიმეორებს პირველ ეტაპზე დაშვებულ შეცდომას და „დილას“ ქულას არ გამოატანს. მართალია, ყიფიანი, გუნდის ორ წამყვან მოთამაშეს, იონანიძეს და ხვადაგიანს (სამი გაფრთხილების გამო) ვერ დაიხმარს, მაგრამ „ტორპედომ“ უმათოდაც უნდა მოიგოს, რადგან „დილა“ არ ჰგავს ორჯერ სენსაციის მომხდენ გუნდს. ისე, არც არაფერში სჭირდება.

„ტორპედომ“ რომ ვერ მოიგოს? მაშინ ქუთაისში სკანდალი გარდაუვალია, რომელიც ჩემპიონობასთან ერთად ბევრ სხვასაც გადაიყოლიებს.

„დინამოს“ სხვა გამოსავალი არა აქვს, „სიონს“ უნდა მოუგოს. პრობლემებმოძალებული ჩემპიონი ბოლნისელებს მთლად კარგ ხასიათზე ვერ დაუხვდება, მაგრამ ერთი ნათელია, „დინამომ“ ნავსი გატეხა, როგორც იქნა, გოლის გატანა მოახერხა და იგივეს გამეორებას ხვალაც ეცდება. ყოველ შემთხვევაში, კორლალიძის გუნდს უკან დასახევი გზა არც დარჩენია.

„სიონს“ რაღა? ბევრიც არაფერი. ბოლნისელებს ადრეც ბევრჯერ უცდიათ, მაგრამ რაღაც ვერ ვიხსენებ მატჩს, სადაც მათ დინამოელთა გაწბილება შეძლეს. არადა, „სიონს“ ამის სურვილი ჰკლავს და თბილისშიც ამიტომ მოდის. ვნახოთ, იქნებ ახლა გამოუვიდეს.

ესეც ასე, ბევრი ვთქვით და დავწერეთ, ერთი ამდენიც შეგნებულად შემოვინახეთ, რადგანაც ყველაფერი არც ითქმება და არც იწერება (ზოგჯერ დუმილიც საჭიროა). დანარჩენი მერე იყოს, როცა სიჩუმე დაირღვევა.

მამუკა კვანტალიანი

შარშანდელი „სიონი“ — „დინამო“. თავიდან ბოლნისელებმა გაიტანეს, მაგრამ მერე...

გადრი კეთილაძის ფოტო

«ა» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ტორპედო	5	3	1	1	13:5	8	28	3	2	1	0	8:1	7	7	2	1	0	1	5:4	1	3
2 ბათუმი	5	4	1	0	12:1	11	26	3	3	0	0	11:1	10	9	2	1	1	0	1:0	1	4
3 დინამო	5	1	4	0	2:0	2	24	3	1	2	0	2:0	2	5	2	0	2	0	0:0	0	2
4 ვიტ ჯორჯია	5	3	2	0	4:1	3	23	3	2	1	0	3:1	2	7	2	1	1	0	1:0	0	4
5 კოლხეთი	5	1	2	2	4:5	-1	18	2	1	1	0	3:1	2	4	3	0	1	2	1:4	-3	1
6 სიონი	5	2	0	3	7:9	-2	17	3	2	0	1	7:5	2	6	2	0	0	2	0:4	-4	0
7 იბერია	5	1	0	4	2:15	-13	12	2	1	0	1	2:2	0	3	3	0	0	3	0:13	-13	0
8 დილა	5	0	0	5	4:12	-8	10	1	0	0	1	0:1	-1	0	4	0	0	4	4:11	-7	0

«ბ» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
9 ლოკომოტივი	5	4	1	0	7:1	6	22	3	2	1	0	5:1	4	7	2	2	0	0	2:0	2	6
10 მერანი	5	4	1	0	5:1	4	21	2	1	1	0	1:0	1	4	3	3	0	0	4:1	3	9
11 გორდა	5	3	1	1	8:2	6	18	2	2	0	0	4:0	4	6	3	1	1	1	4:2	2	4
12 თსუ	5	3	0	2	5:2	3	17	3	2	0	1	3:1	2	6	2	1	0	1	2:1	1	3
13 სამგურალი	5	1	1	3	3:4	-1	10	2	1	0	1	2:1	1	3	3	0	1	2	1:3	-2	1
14 თბილისი	5	1	0	4	3:6	-3	10	3	1	0	2	3:2	1	3	2	0	0	2	0:4	-4	0
15 ხობი	5	1	0	4	4:12	-8	8	2	1	0	1	3:3	0	3	3	0	0	3	1:9	-8	0
16 არსენალი	5	1	0	4	3:10	-7	8	3	1	0	2	2:7	-5	3	2	0	0	2	1:3	-2	0

ბომბარდირები

18 - იონანიძე	ტორპედო
12 - აშვეთია	დინამო
ალექსიძე	დინამო
11 - ვ. კილასონია	გორდა
10 - ზ. ქორიძე	ვიტ ჯორჯია
9 - ქებაძე	ლოკომოტივი
8 - ხორგუაშვილი	დილა
მეგრელაძე	ტორპედო
7 - ლ. ფელქაძე	ვიტ ჯორჯია
წიტაიშვილი	დინამო
რუსია	ლოკომოტივი
ა. მუჯირი	ბათუმი
დ. ჯანაშია	ტორპედო

«ა» ზონა

ბათუმი. „დინამო“. 14 აპრილი. 16 საათი

ბათუმი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ზ. ჯვარიძე, ვ. ჩოჩიშვილი (ორივე თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

სამტრედია. „ეროსი მანჯგალაძე“. 14 აპრილი. 16 საათი

იბერია — კოლხეთი

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

ქუთაისი. „ტორპედო“. 14 აპრილი. 16 საათი

ტორპედო — დილა

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი
დისკვალიფიცირებულნი: იონანიძე, ხვადაგიანი(ტორპედო)

თბილისი. „დინამო“. 14 აპრილი. 16 საათი

დინამო — სიონი

მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

«ბ» ზონა

თბილისი. „ეროვნული“. 13 აპრილი. 16 საათი

ლოკომოტივი — მერანი

მსაჯები: ა. შილაკაძე; ი. შალამბერიძე (ორივე თბილისი), ა. შალამბერიძე (ქუთაისი; ი. კახიანი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნში
დისკვალიფიცირებულნი: ივანიშვილი (მერანი)

მცხეთა. „არმაზი“. 14 აპრილი. 16 საათი

თსუ — გორდა

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: ინწკირველი (თსუ)

წყალტუბო. „26 მაისი“. 14 აპრილი. 16 საათი

სამგურალი — ხობი

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა), ო. ხეცაძე (თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია
დისკვალიფიცირებულნი: ფრანგიშვილი (სამგურალი), ზაზა აიანადი (ხობი)

თბილისი. „ისანი“. 14 აპრილი. 16 საათი

არსენალი — თბილისი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ურუშაძე; ა. შილაკაძე (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

მარგალიტების მაღაზია

პერლა



კოსტავას 47

ახალიც ძველ გზაზე

თბილისის არსენალს ისევ უფულობა აწუხებს

არ იქნა და არა, თბილისის „არსენალს“ საშველი მაინც არ დაადგა. კლუბი ფინანსური კრიზისიდან კვლავ ვერ გამოვიდა. საქმე ისეა, შესაძლოა უახლოეს ხანში ავლაბრელებმა მინდორზე გასვლაც იუარონ.

დიდი ხანია, უჭირს „არსენალს“. ეს გუნდი მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობისას უპატრონოდ დარჩა. თავდაცვის სამინისტრომ ფეხბურთელებს ზურგი აქცია. გუნდს პრეზიდენტი ჯონი ფირცხალაიშვილი და მთავარი მწვრთნელი დავით ჩახავაც განუდგნენ. „არსენალი“ ყველამ ბედის ანაბარა მიაგდო.

თამაშზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დებულების თანახმად, კლუბი ჩემპიონატიდან იხსნება. ალბათ, ასეც მოხდებოდა, „არსენალს“ მშველელი რომ არ გამოსჩენოდა. ეს მისია გუნდის მწვრთნელებმა — მამუკა გეგეჭკორმა და მერაბ თევზაძემ იკისრეს. მათ ფეხბურთელები დაიყოლიეს, ჩემპიონატში თამაში გაეგრძელებინათ. არც ხელფასი, არც პრემია, თუმცა „არსენალი“ მაინც გადიოდა მოედანზე. პირველი ეტაპიც ჩამთავრდა. მერე არდადეგები დაიწყო. იანვრის შუა რიცხვებში კი გუნდმა მზადება განაგრძო. მართალია, პატრონ-გამკითხავი არავინ იყო, მაგრამ იყო იმედი. იმედი იმისა, რომ ვიღაც გამოჩნდებოდა. გამოჩნდა კიდეც. „არსენალში“ ახალი ხალხი მივიდა. მთავარი მწვრთნელის პოსტი ქართულ საფეხბურთო სამყაროში კარგად ცნობილმა ჯონი ჯანელიძემ დაიკავა, კლუბის რჩენა კი კერძო ბიზნესმენმა მერაბ შუკაკიძემ ითავა. თუმცა ფეხბურთელები თავიდანვე გააფრთხილეს — პრემიას ჩემპიონატის შემდეგ მიიღებთ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებას მოახერხებთო. ხელფასი კი დაპირებისამებრ დროულად დარიგდებოდა.

როგორც ყოველთვის და ყველგან, „არსენალშიც“ ახალი მწვრთნელის მისვლას გუნდის შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები მოჰყვა. ექსარმიული კლუბი („არსენალს“ არმიული მხოლოდ სახელი შემორჩა) რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა, ისინი კი ათმა ახალმა მოთამაშემ შეცვალა. ჯანელიძეც საქმეს შეუდგა, მაგრამ...

ახლა „არსენალს“ გავარდნისგან სასწაული თუ უშველის. ჯანელიძემ მოშლილი, ფსიქოლოგიურად დათრგუნული ფეხბურთელების მომზადება ვერ მოასწრო. შედეგიც შესაბამისი მოიმკო: საწყის ოთხ ტურში ოთხი მარცხი. ნავსი მეხუთე მატჩში გატყდა — „არსენალმა“ „ისნის“ სტადიონზე წყალტუბოს „სამგურალი“ 2:1 დაამარცხა. ეს გამარჯვება უფრო პრესტიჟის იყო, ვიდრე უკეთესობისკენ შემობრუნების დასაწყისი. სიკეთე და კარგი პერსპექტივა „არსენალისგან“ ნამდვილად შორსაა. გუნდი გასავარდნად, ფაქტობრივად, უკვე განწირულია და მთავარი — ფეხბურთელები კვლავაც დაპირებებით ცხოვრობენ, ხელფასები კვლავაც არ ჩანს. „თბილისთან“ სათამაშოდაც გავალთ, მერე კი, თუ დანაპირები არ ასრულდა, მინდორზე ფეხის შემდგმელები არ ვართო, უთქვამთ ავლაბრელებს.

მანამდე კი „არსენალი“ დინებას მიჰყვება. საქართველოს ჩემპიონატში გამოცხადებული თითქმის ორკვირიანი შესვენებისას ერთი ამხანაგური შეხვედრაც გამართა — თბილისის „დინამოსთან“. კაკაშვილის, წივწივაძისა და ტუღუშის სამ გოლს დინამოელებმა ხუთით უპასუხეს (წიტაიშვილი 2, მინაშვილი 2, არველაძე), მატჩიც ათგზის ჩემპიონებმა 5:3 მოიგეს.

„არსენალი“ „თბილისთანაც“ ითამაშებს. მერე რა იქნება, ამას მომავალი დაგვანახებს.

ვანო ოქროპირიძე

ბათუმი: ეს სულერთია...

თემურ ბეჟანიძე

ბადრი კვარაცხელიას ფოტო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას „ბათუმის“ ინტერესები აქვს და თბილისის „დინამოს“ ჩაძირვას ცდილობსო, ასე განაცხადა „დინამოს“ გენერალურმა მდივანმა ვაჟა ჟვანიამ.

მავანთა თქმით, „ბათუმის“ იტალიელი მწვრთნელი ჯანი კარნევალი სამშობლოშია წასული და ბათუმში სამი იტალიელის ჩაყვანა სურს, „ბათუმს“ ჩემპიონობის კარგი შანსი აქვსო.

და თუ იმასაც გავითვალიწინებთ, ამას წინათ, ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს რომ შეხვდა, ალბათ, ეჭვიც...

„ბათუმის“ პრეზიდენტს, ბატონ თემურ ბეჟანიძესაც ბათუმში ამად დავუკავშირდით და გავიგეთ, რომ...

— ჯანი კარნევალის შინ წასვლა კარგა ხანია სურდა, მაგრამ „ბათუმ“ — „ტორპედოს“ მატჩამდე მოცდა ამჯობინა. მას მცირეწლოვანი შვილი ავად ჰყავდა. გუნდის ინტერესებისთვის ის ბათუმში დარჩა და მხოლოდ „ტორპედოსთან“ მატჩის შემდეგ გაემგზავრა იტალიაში. 6-ში გაფრინდა, სამ დღეში კი უკანვე დაბრუნდა. იტალიელ ფეხბურთელთა ჩამოყვანაზე ლაპარაკიც არ ყოფილა, „ბათუმი“ უკვე დაკომპლექტებულია და ჩემპიონატის ბოლომდე არავის დავიმატებთ. ჩვენ სეზონის დაწყებამდეც ვამბობდით, გუნდის გაახალგაზრდავება გვსურსო, ასეც ვაგრძელებთ. „ბათუმის“ მიზანი ევრო საგზურის მოიპოვებაა, ჩემპიონობით, პრიზიორობით თუ თასის მფლობელობით, ეს სულერთია...

„სარბიელის“ 10 აპრილის ნომერში დაბეჭდილ ვაჟა ჟვანიას განცხადების თაობაზე კი, რა მეთქმის?...

ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას ბათუმში ჩამოსვლა და ასლან აბაშიძესთან შეხვედრა ბევრისთვის სალაპარაკო გახდა და მათ საუბარს უამრავი კუდი გამოაბეს. ჩვენ ჟვანიას პატივს ვცემთ...

გიორგი ანჩაბაძის „ბათუმში“ გადმოსვლის თაობაზე გეტყვით — როგორც კი ამ ფეხბურთელს „ალანიაში“ ვერ გადასვლის ამბავი შევიტყვეთ, მაშინვე დავუკავშირდით ფეხბურთელს, თანაც კარნევალი ანჩაბაძეზე საკმაოდ კარგი წარმოდგენისა იყო და „ბათუმში“ თამაში შევთავაზეთ. ეს ბიჭი, ვფიქრობდით, რომ ჩვენს გუნდს გამოადგებოდა.

დანარჩენი კი, ვნახოთ, ჩემპიონობამდე ნახევარი გზა გასავლელი გვაქვს...

ძოგა ინასარიძე

ზოგი გავარდა, ზოგი ჯერაც ვარგობს

გუშინ და გუშინწინ ისრაელში, ბელგიასა და შვეიცარიაში თასის თამაშები გაიმართა. ბელგიის თასის ნახევარფინალი ლიეჟში „სტანდარდთან“ წააგო გელა შეყილაძის „ლიერსმა“. ქართველმა 80 წუთი ითამაშა. „ლიერსი“ დამარცხდა — 0:2. ისრაელში ნახევარფინალში ორი „ქართული“ გუნდი მონაწილეობდა. ჰაიფას „მაკაბი“ 1:2 დამარცხდა თელ ავივის „ჰაპოელთან“. გოგა გახოკიძე ძირითადში თამაშობდა და როცა ანგარიში 0:2 იყო, გოლის გატანის მშვენიერი შანსი ვერ გამოიყენა — მისი თანაგუნდელი კატანი ხუთ (!) მეტოქეს გასცდა და გახოკიძე მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ ქართველმა ვერ ივარგა. საბოლოოდ პრესტიჟის გოლი უკრაინელმა დენის ონიშჩენკომ გაიტანა. მეორე ნახევარფინალში კი გიორგი დარასელიას ქფარ სავას „ჰაპოელმა“ იერუსალიმის „ბეითართან“ 2:3 წააგო. ფინალი 17 მაისს გაიმართება.

შვეიცარიაში „ციურიხი“ ნახევარფინალში გავიდა მას შემდეგ, რაც სტუმრად დამატებით დროში 2:1 მოუგო „ტუნს“. მატჩს 3 000 ფანი დაესწრო. ქართველთაგან მხოლოდ გოჩა ჯამარაულმა ითამაშა. ანგარიში 32-ე წამზე ციურიხელმა ტსავამ გახსნა. 55-ე წუთზე გოჩა ჯამარაულის შეცდომის მერე ოკნალამ ანგარიში გაათანაბრა. გამარჯვება „ციურიხმა“ 117-ე წუთზე შეძლო ნდლოვუს ლამაზი დარტყმის შემდეგ.

გუშინწინ თასის მერვედფინალის პირველი მატჩი აზერბაიჯანშიც გაიმართა. ბადრი კვარაცხელიას „შამქირმა“ შინ მეორელიგელი „ვილიაშის“ წინააღმდეგობა ვერ დაძლია — 1:1.

სიმონ მენაბდე

გერმანული გამოცანა
გერდ ნიებაუმი გაგიჟდა?

REUTERS კაი ზერსლაუტერნდან

კაიზერსლაუტერნი — ჰერტა 1:2. ბერლინელმა მიხაელ პრეეცმა მასპინძლები არ გაახარა

გერმანია

XXIX ტური

დორტმუნდი 1:3 უნტერჰახინგი

0:1 ზაიცი (7), 1:1 რიკენი (27), 1:2 შტრემელი (49), 1:3 შვარცი (58)

დორტმუნდი: ლემანი, ევანილსონი, ვიორნსი, კოლერი, დედე, ჯ. რეინა, სტევიჩი (ბარბარესი 81), რიკენი, ადო (ბობიჩი 61), ჰერლიხი (ვ. ბუტი 86), იკპბა

მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი

უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, ბუხერი, ზაიფერტი, ჰაბერი, მატიას ციმერმანი, ბერგენი, დ. შვარცი, ზაიცი, ბრაიტენრაიტერი (ჰერტლი 81), ობერლაიტნერი (რაკლი 73)

მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კიოსტნერი

მსაჯი: შტაინბორნი

61 500 მაყურებელი

კაიზერსლაუტერნი 1:2 ჰერტა

0:1 ალექს ალვეში (8), 1:1 პეტერსონი (11), 1:2 პრეეცი (84)

კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, სფორცა, ჰ. კოხი, შონბერგი, ბუკი, ბასლერი, რამზი (როოსი 34), კომლიენოვიჩი (რატინიო 64), შტრასერი, ტარე (მარშალი 70), პეტერსონი

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

ჰერტა: კირალი, შმიდტი, რემერი, სვერისონი, სანე (არაჩიჩი 70), კონსტანტინიდისი, დარდაი, ჰარტმანი, ვოში (ჰ. ჰერცოგი 86), პრეეცი, ალექს ალვეში (ვაიტი 41)

მწვრთნელი: იურგენ რიობერი

გაფრთხილება: ბასლერი, კომლიენოვიჩი, ტარე, კონსტანტინიდისი, შმიდტი, ვოში

მსაჯი: შტარკი

39 268 მაყურებელი

ვოლფსბურგი 0:0 შალკე

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბილისკოვი, ტომსენი, კრიგერი, გრაინერი, სებესკენი, ნოვაკი, ვაისერი, მუნტეანუ (აკონორი 60), ფელდჰოფი (რიშე 60), აკპობორი (ბანზა 83)

მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი

შალკე: რეკი, ტონი, ვალდხი, აიგენრაუხი, ლატალი (ჰელდი 65), კამპუისი, კმეტჩი, ნემეცი, ვილმოტსი (ასამოა 81), სანდი, ე. მჰენზა

მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი

გაფრთხილება: ბანზა, კმეტჩი, კამპუისი

მსაჯი: ვაგნერი

18 008 მაყურებელი

ულმი 1:1 შტუტგარტი

0:1 ბორდონი (3), 1:1 ლეანდრო (71)

ულმი: ლაუქსი, ბოდოგი (ე. ვაისი 38), მარკესი, შტადლერი, რადოკი, ოტო, მაიერი, გორა (შარინგერი 34), უნსოლდი, ლეანდრო, ვან დერ ჰაარი

მწვრთნელი: მარტინ ანდერმატი

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ტიიმი, კეისი, ბორდონი, კელერი, ენდრესი, ლისტეში (ტ. შნაიდერი 74), ბალაკოვი, გერბერი (კარნელი 90), ჰოსნი (პინტო 57), დანდი

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

გაფრთხილება: ბოდოგი, კელერი

მსაჯი: კრუგი

23 000 მაყურებელი

„როცა 50 სანტიმეტრიდან გოლი ვერ გაგაქვს, ყველაფრის ღირსი ხარ. უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. წაგებაც დავიმსახურეთ, თუმცა არ გვეკუთვნოდა. ჩვენს თავს რაღაც ხდება“ — მორიგ მარცხს გაეცხარებინა „დორტმუნდის“ თავკაცი ბერნდ კრაუსი.

სამშაბათს „დორტმუნდმა“ კვლავ წააგო. ზედიზედ ექვსი ტურია, დორტმუნდელები მარცხდებიან, შინაც და სტუმრადაც. გუშინწინ „ვესტფალენშტადიონს“ ბუნდესლიგის დებიუტანტი „უნტერჰახინგი“ ეწვია. იმ იმედით, რომ მასპინძლები ზედიზედ 11-მატჩიან მოუგებელ სერიას შეწყვეტდნენ, სტადიონზე 61 ათასზე მეტი ქომაგი მივიდა, თუმცა ძალიან გაწბილდა. დორტმუნდელებმა ისეთ გუნდთან წააგეს, მიმდინარე სეზონში სტუმრად ერთადერთ მოგებას რომ ითვლიდა. ძნელია, ყველაფერი მწვრთნელს დააბრალო. ცხადია, ასეთ წარუმატებლობაში თავისი წვლილი კრაუსსაც მიუძღვის, მაგრამ „უნტერჰახინგს“, „არმინიას“ და მსგავს გუნდებს თავმოყვარე, ამბიციური და ჩემპიონთა ლიგაში გასვლის მოსურნე კლუბი საკუთარ მინდორზე უმწვრთნელოდ უნდა უგებდეს. მაგრამ მოგებას ვინ ჩივის, დორტმუნდელები ქულასაც ვერ იღებენ.

მეორე წრის შედეგებს გადავხედოთ — 12 მატჩიდან „დორტმუნდმა“ 8 წააგო, ოთხჯერაც ფრეს დასჯერდა, გამარჯვების გემო კი აღარც ახსოვს. 1997 წლის ევროპის უძლიერეს კლუბს 19 დეკემბრის მერე აღარ მოუგია, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებაც უკვე რეალურად ემუქრება. დარჩენილ ხუთ ტურში დორტმუნდელები მიუნხენის „ბაიერნსა“ და „შალკეს“ უმასპინძლებენ, თავად კი „დუისბურგს“, „შტუტგარტსა“ და „ჰერტას“ ესტუმრებიან. დამეთანხმებით, წინ ძნელი მატჩებია.

„უნტერჰახინგთან“ შეხვედრა ცუდად დაიწყო მასპინძელთათვის. სტუმრები მალე დაწინაურდნენ. მე-7 წუთზე ზაიცმა ჯარიმიდან ზუსტად დაარტყა. 61 500 გულშემატკივარი 27-ე წუთზე გამოცოცხლდა, როცა რიკენის დარტყმულ ბურთს ტრემელი წინ ვერ აღუდგა და ანგარიში გათანაბრდა. მასპინძლებს კიდევ რამდენჯერმე შეეძლოთ გატანა, მაგრამ ტრემელს ვეღარაფერი დააკლეს. სამაგიეროდ, „უნტერჰახინგმა“ შეუტია შედეგიანად, თანაც ორჯერ. მეორე ტაიმის დასაწყისშივე შტრემელმა მეორედ დააწინაურა თავისიანები. მალე შვარცმა ერთიც დაამატა და „დორტმუნდის“ მორიგი მარცხიც გამოიჭედა.

„მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. ბერნდ კრაუსს კარგად ვიცნობ, დარწმუნებული ვარ იგი შეძლებს გუნდის კრიზისიდან გამოყვანას“ — „დორტმუნდის“ პრეზიდენტის გერდ ნიებაუმის ამ სიტყვებმა კლუბის ქომაგები ძალიან განარისხა, ისინი კრაუსთან ერთად უკვე პრეზიდენტის გადადგომასაც ითხოვენ. თუმცა მათი სურვილი ნიებაუმს, უკაცრავად და სულ ფეხებზე ჰკიდია. მიხაელ სკიბეს მოხსნას სულაც არ ვნანობ, სწორი არჩევანი გავაკეთე და ეს მალე დამტკიცდებაო, თქვა მან. რას იზამ, კაცია და გუნება.

ისე, „დორტმუნდის“ უფროსობას ერთი რჩევა ჩვენც მივცეთ — იქნებ გუნდს ცხვრის დაკვლამ უშველოს.

გერმანული გამოცანაა — შინ აგებს, სტუმრად იგებს. ვინაა? პასუხის გაცემა, ვფიქრობ, არც ქართველ ქომაგებს გაუჭირდებათ — „კაიზერსლაუტერნი“. ამ კლუბმა წლეულს გასვლაზე უფრო მეტი ქულა მოიპოვა, ვიდრე საკუთარ მინდორზე. ასეთი შედეგით კი მის გარდა „შტუტგარტი“ თუ დაიკვეხნის.

ოტო რეჰაგელის შეგირდები ამჯერად შინ „ჰერტასთან“ დამარცხდნენ, თუმცა ამაში თავისი წვლილი მსაჯმაც შეიტანა. შტარკმა თამაშის მიწურულს, 1:1-ზე ბერლინელებს საკუთარ საჯარიმოში ხელით თამაში აპატია და აშკარა პენალტი არ დანიშნა. ცოტა ხანში კი რატინიო შეცდა, ბურთი ვოშს ჩააბარა, ამან კი პრეეცი გეორგ კოხს შეატოვა. პრეეცი რის პრეეცი იქნებოდა, ასეთი მომენტი გაეფუჭებინა. ეს 84-ე წუთზე მოხდა. მატჩსაც წერტილი აქ დაესვა. მანამდე კი გუნდებმა თითო ბურთის გაცვლა მოასწრეს. ალექს ალვეშის ადრეულ გოლს სამ წუთში პეტერსონმაც უპასუხა.

„ინდივიდუალურმა შეცდომებმა ასე იცის“ — ეტყობა, ოტო რეჰაგელს რუსთაველის აფორიზმიც სმენია. გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო, უთქვამს დიდ შოთას.

სამშაბათს გამართული 29-ე ტურის დანარჩენი ორი მატჩი კი ფრედ დასრულდა. „ვოლფსბურგმა“ და „შალკემ“ ერთმანეთს ვერაფერი დააკლეს — 0:0. „შტუტგარტმა“ „ულმს“ რაღაც კი დაუპირა (მესამე წუთზევე გაუტანა), მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა — ლეანდროომ 71-ე წუთზე საპასუხო გოლი შეაგდო და გუნდებიც თითო ქულით დაკმაყოფილდნენ. „ულმმაც“ დაიწყია კოშმარს თავი — ბოლო ოთხი მატჩიდან პატარა ქალაქის პატარა გუნდს ოთხივე წაეგო. ბურთების შეფარდებას არ იკითხავთ? — 1:17-თან.

ვანო ოქროპირიძე

ლევერკუზენი	28	17	9	2	60:30	60
ბაიერნი	28	17	7	4	59:23	58
ჰამბურგი	28	15	9	4	59:30	54
ჰერტა	29	12	9	8	37:41	45
გერდერი	28	12	7	9	59:44	43
ლაუტერნი	29	13	4	12	43:51	43
ვოლფსბურგი	29	10	12	7	46:49	42
მიუნხენი	28	11	8	9	43:41	41
შტუტგარტი	29	12	4	13	34:40	40
უნტერჰახინგი	29	10	7	12	36:37	37
შალკე	29	8	12	9	38:37	36
ფრაიბურგი	28	8	9	11	39:43	33
დორტმუნდი	29	7	11	11	33:33	32
ულმი	29	8	7	14	31:53	31
ჰანზა	28	6	12	10	35:49	30
აინტრახტი	28	8	5	15	31:38	29
დუისბურგი	28	4	8	16	32:54	20
არმინია	28	4	8	16	29:51	20

ერთი სკანდალის ისტორია

ველოსპორტის მოყვარულებს კარგად ეხსომებათ, როგორი სკანდალური გამოდგა 1998 წელს „ტურ დე ფრანსის“ რბოლა. შეჯიბრის მონაწილეთა დიდი ჯგუფი დოპინგის ხმარებაში ამხილეს. ფრანგი პოლიციელები სპორტსმენთა ოთახებს საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ და აკრძალული პრეპარატების აღმოჩენის შემთხვევაში დამნაშავეებს იზოლატორებში უხდებოდათ ღამის გათევა. არც ველოსიპედისტები დარჩნენ ვალში. ყველას ერთად ხომ არ დაგვიჭერენო და სამართალდამცავების წინააღმდეგ გაილაშქრეს. ბევრმა პროტესტის ნიშნად ტურნირი მიატოვა და შინ დაბრუნდა.

აღნიშნული შემთხვევა მხოლოდ ველოსპორტს არ შეხებია. ტალღა აგორდა და იტალიის ფეხბურთის ფედერაციას გადასწვდა. ასე იყო: იმ პერიოდში „რომას“ მაშინდელმა მწვრთნელმა ზდენეკ ზემანმა ერთ-ერთ ინტერვიუში სხვათა შორის თქვა, ველოსიპედისტები რომ ამხილეს, ფეხბურთში უარესი ამბები ხდებაო. ამ სიტყვებს იტალიაში უზარმაზარი გამოძახილი მოჰყვა და გამოძიებაც უმალ დაიწყო. პოლიცია უპირველესად იმ ორგანიზაციის საქმიანობით დაინტერესდა, რომელსაც „აქვა ასეტოზა“ ჰქვია. „აქვა ასეტოზა“ სამედიცინო ლაბორატორია გახლავთ და მისი ფუნქცია სპორტსმენთა დოპინგტესტზე შემოწმებაა. გაჩნდა მოსაზრება, რომ ლაბორატორიის ხელმძღვანელები ანალიზების პასუხებს აყალბებდნენ (ცხადია, გვარიანი გასამრჯელოს ფასად). „აქვა ასეტოზას“ ოფისიდან მთელი დოკუმენტაცია ამოიღეს და ექსპერტებს გადასცეს. დანაშაულში ეჭვმიტანილი კი ცხრა ბობოლა ჩინოვნიკი გახდა. მათ შორის იყვნენ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი და მოქმედი პრეზიდენტები — ანტონიო მატარეზე და ლუჩანო ნიცოლა, სპორტული მედიცინის ფედერაციისა და ანტიდოპინგური კომიტეტის წევრები.

გამომძიებელმა ვინჩენცო ტრიველინმ მასალების შესწავლას თითქმის ორი წელი მოანდომა და თავის დასკვნაში თქვა: „არ არსებობს მტკიცებულება, რომ ლაბორატორიაში ზოგიერთი ფეხბურთელისა თუ კლუბის სასარგებლოდ ტესტებს აყალბებდნენ. ასევე ვერ დავადასტურეთ, რომ ფეხბურთის ფედერაციის ჩინოვნიკები ლაბორანტთა საქმიანობაში ერეოდნენ. ვერც იმას ვიტყვით, რომ რომელიმე მოთამაშე დოპინგის ხმარებაში იყო შეჭნეული და ეს ფაქტი არ გახმაურდა“.

საქმე, რომელიც სკანდალურად დაიწყო და მთელი იტალია ააფორიაქა, უშედეგოდ დასრულდა. ლუჩანო ნიცოლასა და სხვათა სახელებს ჩირქი არ მოეცხო. მაგრამ ვითომ ასე კარგად არის ყველაფერი? ვითომ არც ერთ ფეხბურთელს აზრადაც არ მოსდის სტიმულატორების მიღება, მით უმეტეს, ზღვარგადასული ფიზიკური დატვირთვების პირობებში? და საერთოდ, რა ვუყოთ ზდენეკ ზემანის ორი წლის წინანდელ განცხადებას?

გიორგი დარჯანია

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

აფრიკა

I ეტაპი. I მატჩები

ჯიბუტი — კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1:1; მავრიტანია — ტუნისი 1:2; ბოტსვანა — ზამბია 0:1; გვინეა ბისაუ — ტოგო 0:0; მადაგასკარი — გაბონი 2:0; მალავი — კენია 2:0; სან ტომე და პრინსიპი — სიერა ლეონე 2:0; სეიშელი — ნამიბია 1:1; ტანზანია — განა 0:1; უგანდა — გვინეა 4:4; ბენინი — სენეგალი 1:1; კაბო ვერდეს კუნძულები — ალჟირი 0:0; ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა — ზიმბაბვე 0:1; ჩადი — ლიბერია 0:1; ეკვატორული გვინეა — კონგო 1:3; ერითრეა — ნიგერია 0:0; ეთიოპია — ბურკინა ფასო 2:1; გამბია — მაროკო 0:1; ლესოტო — სამხრეთ აფრიკა 0:2; ლიბია — მალი 3:0; რუანდა — კოტ დივუარი 2:2; სუდანი — მოზამბიკი 1:0; სვაზილენდი — ანგოლა 0:1. საპასუხო მატჩები გაიმართება 21-23 აპრილს.

ლიტვა

მე-4 ტური. ინკარასი — ჟალგირისი 0:1; კაუნასი — ნევეჟისი 0:0; ეკრანასი — ატლანტასი 3:1; დაინავა — კარედა 1:2; პოლონია — ბანგა 3:0

ჟალგირისი	4	3	1	0	10:1	10
კაუნასი	4	2	2	0	6:0	8
კარედა	4	2	2	0	4:2	8
ატლანტასი	4	2	0	2	8:6	6
ეკრანასი	4	1	2	1	6:5	5
დაინავა	4	1	2	1	5:5	5
ნევეჟისი	4	1	2	1	3:7	5
პოლონია	4	1	1	2	4:9	4
ინკარასი	4	0	1	3	2:7	1
ბანგა	4	0	1	3	1:7	1

ბელგია

თასის ნახევარფინალი.

I მატჩი

სტანდარდი 2:0 ლიერსი

1:0 პიერი (4), 2:0 გუსენსი (20)

საპასუხო მატჩი გაიმართება 1 მაისს.

ლიგის თასი.

ნახევარფინალი

ანდერლეხტი 4:2 ვესტერლო

1:0 კოლერი (22), 2:0 რადზინსკი (35), 2:1 ზელენკა (44), 2:2 პელიჩი (56), 3:2 კოლერი (69), 4:2 ანასტასიუ (83)

ფინალში 1 მაისს ერთმანეთს ბრიუსელის „ანდერლეხტი“ და „მუსკრონი“ შეხვდებიან.

ჰოლანდია

თასის ნახევარფინალი

ალკმარი 1:1 (პენ.1:4) ნაიმეგენი

0:1 დე გიერი (60), 1:1 პერესი (76)

ავსტრია

თასის მერვედფინალი

ზიმერინგი (III) — ზალცბურგი 0:1; ვიენა (II) — ტიროლი 0:1; ზალცბურგი (მოვვარულები) (II) — ადმირა მიოდლინგი (II) 1:3; გრაცერი — ვორგლი (II) 3:1; ბრაუნაუ (I) — უნტერზიბენბრანი (II) 1:1 (პენ. 4:3); ლეობენი (II) — კარინთია (I) 3:1; პახინგი (III) — ვატენსი (I) 5:1; აუსტრია — ლინცერი 1:0

შვეიცარია

თასის მეოთხედფინალი

ტუნი (I) — ციურიხი 1:2; ლუგანო — სენტ გალენი 1:0

არგენტინა

მე-8 ტური. სან ლორენსო — ბოკა ხუნიორსი 0:1; ნიუელს ოლდ ბოიზი — ლანუსი 3:2; ფერო კარილი — ინსტიტუტო 1:1; რასინგი — ინდეპენდიენტე 3:1; ხიმნასია ლა პლატა — ბელგრანო 1:3; ხიმნასია ხუხუი — ველეს სარსფილდი 1:3; ტალერესი — ესტუდიანტესი 1:1; რივერ პლეიტი — არგენტინოს ხუნიორსი და ჩაკარიტა — როსარიო სენტრალი გადაიდო.

ბოკა ხუნიორსი	8	5	3	0	15:3	18
სან ლორენსო	8	5	2	1	10:3	17
რივერ პლეიტი	7	4	3	0	13:6	15
ოლდ ბოიზი	8	4	2	2	16:10	14
ლა პლატა	8	4	2	2	17:16	14
ბელგრანო	8	4	1	3	14:11	13
ტალერესი	8	4	1	3	11:9	13
ველესი	7	3	3	1	12:7	12
კოლონი	8	4	2	2	20:15	11
უნიონი	8	3	2	3	10:13	11
ინდეპენდიენტე	8	3	1	4	17:14	10
როსარიო	7	2	4	1	10:8	10
ლანუსი	7	2	3	2	11:10	9
ინსტიტუტო	8	2	2	4	8:13	8
ფერო კარილი	8	2	1	5	6:17	7
ესტუდიანტესი	8	1	3	4	12:15	6
რასინგი	8	1	3	4	8:12	6
ჩაკარიტა	7	1	2	4	5:10	5
არგ. ხუნიორსი	7	1	2	4	6:16	5
ხუხუი	8	0	2	6	6:19	2

ისინი პარასკევს ელიან ისევ „ლიდსისა“ და „გალათასარაის“ შესახებ

სტამბოლის სტადიონის შესასვლელი 6 აპრილს

ეძლევათ თუ არა სტამბოლის „გალათასარაის“ ქომაგებს ლიდსის „ელანდ როუდზე“ შესვლის ნება უეფას გუშინ უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ პარასკევისთვის გადასდო — დღეის სწორს უეფას თასის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში „ლიდს იუნაიტედი“ თურქულ გუნდს მასპინძლობს, მაგრამ პირველ შეხვედრაში ორი გულშემატკივრის მკვლელობის გამო ინგლისურმა მხარემ მეტოქის ქომაგების მათ ქალაქში ჩასვლის აკრძალვა მოითხოვა.

ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ განაცხადა, რომ საქმის პარასკევამდე გადაღებით იგი დროს იგებს და ამ ხანში ორივე მხარის წერილობით მოხსენებას თუ ახსნა-განმარტებას გულდასმით შეისწავლის. მანამდე კი ორგანიზაციის პრეს-მდივანმა, ფრიც ალსტრომმა ასეთი რამ განაცხადა: „თურქ ქომაგთათვის ინგლისში ჩასვლის აკრძალვა სულაც არ გახლავთ აზრსმოკლებული. ბოლოს და ბოლოს საქმე „ელანდ როუდზე“ საყოველთაო უსაფრთხოებას ეხება.“

„ლიდსის“ ხელმძღვანელებიც უსაფრთხოების არგუმენტს იშველიებენ, მკვლელობის შემდეგ ინგლისელ და თურქ გულშემატკივართა ურთიერთობებში შესაძლო გამწვავების გვეშინიაო, სტამბოლელები კი ასეთ მოსაზრებას კატეგორიულად აპროტესტებდნენ და აცხადებდნენ, რომ მათი ქომაგების თამაშზე არდაშვება შეუძლებელია. ამიტომაც ისინი შეხვედრის ნეიტრალურ ქალაქში ჩატარებას მოითხოვდნენ.

BBC-ს რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში „ლიდს იუნაიტედის“ თავმჯდომარემ, პიტერ რიდსდეილმა თქვა, მას მერე, რაც სტამბოლში მოხდა ჩვენთვის 1800-მდე თურქი გულშემატკივრის მასპინძლობა და მათ დასაცავად პოლიციელთა ჯარის გამოყვანა გაუმართლებელი საქციელი იქნებოდაო.

„რამე რომ მოხდეს, ჩვენ დაგვბრალდება. ნუ დაგვავიწყდება, რომ სტამბოლში ორი ადამიანი მოკლეს და ხალხი უკიდურესადაა დაძაბული. გარწმუნებთ, თურქი ქომაგებისთვის ჩამოსვლის აკრძალვას შურისძიების მიზნით არ ვითხოვ, უბრალოდ და სრულიად გულწრფელად ვცდილობ საპასუხო შეხვედრაში უსაფრთხოება დავიცვა“ — განაცხადა რიდსდეილმა.

იმავე გამოსვლაში „ლიდსის“ თავმჯდომარემ ახალი ფაქტები გამოამზეურა. თურმე პირველი მატჩის წინა დღეს, სტამბოლის სასტუმროში მოწყობილ ინგლისელ ფეხბურთელებს — გულშემატკივართა მკვლელობის შემდეგ — ტელეფონით დამუქრენ მოგკლავთო.

„მოთამაშეები ყველაფერთან ერთად სიკვდილის მუქარამაც შეაძრწუნა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სასტუმროს ადმინისტრაციას ვთხოვეთ ჩვენი ტელეფონები არავისთან დაეკავშირებინა. ჩვეულებრივ პირობებში ასეთ მუქარაზე ვიცინებდით, მაგრამ სტამბოლში საქმე სასაცილოდ სულაც არ გვქონდა“ — დასძინა „ელანდ როუდის“ ბოსმა.

„გალათასარაის“ მწვრთნელმა, ფათიჰ თერიმმა კი ბრძანა, უეფა ვალდებულია ლიდსში თურქი გულშემატკივრები ჩაუშვას, ხოლო ინგლისის პოლიციამ მათი უსაფრთხოება დაიცვასო. თერიმმა გაიხსენა მისი გუნდის და ტურინის „იუვენტუსის“ გასული წლის შეხვედრა, როდესაც თურქეთსა და იტალიას შორის ურთიერთობა ერთობ დაძაბული იყო.

„მაშინ უეფამ ჩვენი ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრისგან გარანტიები მიიღო და მართლაც, თამაში ექსცესების გარეშე ჩატარდა. მაშ თუკი სტამბოლს უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლია, რატომ არ უნდა შეეძლოს იგივე ლიდსს? ბოლოს და ბოლოს საღამა აზრმა უნდა გაიმარჯვოს. ფეხბურთი ომი არ არის, ეს სპორტული შეჯიბრებაა. მოდით, მისი მშვენიერება სისხლისგან დავიცვათ.“

დანარჩენ თურქთაგან განსხვავებით „გალათასარაის“ პრეზიდენტმა, ფარუქ შურენმა მოულოდნელად განაცხადა, უეფამ ქომაგების თანხლება რომც აგვიკრძალოს ლიდსში მაინც ჩავალთო:

„მართალია, შესაძლო გადაწყვეტილება უსამართლობა მგონია, მაგრამ ჩვენ მაინც ვითამაშებთ. რაც შეეხება გულშემატკივარს, მათი დაშვება-არდაშვება უეფას ნებაა. თავად მე ერთადერთი სურვილი მაქვს: უეფასა და „ლიდსს“ მატჩამდე, მატჩის დროს და შემდეგ უსაფრთხოების დაცვა მინდა ვთხოვო.“

მიხეილ სურგულაძე

ჩემი იტალიელი ბაბუა

ხუან სებასტიან ვერონი

„ლაციოს“ პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი იმედოვნებს, რომ მისი გუნდის არგენტინელი ფეხბურთელის, ხუან ვერონის იტალიური პასპორტის საქმე უსასრულოდ არ გაიწელება.

„გამოძიება მიმდინარეობს. იმედს გამოვთქვამთ, რომ პასუხსაც მალე მივიღებთ“ — უთხრა კრანიოტმ ჟურნალისტებს.

მოგეხსენებათ, რომის სახალხო ბრალმდებელმა დოკუმენტაციათა დიდი ჩხრეკა წამოიწყო, რათა გაარკვიოს სამართლიანად ერგო თუ არა არგენტინის ნაკრების ნახევარმცველს იტალიის მოქალაქეობა. თურმე ვერონს საფუძვლად მისი რომელიღაც წინაპრის იტალიელობა დაუდია. ის ამტკიცებს, რომ მე-19 საუკუნეში იტალიის სამხრეთ რეგიონში, რომელსაც კალაბრია ეწოდება, ცხოვრობდა კაცი, რომლის შთამომავალიც თავად გახლავთ.

მაგრამ საქმე მარტო ვერონი რომ იყოს, რა უჭირდა. ეჭვია, რომ კიდევ ცხრა ნატურალიზებულ ფეხბურთელს აქვს დოკუმენტებში რაღაც გაყალბებული და მათ ქაღალდებსაც ამოწმებენ.

იტალიური გაზეთების ცნობით მაგისტრატურის თანამშრომლებმა ვერონის ბინა და „ლაციოს“ ოფისი გაჩხრიკეს, საიდანაც უამრავი დოკუმენტი წაიღეს შესამოწმებლად.

სავარაუდოდ არგენტინელ ფეხბურთელს, რომელიც „სამპდორიასა“ და „პარმაში“ სამი სეზონის გატარების შემდეგ გასულ ზაფხულს „ლაციოში“ გადავიდა გასაუბრებაზე რამდენიმე დღეში დაიბარებენ.

ვერონის გარდა მის ახლანდელ კლუბში კიდევ ხუთია ნატურალიზებული: მატიას ალმეიდა, დიეგო სიმეონე, ნესტორ სენსინი (სამივე არგენტინა) და იუგოსლავიელი სინიშა მიხაილოვიჩი.

რაც შეეხებათ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ევროკავშირის მოქალაქენი არ არიან, „ლაციოში“ ასეთი ოთხია: ჩეხი პაველ ნედვედი, ჩილელი მარსელო სალასი, ხორვატი ალენ ბოკშიჩი და იუგოსლავიელი დეიან სტანკოვიჩი. მთელი ისტორია კი იმიტომ დაიწყო, რომ იტალიური ფეხბურთის კანონთა თანახმად გუნდს უფლება არ აქვს ერთ შეხვედრაში სამზე მეტი არაევროკავშირელი ათამაშოს. შესაბამისად, თუ ვერონს იტალიელი ბაბუა დაუწუნეს, იგიც უცხოელთა სიას შეემატება და „ლაციოს“ მწვრთნელს შემადგენლობაზე სპორტულის გარდა ბიუროკრატიული კუთხითაც მოუწევს ფიქრი.

ფეხბურთის რუკასთან

არგენტინელმა თავდამსხმელმა გაბრიელ ბატისტუტამ მცირე ტრავმის შემდეგ ვარჯიში განაახლა და სერია A-ს მომავალ ტურში, ალბათ, თავის გუნდსაც დაეხმარება. „ბატისტუტა ნავარაუდევზე ადრე გამოჯანმრთელდა, მის ტრავმას ხშირად შევამოწმებთ. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ ფორვარდი მომავალ ტურში ითამაშებს“ — განაცხადა „ფიორენტინას“ ექიმმა მარსელო მანზუოლიმ. მომავალ ტურში ფლორენციელები სკუდეტოს ერთ-ერთ მაძიებელ „ლაციოს“ უმასპინძლებენ.

ინგლისურმა „არსენალმა“ ბრაზილიური „ფლამენგოს“ ახალგაზრდა მცველი ატირსონი თავისთან მიიპატიჟა, თუმცა გარკვეულ წინააღმდეგობებს წააწყდა, რადგან ფეხბურთელის შეძენას „ბარსელონა“ და „იუვენტუსიც“ ცდილობენ. თავად ატირსონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „ფლამენგოდან“ სულ ცოტა ორი წელიწადი არსად წავა, თუ მას 3 მილიონი დოლარის გარდა ხელფასის სახით თვეში 180 ათას დოლარს გადაუხდიან. ბრაზილური კლუბის პრეზიდენტი ედმუნდო დოს სანტოს სილვა ჯერჯერობით დუმს. არც ისაა ცნობილი, რამდენს სთავაზობენ ევროპელი გრანდები სამხრეთამერიკელებს.

გერმანელი ნახევარმცველი თომას ჰესლერი ევროპის მომავალ ჩემპიონატზე, ალბათ, ვერ იასპარეზებს. „ნაკრების მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა მითხრა, რომ გუნდში არ მიმიწვევს, მან თითქმის ყველა კანდიდატი შეარჩია და მე არ დამასახელა. ნაწყენი ვარ, მაგრამ რა გაეწყობა, ის მწვრთნელია და ვერავინ შეეწინააღმდეგება“ — განაცხადა 33 წლის ფეხბურთელმა, რომელმაც ბუნდესკრებში 97 შეხვედრა ჩაატარა.

ფრანგული „სედანის“ ფეხბურთელები გუნდში შექმნილი არასასურველი მდგომარეობის გამო გაფიცვას აპირებენ. კლუბის საწვრთნელ ბაზას რეკონსტრუქცია უტარდება, რაც ერთობ გაჭიანურდა, მოთამაშეები კი ცუდ პირობებში ვარჯიშობენ და მოსამზადებლად ხშირად უწევთ სხვა რაინოებში ჩასვლა. „გაზონი არ გვივარგა. ეს ძალიან სახიფათოა, ტრავმებისგან დაზღვეული არ ვართ“ — ჩივიან გუნდის წევრები. მათ პროტესტი გამოთქვეს და სამშაბათს ვარჯიში იუარეს, თუმცა ოთხშაბათ დილით კვლავ შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას. „სედანი“ საფრანგეთის ჩემპიონატის ცხრილში მეექვსე ადგილზეა და უეფას თასზე მოხვედრის რეალური შანსი აქვს.

ჰოლანდიელი მცველი რეგილიო ვრედე, შესაძლოა, გერმანიაში გადაბარგდეს. „როდას“ ფეხბურთელს „შალკე“ და „კაიზერსლაუტერნი“ ეპატიჟებიან. ვრედე გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა, „როდასთან“ კონტრაქტი მას 2003 წელს უსრულდება. არც გერმანულ და არც ჰოლანდიურ კლუბებს ტრანსფერის თანხა ჯერჯერობით არ დაუსახელებიათ.

გერმანიის ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნის“ ფორვარდ კარსტენ იანკერს „ლიდს იუნაიტედმა“ დაადგა თვალი. გერმანული კლუბის გენერალური მენეჯერი ული ჰოინესი აცხადებს: „თითქმის ყოველდღე გვირეკავენ ინგლისიდან და იანკერის ტრანსფერზე გვესაუბრებიან. დანამდვილებით ჯერჯერობით ვერ ვპასუხობთ, რადგან საბოლოოდ არაფერი გადაგვწყვეტია. გამორიცხული არაა, იანკერმა მომავალი სეზონიდან კლუბი დატოვოს“. გერმანული პრესის ცნობით, მოსალოდნელია, თავდამსხმელი სეზონის ბოლოს სწორედ „ელანდ როუდზე“ გადაბარგდეს, თუმცა „ლიდსის“ გარდა მისით სხვა კლუბებიც დაინტერესებულან.

იტალიის ჩემპიონატის აუტსაიდერ „კალიარის“ მთავარმა მწვრთნელმა რენცო ულივიერიმ წინასწარი შეთანხმება გააფორმა — სეზონის ბოლოს იგი კლუბს დატოვებს. სპეციალისტმა ვერ შეძლო გუნდის კრიზისიდან გამოყვანა და „კალიარი“ სერია B-ში დაქვეითების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. „პრეზიდენტს უკვე ვესაუბრე. შევთანხმდით, რომ სეზონის ბოლოს გუნდიდან წავალ. კოლექტივთან ცუდი ურთიერთობა ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ ვთვლი, რომ საერთო საქმისთვის ასე აჯობებს. ამაში ხელმძღვანელობაც დამეთანხმა“ — ამბობს ულივიერი, რომელიც გუნდის მწვრთნელად შუა სეზონში დაინიშნა. მან თანამდებობიდან გათავისუფლებული ოსკარ ტაბარესი შეცვალა.

ინგლისურ „მიდლსბროს“ „რეჯინას“ ფორვარდის — მოჰამედ კალონის გადაბირება სურს. ამ ფეხბურთელით ადრე „არსენალიც“ დაინტერესდა, თუმცა მისი ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა. „მიდლსბროს“ წარმომადგენელი „რეჯინას“ რამდენიმე თამაშს დაესწრო. ინგლისური პრესის განცხადებით, იტალიური კლუბი 20 წლის კალონის სანაცვლოდ დაახლოებით 3 მილიონ გირვანქას მიიღებს. „მიდლსბროს“ ყურადღება ავსტრალიის 18-წლამდელთა ნაკრების წევრმა რიჩარდ სტროჰმეიერმაც მიიპყრო. შემტევი სტილის ნახევარმცველმა სეზონის ბოლოს შესაძლოა ავსტრიის მეორედივიზიონური „ადმირა ვაკერი“ დატოვოს და თავისუფალი აგენტის სტატუსით ინგლისში გადავიდეს.

ესპანური „სარაგოსას“ მთავარმა მწვრთნელმა ხოსე ფრანსისკო როხომ მომავალი სეზონიდან შესაძლოა კლუბი დატოვოს. მის შემცვლელად ესპანელები იუპ ჰაინკესს ასახელებენ, თუმცა „სარაგოსას“ ხელმძღვანელობას კონკრეტულად ჯერჯერობით არაფერი გადაუწყვეტია, რადგან მოსალოდნელია, მომავალ სეზონში კლუბში „ალავესის“ ამჟამინდელი თავკაცი ხოსე მანუელ მანე ან ვიგოს „სელტას“ მწვრთნელი ვიქტორ ფერნანდესი მიიწვიოს.

გერმანული „ჰამბურგის“ მეკარე ჰანს-იორგ ბუტით ბუნდესლიგის ამჟამინდელი ლიდერი „ლევერკუზენი“ დაინტერესდა. პრესის ცნობით, სატრანსფერო თანხა დაახლოებით 15 მილიონი მარკაა. კლუბებს კონტრაქტი ჯერჯერობით არ გაუფორმებიათ, თუმცა იმედოვნებენ, რომ უახლოეს მომავალში მიაღწევენ შეთანხმებას. აღსანიშნავია, რომ ბუტს ჯარიმების დარტყმაც ეხერხება, იგი ხშირად ასრულებს სტანდარტულ სიტუაციებს და გოლებიც გააქვს. მიმდინარე სეზონში მეკარემ ცხრაჯერ გამოიჩინა თავი.

იუგოსლავიური „პარტიზანის“ მცველი მლადენ კრსტაჯიჩი ბრემენის „ვერდერში“ გადაბარგდა. ფეხბურთელმა კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა გერმანულ გუნდს სეზონის ბოლოს ბრაზილიელი ხულიო სეზარი დატოვებს. მის ადგილს სავარაუდოდ სწორედ კრსტაჯიჩი დაიკავებს. იუგოსლავიელ ფეხბურთელს თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვევენ. იგი ალბათ ევრო 2000-ზეც იასპარეზებს. გერმანული საგენტოების ცნობით, „ვერდერმა“ „პარტიზანს“ 2,5 მილიონი მარკა გადაუხადა. „მლადენი ერთობ ტექნიკური და სწრაფი ფეხბურთელია, მას დაცვაშიც შეუძლია თამაში და ნახევარდაცვაშიც. მჯერა, რომ გუნდს გამოადგება“ — განაცხადა „ვერდერის“ მწვრთნელმა თომას შაიფმა.

ესპანეთის მეორედივიზიონელ „ტენერიფეში“ მოასპარეზე „მიდლსბროს“ ყოფილი ფეხბურთელი, ბრაზილიელი ემერსონი, შესაძლოა, პრიმერადივიზიონის ამჟამინდელ ლიდერ „დეპორტივოს“ რიგებს შეუერთდეს. გალისიური კლუბი 28 წლის ემერსონში 4 მილიონ გირვანქას იხდის. თავად ბრაზილიელისა და „ტენერიფეს“ საბოლოო პასუხი ჯერჯერობით უცნობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიდნეი 2000

თამაზ იმნაიშვილი: ქართველები ოპტიმისტები ვართ

თამაზ იმნაიშვილი

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ნაკრების მისიის ხელმძღვანელობა თამაზ იმნაიშვილს დაეკისრა. ვერაფერს ვიტყვით, ბატონ თამაზს ერთობ რთული და საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულება მოუწევს. მას ევალება დელეგაციის დაბინავება, უქლებლივ ყველა სპორტსმენის ყოველდღიური განრიგის ცოდნა და ამა თუ იმ შეჯიბრზე აუცილებელი დასწრება, რომ აღარაფერი ვთქვათ მოჭიდავეებისა და ძიუდოისტების აწონვასა და დროულად მიყვანაზე. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, მაგრამ არც იმ სავალალო შემთხვევის დავიწყება შეიძლება, როდესაც ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ზოგიერთი პირების დაუდევრობის გამო დავით ხახალეიშვილმა პრაქტიკულად გარანტირებული მედალი დაკარგა.

ამ დღეებში თამაზ იმნაიშვილი მალტის დედაქალაქ ვალეტაში იყო, სადაც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მისიის ხელმძღვანელებისა და გენერალური მდივნების მორიგი შეხვედრა მოეწყო.

ჩვენი აზრით, მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს, რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდა ბატონი თამაზი თბილისში და რა სიახლეებია სიდნეის ოლიმპიადისთვის მზადებაში.

— ვალეტაში საკმაოდ საინტერესო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც უამრავი ეოკ-ის გენერალური მდივანი და მისიის ხელმძღვანელი ესწრებოდა — გვიამბობს თამაზ იმნაიშვილი — მოგეხსენებათ, საქართველოდან ვალეტაში მე და სეოკ-ის გენერალური მდივანი ბატონი ემზარ ზენაიშვილი გავემგზავრეთ.

პირადად ჩემთვის ეს შეხვედრა მნიშვნელოვანია, რადგან ამ ტიპის ღონისძიებაზე პირველად ვიყავი. მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ გავიცანი უამრავი ადამიანი, რომლებთანაც სიდნეიში ყოველდღიური ურთიერთობა მექნება. მიუხედავად იმისა, რომ სპორტი წლების განმავლობაში ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ბევრი ისეთი რამ მოვისმინე, რის შესახებ მანამდე წარმოდგენაც არ მქონდა.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა ოლიმპიურ სამყაროში მეტად გავლენიანი და პოპულარული ჟაკ როგი. მისი თქმით, სიდნეიში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დოპინგ-კონტროლს. სპორტსმენები გაიკლიან სათანადო შემოწმებას. ამა თუ იმ სახეობაში პირველ სამეულში შესული ათლეტები ჩაბარებენ სისხლის ანალიზს, რაც ასევე სიახლე გახლავთ. გარდა ამისა, საშუალება გვქონდა, გვენახა ვიდეოფილმი სიდნეის შესახებ — როგორ მიდის მზადება, რას ფიქრობენ თავად ავსტრალიელები მათ ქვეყანაში ოლიმპიადის თაობაზე და სხვა.

ასევე გავეცანით სოლტ ლეიკ სიტი 2002-ისა და ათენის — 2004 წლის თამაშების ორგანიზატორების მიერ წარმოდგენილ მოხსენებებს, რომლებმაც იქ დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. პირადად მე აღფრთოვანებული დავრჩი სიდნეის ოლიმპიური კომპლექსის ნახვით, რომლის მშენებლობაც თითქმის მილიარდნახევარი ამერიკული დოლარი დაჯდა.

მოკლედ, ვთვლი, რომ შეხვედრამ საკმაოდ ნაყოფიერად ჩაიარა. სამწუხაროდ, დროის უქონლობის გამო არ მაქვს საშუალება, ხშირად დავესწრო ამგვარ ღონისძიებებს.

— თქვენი აზრით, იმ სავარაუდო 40 ლიცენზიანტიდან, რომლებიც სიდნეიში იასპარეზებენ, ვის ექნება მედლის მოპოვების ყველაზე რეალური შანსი?

— ვფიქრობ, მარტო ის ფაქტი, რომ ოლიმპიადაზე 40 სპორტსმენს ვაგზავნით, მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენმა ოლიმპიელებმა შესაშური ნებისყოფა გამოავლინეს. სპორტსმენი, რომელსაც არა აქვს სავარჯიშო პირობები და წლობით არ აძლევენ კუთვნილ თანხას, მაინც ხვდება საუკეთესოთა შორის, მხოლოდ ქების ღირსია.

რაც შეეხება მათ შანსებს, მედლებისათვის ალბათ იბრძოლებენ: მოჭიდავეები, ძიუდოისტები, ბატუტზე მხტომელი რუსუდან ხოფერია და ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე. ქართველები ბუნებით ოპტიმისტები ვართ, მაგრამ ამ შემთხვევაში საფუძველიც გვაქვს.

ზურაბ თალაკვაძე

REUTERS კიამბიდან

8 აპრილს სიდნეიდან 250 კილომეტრის დაშორებით, ქალაქ კიამში ოლიმპიური ჩირაღდანი გამოსცადეს

დარჩა 154 დღე

ჯერჯერობით +12

2000 წლის პირველ სამთვიურში გაიმართა ზაფხულის XXVII ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირები. ქართველმა ათლეტებმა ამ შეჯიბრებებში თავი გამოიჩინეს და შარშანდელ 19 ლიცენზიას კიდევ 12 შემატეს, რაც საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით უდავოდ კარგ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა ამით ყველაფერი არ დამთავრებულა. წინ კიდევ რამდენიმე სალიცენზიო ტურნირია და მათ შორის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა და ძიუდოისტთა ევროპის პირველობები. მოჭიდავეებმა — ოთარ თუშიშვილმა (58კგ) და გურამ მჭედლიძემ (76კგ) უკვე მოიპოვეს სიდნეიში გასამგზავრებელი საგზურები.

წარმოგიდგენთ იმ სპორტსმენთა სრულ სიას, რომელთაც უკვე მოიპოვეს სიდნეიში ასპარეზობის უფლება.

1. ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), 2. რუსუდან ხოფერია (ბატუტზე ხტომა), 3. ნანა ნებიერიძე (წყალში ხტომა), 4. ხათუნა ფუტკარაძე, 5. ხათუნა ქვრივიშვილი (ორივე მშვილდოსნობა), 6. ინგა თავდიშვილი (მხ. ტანვარჯიში), 7. გიორგი რევაზიშვილი, 8. ნესტორ ხერგიანი, 9. გიორგი ვაზაგაშვილი, 10. ივერი ჯიქურაული, 11. რამაზ ჩოჩიშვილი, 12. გიორგი გუგავა (ყველა ძიუდო), 13. ელდარ კურტანიძე, 14. ემზარ ბედინეიშვილი, 15. ალექსი მოდებაძე, 16. დავით პოღოსიანი, 17. გურამ მჭედლიძე, 18. ოთარ თუშიშვილი (ყველა თავისუფალი ჭიდაობა), 19. ტარიელ მელელაშვილი, 20. ალექსანდრე ცერცვაძე, 21. გენადი ჩხაიძე, 22. კობა გულიაშვილი, 23. მირიან გიორგაძე, 24. აკაკი ჩაჩუა (ყველა ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), 25. გიორგი ასანიძე, 26. მუხრან გოგია (ორივე ძალოსნობა), 27. ვლადიმერ ჭანტურია, 28. თემურ ხურცილავა (ორივე კრივი), 29. ილია გიორგაძე (სპორტული ტანვარჯიში).

შენიშვნა: 1. ნინო სალუქაძის მიერ ნაჩვენები შედეგები საშუალებას იძლევა, საქართველოს მეორე წარმომადგენელი ჰყავდეს სპორტის ამ სახეობაში.

2. საქართველოს ძალოსნების მიერ ათენის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაკავებული გუნდური ადგილით განისაზღვრა, რომ ჩვენს ქვეყანას შეუძლია სიდნეიში სამი ძალოსანი გააგზავნოს.

3. ქართველმა ძიუდოისტებმა 90 კგ. წონით კატეგორიაში ორი ლიცენზია მოიპოვეს (გიორგი გუგავა, ზურაბ ზვიადაური), ოლიმპიადაზე წონაში მხოლოდ ერთი სპორტსმენის ასპარეზობაა დაშვებული.

ისინი იასპარეზებენ სიდნეიში

ინგა თავდიშვილი

მხატვრული ტანვარჯიში

დაიბადა 1982 წლის 20 ივლისს რუსთავში. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1989 წელს ნანი ლონდარიძესთან.

არის საქართველოს სამგზის ჩემპიონი (1997, 98, 99 წლებში); მოსკოვის 1998 წლის მსოფლიოს პირველი ახალგაზრდული თამაშების ფინალისტი; 1998-99 წლების „გრან პრის“ საერთაშორისო ტურნირებისა და 1999 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი.

სამი შეკითხვა ლიცენზიანტებს

1. რატომ აირჩიეთ სპორტის ეს სახეობა?

2. გაიხსენეთ რაიმე კურიოზი თქვენი სპორტული ცხოვრებიდან.

3. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე რომელი ადგილის დაკავებას ვარაუდობთ?

1. მხატვრულ ტანვარჯიშში, შეიძლება ითქვას, სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი. ჩემი ამჟამინდელი მწვრთნელის ნანი ლონდარიძის დამრიგებელმა ლუდმილა სოფრომაძემ მამაჩემთან სამსახურში მნახა, მოვეწონე და გასასინჯად წამიყვანა. აი, ასე მოვხვდი მხატვრულ ტანვარჯიშში და სულაც არ ვნანობ. სპორტის ეს სახეობა ძალიან მიზიდავდა. ვფიქრობ, გოგოსთვის ძალიან ლამაზია, გრაციოზული.

2. კურიოზი სპორტში არ მქონია.

3. ძალიან მინდა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი გავხდე, მაგრამ ვიცი, ეს სურვილი ჯერჯერობით ძნელად შესასრულებელია. ამიტომაც, ამჯერად ფინალში, ანუ 8 საუკეთესოში მოსახვედრად ვიბრძოლებ.

ოლიმპიური კურიერი

უკრაინის სპორტის მინისტრის მოადგილემ ვასილ ზაბროდამ განაცხადა, რომ ოლიმპიურ თამაშებზე წარმატებული გამოსვლის შემთხვევაში თითოეული უკრაინელი სპორტსმენი სოლიდურ ფულად პრემიას მიიღებს. პირველ ადგილზე გასულ სპორტსმენს 100 ათასი ამერიკული დოლარი გადაეცემა, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსნებს კი — შესაბამისად 30 და 20 ათასი ამერიკული დოლარი.

აღსანიშნავია, რომ სამი კვირით ადრე რუსეთის სპორტის მმართველებმაც დააწესეს ფულადი პრემიები, უკრაინელების მსგავსად პირველ ადგილზე გასული რუსი სპორტსმენი 100 ათას ამერიკულ დოლარს მიიღებს.

ბელარუსის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლის თქმით, სიდნეიში ნებისმიერი სინჯის მედლის მოპოვების შემთხვევაში, თითოეული ბელარუსი სპორტსმენი მიიღებს საცხოვრებელ ბინას მინსკის პრესტიჟულ უბანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამარანჩი დიეტაზეა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ესპანელი მარკიზი-ხუან ანტონიო სამარანჩი ბარსელონაში 1920 წლის 17 ივლისს დაიბადა. მან წარჩინებით დამთავრა სამართლის ფაკულტეტი. ახალგაზრდობაში სამფეროვანი დონეზე თამაშობდა ბალახის ჰოკეისა და ფეხბურთის. ამის შემდეგ კი სამარანჩს თითქმის მთელი თავისი ცხოვრება სპორტულ მოღვაწეობას დაუკავშირა. იგი გახლდათ ესპანელთა დელეგაციის ხელმძღვანელი რომისა და ტოკიოს ზაფხულის ოლიმპიადებზე და ზამთრის 1956 წლის კორტინა დამპეზოს ზამთრის თამაშებზე. მან მხოლოდ ერთხელ — 1974-78 წლებში გადაუხვია სპორტის გზას და მოსკოვში ესპანეთის ელჩად მუშობდა. რუსეთის დედაქალაქშივე ათრჩიეს სოკ-ის პრეზიდენტად.

სამარანჩთან ინტერვიუ ჩვენმა ხორვატმა კოლეგამ ჩაწერა, რომლის გადმოქართულებული ვარიანტიც ვფიქრობთ, მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს.

— ბატონო სამარანჩ, თქვენ მიზანშეწონილად მიიჩნიეთ ოლიმპიური თამაშებში პროფესიონალი კალათბურთელებისა და ჩოგბურთელების მონაწილეობა. ფეხბურთმა რაღა დაშავა?

— ყველანაირად ვცდილობთ, და ეს ჩვენი მოვალეობაცაა, რომ ოლიმპიურმა თამაშებმა რაც შეიძლება ბევრი მაღალი კლასის სპორტსმენი მიიზიდოს, რაც მას კიდევ უფრო პოპულარულს ხახდის და დონესაც აუმაღლებს. პოპულარობა ოლიმპიურ თამაშებს არც ადრე აკლდა, მაგრამ დროთა განმავლობაში პროგრესი ხომ უნდა იგრძნობოდეს? ამიტომაც, გადავწყვიტეთ თამაშების პროგრამაში პროფესიონალ კალათბურთელთა და ჩოგბურთელთა შეყვანა. ამ ნაბიჯით, ვფიქრობ, ოლიმპიურმა თამაშებმა თუ არ მოიგო, არც არაფერი წაუგია.

ფეხბურთმა რაღა დაშავა, მკითხეთ. არაფერი. ოლიმპიურ თამაშებზე ზიდანისა და ბატისტუტას ხილვა კარგი იქნებოდა, მაგრამ ეს ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ახალი არავისთვისაა, რომ ფიფა-უეფას ძალიან გადატვირთული კალენდარი აქვს და მასში ჯერჯერობით ოლიმპიური თამაშების ადგილი არ მოიძებნა.

— რამდენადაც ცნობილია, ოლიმპიური თამაშების ჩატარება ძვირი სიამოვნებაა, აქედან სოკ-ის ფინანსური ხვირი როგორია?

— მართალი ბრძანდებით. ოლიმპიური თამაშების გამართვა საკმაოდ სოლიდურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ შემდეგ ამონაგები, რა თქმა უნდა, უფრო მეტია. გეტყვით, რომ შემოსული ფულის ძირითადი ნაწილი თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს გადაეცემა, რათა დაიფაროს ღონისძიების ჩატარებაზე დახარჯული თანხები. გარკვეულ რაოდენობას, რა თქმა უნდა, სოკ-იც ღებულობს, რომელსაც შემდეგ სხვადასხვა საერთაშორისო ფედერაციებსა და ოლიმპიურ კომიტეტებს ვუნაწილებთ სპორტისა და ოლიმპიზმის განვითარების მიზნით.

— იქნებ ორიოდე სიტყვა სოლტ ლეიკ სიტის ირგვლივ ატეხილ სკანდალზეც გვითხრათ?

— არავითარ შემთხვევაში. ამ თემაზე მასმედიის წარმომადგენლებს აღარაფერს ვეუბნები, თანაც ეს საკითხი ჩემთვის ძალიან მტკივნეული გახლავთ და მისი ხელმეორედ გახსენება აღარც მსურს.

— ოლიმპიური თამაშების ისტორიაში არაერთი სპორტსმენი უმნელიათ აკრძალული პრეპარატების მიღებაში. ამ პრობლემის შესახებ რას იტვით?

— ეს პრობლემა უკვე დიდი ხანია დგას დღის წესრიგში და მას აუცილებლად გადავჭრით. რა თქმა უნდა, ის ფაქტი, რომ სპორტსმენები ეტანებიან აკრძალულ პრეპარატებს და თანაც ოლიმპიური თამაშების მსვლელობის დროს, ერთობ არასასიამოვნოა. გასაგებია, რომ დიდი სპორტი უზარმაზარ ენერგიას მოითხოვს და გარკვეული სტიმულატორებიც საჭიროა, მაგრამ დოპინგის მიღება მეტისმეტია და იგი თამაშებს სახელს და იმიჯს უბღალავს.

მინდა აღვნიშნო, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ერთ-ერთი პირველთაგანი გახლდათ, ვინც სპორტში აკრძალული პრეპარატების გამოყენებას დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა. მართალია, ეს პრობლემა იოლად ვერ მოგვარდება, მაგრამ მჯერა, რომ ჩვენს მიერ არჩეული კურსი სულ მალე დადებით შედეგს გამოიღებს და ყველაფერი კარგად დასრულდება.

— რას ფიქრობთ, მსოფლიოში სპორტი პოპულარულია?

— უამრავ ინფორმაციულ წყაროებზე დაყრდნობის შედეგად აღმოჩნდა, რომ სპორტი მთელს მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. მოსახლეობის დახლოებით 75 პროცენტს მიაჩნია, რომ ეს დარგი ამავე დროს საჭიროცაა. დარწმუნებული ვარ, ამდაგვარი ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება.

— ქალთა სპორტის შესახებ რა აზრის ბრძანდებით?

— დადებითის. ანდა მითხარით, რატომ უნდა ვიყო უარყოფითად განწყობილი? საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ყველანაირად ცდილობს, სრულად უზრუნველყოს მანდილოსანთა მონაწილეობა ნებისმიერ საერთაშორისო ტურნირში. აღსანიშნავია, რომ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილე სპორტსმენთა 40 პროცენტს ქალები შეადგენენ.

— რას ურჩევდით პატარა და განვითარებად სახელმწიფოებს ქვეყანაში სპორტის აღმავლობისთვის?

— ასეთ ქვეყნებს სოკ-ი შეძლებისდაგვარად გვერდში უდგას როგორც მატერიალურად, ასევე მორალურადაც, მაგრამ საქმეს მარტო ეს ვერ უშველის. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სახელმწიფოს მართვის ორგანოების მხარდაჭერა. მათთვის სპორტი მეორეხარისხოვანი არ უნდა იყოს. ასევე აუცილებელია სპონსორთა დაინტერესება, ინვესტორთა მოზიდვა და ასე შემდეგ. მოკლედ, ყველამ უნდა იცოდეს, რომ სპორტში ჩადებული ფული გადაყრილი არ არის.

— მოდით, კვლავ სიდნეი 2000-ის თემას დავუბრუნდეთ. მისი წინამორბედი ორგანიზაციული თვალსაზრისით ცოტა არ იყოს მოიკოჭლებდა. ამ მხრივ სიდნეიში როგორ იქნება საქმე?

— ატლანტაში მართლაც ბევრი საორგანიზაციო წუნი შეინიშნებოდა, რაც პრობლემებს თავის მხრივ სპორტსმენებსაც უქმნიდა, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ყველა დიდ საერთაშორისო ღონისძიებას, არა აქვს მნიშვნელობა სპორტული იქნება იგი თუ არა, თან სდევს პატარ-პატარა ხარვეზებიც.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სიდნეი 2000-ის საორგანიზაციო კომიტეტი ყველაფერს ჩინებულად გაართმევს თავს და საუკუნის უკანასკნელი ზაფხულის ოლიმპიური თამაშებით ყველანი კმაყოფილნი დავრჩებით.

— ბატონო სამარანჩ, რა დასამალია და თქვენს ასაკთან შედარებით საკმაოდ მხნედ და ჯანსაღად გამოიყურებით. თქვენზე ამბობენ, სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად ყოველდღე ვარჯიშობსო.

— ისე, რა ხართ მაინც ეს ჟურნალისტები, ყველაფერი გაინტერესებთ. გამოვიტყდებით, რომ დილის მოთეღვის გარდა დიეტასაც ვიცავ.

— დაბოლოს, 20 წელია, ამ თანამდებობაზე იმყოფებით. პენსიაზე გასვლის შემდეგ თუ გიფიქრიათ თქვენს შემცვლელზე?

— სიმართლე გითხრათ არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ვინც მოვა, ღირსეული პიროვნება იქნება.

ჟურნალ „ოლიმპიადან“ თარგმნა

ანა ბერიძემ

ოლიმპიური კურიერი

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი მშვილდოსნობაში, ამერიკელი ჯასტინ ჰიუში სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე არ იასპარეზებს. მარიხუანას გაყიდვაში ეჭვმიტანილმა ჰიუშმა განაცხადა, რომ მას არ სურს, სახელი გაუტეხოს თავის თანამემამულე ოლიმპიელებს.

ორი კვირის წინ ვენტურას მახლობლად პოლიციამ დააკავა მთვრალი ჯასტინი, რომელსაც დიდი რაოდენობით მარიხუანა აღმოუჩინეს. სპორტსენის თქმით, მას წარმოდგენა არა აქვს, საიდან გაჩნდა მის ჩანთაში ნარკოტიკი.

ჰიუშს, რომელიც ატლანტის ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია, სავარაუდოდ 26 წლის დანიელ ჯენსი შეცვლის.

* * *

ამ ორიოდე დღის წინ უკრაინის დედაქალაქში ტრაგიკული შემთხვევა მოხდა — მოკლეს უკრაინის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი თეიმურაზ სავლოხოვი. მასთან ერთად გარდაიცვალა მისი პირადი მცველი ანატოლი მიხაილენკო.

45 წლის სავლოხოვი უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს და იმავდროულად ერთ-ერთი ბანკის პრეზიდენტიც იყო. გამომძიებლების თქმით, მკვლელობაც სწორედ ამ ბანკის გარემო შექმნილი არაჯანსაღი ვითარების გამო მოხდა.

ალექსანდრ კარელინი: პუტინთან არასოდეს მიჭიდავია



ალექსანდრ კარელინი

ლეგენდარული რუსი ფალავანი ალექსანდრ კარელინი დაიბადა 1967 წლის 19 სექტემბერს ნოვოსიბირსკში. ჭიდაობის სექციაში იგი 1981 წელს, მისმა მეგობარმა არტიომ ბელოგოროდოვმა მიიყვანა, რომლის მამაც იმდროინდელი სსრკ-ს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი იყო. 1983 წელს კარელინმა მოიგო პირველი დიდი შეჯიბრი — გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის. ამის შემდეგ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ისტორიაში უძლიერესად აღიარებულმა კარელინმა 472 ორთაბრძოლა ჩაატარა, რომელთაგან მხოლოდ ერთი წააგო — 1987 წელს მას ქულებით სძლია იმ დროს მსოფლიოს ჩემპიონმა როსტოროვკიმ. 1990 წლიდან კი მას ისეთი შედეგები ჰქონდა, რომელსაც ალბათ ვერავინ გაუმჯობესებს. მსოფლიოსა თუ ევროპის პირველობებზე, ოლიმპიურ თამაშებსა თუ სხვა საერთაშორისო ტურნირებზე მისმა მოწინააღმდეგეებმა კარელინთან ბრძოლაში საერთო ჯამში მხოლოდ 1 ქულის მოპოვება შეძლეს. კარელინსვე ეკუთვნის კიდევ ერთი დიდებული შედეგი: მან იასპარეზა 9 მსოფლიოს ჩემპიონატზე და ცხრაჯერვე გაიმარჯვა, თანაც ისე, რომ მოწინააღმდეგეებისთვის ერთი ქულაც კი არ დაუნებია. 1989, 90, 92, 94 და 1995 წლებში იგი მსოფლიოს წლის საუკეთესო მოჭიდავედ აღიარეს. სიდნეის ოლიმპიური თამაშები კარელინისთვის მისი მეოთხე ოლიმპიადაა და გამარჯვების შემთხვევაში იგი გახდება პირველი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე, რომელსაც ზედიზედ ოთხი ოლიმპიური ოქრო ექნება მოგებული.

191 სმ-ის სიმაღლისა და 133 კილოიანი კარელინი ერთ-ერთ ყველაზე პატივსაცემ და ინტელიგენტურ სპორტსმენად ითვლება. ამას წინათ ერთ-ერთი ფრანგული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში კარელინმა აღნიშნა, რომ თავისუფალ დროს იგი მთლიანად კლასიკური მუსიკის სმენასა და მხატვრული ლიტერატურის კითხვას უთმობს. მისი საყვარელი კომპოზიტორი ჩაიკოვსკი გახლავთ, მწერლებიდან კი შექსპირს ანიჭებს უპირატესობას. მისი საყვარელი ფილმების კატეგორიას განეკუთვნება ფილმი „უბრალო ეჭვმიტანილი“, სადაც ერთ-ერთმა წარმოთქმულმა ფრაზამ კარელინის აღფრთოვანება გამოიწვია: „მე არ მჯერა ღმერთის, მაგრამ აღვიქვამ მის ყოვლისშემძლეობას“.

დღესდღეობით ალექსანდრ კარელინი რუსეთის დუმის დეპუტატი და ქვეყნის პირველი პირის — პუტინის მეგობარია. ამავდროულად კარელინი ერთ-ერთი პრესტიჟული ბანკის ვიცე-პრეზიდენტიცაა.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია ალბათ სრულ წარმოდგენას შეგიქმნით რუსეთის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო სპორტსმენზე — ალექსანდრ კარელინზე, ინტელიგენტ, პატივსაცემ და თავისი საქმის მოყვარულ პიროვნებაზე. ალბათ მასთან მცირე ინტერვიუც უინტერესო არ უნდა იყოს მკითხველისათვის.

— ბატონო ალექსანდრ, საქართველოდან გაწუხებთ.

— დიახ, გისმენთ, რითი შემიძლია დაგეხმაროთ?

— პირველ რიგში გვაინტერესებს, როგორ მიდის თქვენი მზადების პროცესი სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის და როგორ სპორტულ ფორმაში ხართ?

— სიდნეისთვის მართლაც რომ ინტენსიურად ვემზადები. მარტში გუნდის სხვა წევრებთან ერთად ტაშკენტში ვიყავი შეკრებაზე, მაისში კი ფორმის შესანარჩუნებლად ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირში ვაპირებ გამოსვლას, რომელში ჯერჯერობით ვერ გეტყვით. ოლიმპიური ტიტულისთვის საბრძოლველად საჭირო კონდიციებს კი, ალბათ, ივლისისთვის მივაღწევ.

— სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ვინ მიგაჩნიათ თქვენს მთავარ კონკურენტებად. რა თქმა უნდა, თუ ასეთები არიან.

ოლიმპიური თამაშები რადიკალურად განსხვავდება სხვა შეჯიბრებებისგან. ეს განსვავება ნაწილობრივ იმაშიც გამოიხატება, რომ ინდივიდუალურ სახეობებში სპორტსმენთა დიდ ჯგუფს აქვს სხვადასხვა სინჯის მედლის მოპოვების შესაძლებლობა. გამონაკლისი არც ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაა.

— კი მაგრამ, თქვენ ალექსანდრ კარელინი ბრძანდებით?

— (იცინის) სახელით რომ შეიძლებოდეს ოქროს მედლის მოპოვება, სიდნეიში საერთოდ არ გავემგზავრებოდი.

— ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ ერთადერთი მოჭიდავე, ვისაც კარელინის დამარცხება ძალუძს, არის თავად ალექსანდრ კარელინი?

— არავითარ შემთხვევაში. ბოლო ხანს ბევრი კარგი ფალავანი გამოჩნდა, რომელთაც ჩემი დამარცხება შეუძლიათ, თუმცა ჩემზე აშკარად ძლიერები ნამდვილად არ არიან.

— ბატონო ალექსანდრ, ერთი ტრაფარეტული შეკითხვა უნდა დაგისვათ. რუსეთის დუმის დეპუტატობა ხომ არ უშლის ხელს თქვენს სპორტულ მოღვაწეობას?

— შეკითხვა ნამდვილად ტრაფარეტულია და ნუ მიწყენთ, თუ პასუხიც ამდაგვარი იქნება: არა.

— ხომ არ გიასპარეზიათ საკმაოდ პოპულარულ ბრძოლაში წესების გარეშე?

— დიახ, რამდენჯერმე ვიასპარეზე ამდაგვარ ტურნირებზე და ორჯერ გავიმარჯვე კიდეც.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან?

— ბატონ პუტინთან სუფთა სამსახურეობრივი ურთიერთობები მაკავშირებს. აქვე ერთიც მინდა აღვნიშნო — მასთან არასოდეს მიჭიდავია.

ზურაბ თალაკვაძე

ოლიმპიური ჩანართი მომზადა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურმა

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

„კროკოს“ მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე (კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში) 11⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე მუშაობს

ინგლისი. პირველი დივიზიონი

ჩარლტონი	41	27	8	6	76	37	89	15	2	3	35	13	12	6	3	41	24
სიტი	41	23	9	9	68	36	78	15	2	4	45	17	8	7	5	23	19
იფსვიჩი	41	21	12	8	63	38	75	14	3	4	36	17	7	9	4	27	21
ბარნსლი	41	22	9	10	82	59	75	14	4	3	46	21	8	5	7	36	38
ბირმინგემი	41	20	10	11	61	42	70	14	4	2	35	15	6	6	9	26	27
ჰადერსფილდი	41	19	11	11	59	40	68	14	5	2	43	16	5	6	9	16	24
ვულვზი	41	18	11	12	57	45	65	13	5	3	40	20	5	6	9	17	25
ბოლტონი	41	17	12	12	56	44	63	12	5	4	40	25	5	7	8	16	19
ფულემი	41	15	15	11	41	36	60	11	6	3	25	12	4	9	8	16	24
ბლეკბერნი	41	15	14	12	51	43	59	10	7	3	30	14	5	7	9	21	29
ქუინზ პარკი	41	14	16	11	54	48	58	8	11	2	27	19	6	5	9	27	29
შეფილდ იუნ.	41	13	12	16	55	62	51	10	6	5	35	21	3	6	11	20	41
ნორვიჩი	41	12	14	15	41	46	50	9	5	6	23	21	3	9	9	18	25
ტრანმერი	40	13	11	16	50	58	50	9	7	4	31	23	4	4	12	19	35
პორტსმუთი	41	13	9	19	50	58	48	9	5	7	33	22	4	4	12	17	36
სტოკპორტი	41	11	15	15	46	60	48	7	8	5	28	27	4	7	10	18	33
გრიმსბი	41	13	9	19	38	62	48	10	6	4	25	22	3	3	15	13	40
კრ. პალასი	41	11	14	16	51	60	47	6	11	4	31	23	5	3	12	20	37
ნოტინგემი	41	11	12	18	46	52	45	8	9	4	27	18	3	3	14	19	34
ვესტ ბრომვიჩი	41	8	17	16	34	53	41	5	10	6	19	22	3	7	10	15	31
ქრიუ	41	11	8	22	37	60	41	7	5	8	21	25	4	3	14	16	35
უოლსოლი	41	9	12	20	47	70	39	5	5	10	21	31	4	7	10	26	39
პორტვეილი	40	7	13	20	44	60	34	6	5	9	24	25	1	8	11	20	35
სუინდონი	41	6	11	24	31	69	29	3	6	11	18	34	3	5	13	13	35

ინგლისი. მეორე დივიზიონი

პრესტონი	41	24	11	6	66	33	83	13	4	4	33	21	11	7	2	33	12
უიგანი	41	21	15	5	67	32	78	14	3	4	36	13	7	12	1	31	19
როვერსი	41	22	10	9	64	38	76	12	6	2	30	15	10	4	7	34	23
მილუოლი	41	21	12	8	65	40	75	13	6	2	38	16	8	6	6	27	24
ბარნლი	40	20	13	7	56	37	73	14	3	3	36	17	6	10	4	20	20
სტოკი	41	19	13	9	60	40	70	10	7	3	31	17	9	6	6	29	23
ჭილინგემი	39	20	9	10	64	43	69	12	3	4	36	19	8	6	6	28	24
ნოტსი	41	18	10	13	57	46	64	9	5	6	29	22	9	5	7	28	24
ბრისტოლი	41	13	18	10	51	47	57	7	13	1	29	14	6	5	9	22	33
ლუთონი	41	16	8	17	57	59	56	10	5	5	38	31	6	3	12	19	28
ოლდემი	41	15	10	16	45	49	55	8	4	8	24	23	7	6	8	21	26
ბორმუთი	41	16	6	19	54	55	54	11	4	6	34	16	5	2	13	20	39
უიკომბი	41	13	13	15	48	49	52	9	4	7	27	23	4	9	8	21	26
რედინგი	41	13	13	15	49	59	52	8	9	4	25	17	5	4	11	26	42
ბრენტფორდი	41	13	11	17	43	52	50	8	5	7	24	25	5	6	10	19	27
ბერი	40	11	15	14	52	55	48	7	8	5	33	29	4	7	9	19	26
კოლჩესტერი	41	13	9	19	53	73	48	9	4	8	30	35	5	5	10	23	38
რექსჰემი	41	12	11	18	45	60	47	6	6	8	20	24	6	5	10	25	37
კემბრიჯი	41	10	12	19	56	58	42	7	6	8	35	31	3	6	11	21	27
ოქსფორდი	41	11	7	23	37	67	40	5	4	11	20	35	6	3	12	17	32
კარდიფი	40	7	17	16	40	54	38	4	10	6	22	28	3	7	10	18	26
ბლეკპული	41	7	15	19	42	68	36	3	9	8	22	32	4	6	11	20	36
სკანთორპი	41	8	12	21	37	67	36	4	6	11	15	30	4	6	10	22	37
ჩესტერფილდი	40	5	12	23	26	54	27	4	7	10	15	21	1	5	13	11	33

ინგლისი. მესამე დივიზიონი

როტერჰემი	41	22	10	9	66	32	76	12	4	5	40	16	10	6	4	26	16
სუონსი	41	21	12	8	44	27	75	13	6	2	27	10	8	6	6	17	17
დარლინგტონი	41	20	13	8	62	33	73	12	8	0	40	13	8	5	8	22	20
ნორთჰემპტონი	41	20	7	14	55	44	67	14	2	5	34	18	6	5	9	21	26
ჩელტენჰემი	41	19	9	13	48	37	66	12	3	5	27	16	7	6	8	21	21
პიტერბრო	40	18	11	11	55	49	65	12	4	4	34	26	6	7	7	21	23
ბარნეტი	41	18	10	13	50	48	64	11	5	5	33	22	7	5	8	17	26
ჰარტლპული	41	18	8	15	52	46	62	14	1	5	28	15	4	7	10	24	31
პლიმუთი	41	15	16	10	51	44	61	11	9	0	36	16	4	7	10	15	28
ტორკი	41	16	12	13	53	46	60	11	6	4	31	16	5	6	9	22	30
როჩდეილი	40	16	12	12	48	44	60	8	6	6	19	19	8	6	6	29	25
ბრაიტონი	40	15	13	13	60	44	58	9	5	6	36	24	6	8	7	24	20
მაკლსფილდი	41	16	10	15	60	55	58	9	6	6	34	27	7	4	9	26	28
ლინკოლნი	41	14	13	14	66	62	55	10	5	6	37	23	4	8	8	29	39
შენსფილდი	41	16	7	18	48	59	55	9	5	6	31	22	7	2	12	17	37
ჰალი	41	13	14	14	40	36	53	7	8	6	25	17	6	6	8	15	19
ჰალიფაქსი	41	14	9	18	40	50	51	6	5	9	19	20	8	4	9	21	30
საუთენდი	41	13	11	17	48	55	50	9	5	6	33	28	4	6	11	15	27
ლეიტონი	41	12	10	19	41	48	46	6	6	8	18	20	6	4	11	23	28
იორკი	41	10	14	17	36	51	44	6	9	6	19	21	4	5	11	17	30
ექსეტერი	41	10	10	21	41	64	40	7	6	8	23	28	3	4	13	18	36
ჩარლაისლი	41	9	10	22	41	70	37	6	6	8	22	25	3	4	14	19	45
შრიუსბერი	41	7	13	21	32	57	34	4	6	10	15	20	3	7	11	17	37
ჩესტერი	41	8	8	25	39	75	32	4	5	12	18	35	4	3	13	21	40

საფრანგეთი

მონაკო	30	19	4	7	60	29	61	12	3	0	30	7	7	1	7	30	22
ლიონი	30	15	6	9	38	35	51	9	4	2	22	10	6	2	7	16	25
პსჟ	30	13	9	8	43	36	48	9	4	2	23	16	4	5	6	20	20
ბორდო	30	13	8	9	45	36	47	10	3	2	28	13	3	5	7	17	23
ბასტია	30	11	10	9	39	33	43	11	4	0	30	5	0	6	9	9	28
სედანი	30	12	7	11	38	39	43	8	4	3	20	13	4	3	8	18	26
ოსერი	30	12	7	11	31	33	43	10	2	3	23	14	2	5	8	8	19
სტრასბური	30	12	6	12	40	47	42	9	3	3	27	18	3	3	9	13	29
სენტ ეტიენი	30	11	8	11	41	44	41	6	5	4	24	20	5	3	7	17	24
რენი	30	11	7	12	41	40	40	9	3	3	29	15	2	4	9	12	25
ლანსი	30	11	7	12	32	33	40	7	3	5	21	16	4	4	7	11	17
მარსელი	30	9	11	10	39	39	38	6	6	4	26	17	3	5	6	13	22
მეცი	30	7	16	7	33	29	37	5	8	2	20	13	2	8	5	13	16
ნანტი	30	10	6	14	36	38	36	8	1	6	26	17	2	5	8	10	21
ტრუა	30	11	3	16	30	47	36	7	1	6	18	17	4	2	10	12	30
ნანსი	30	9	7	14	35	40	34	6	4	5	21	17	3	3	9	14	23
ლეავრი	30	9	7	14	28	42	34	7	4	4	18	13	2	3	10	10	29
მონპელიე	30	6	9	15	34	43	27	4	7	4	20	16	2	2	11	14	27

შოტლანდია

რეინჯერსი	28	21	6	1	79	21	69	13	1	1	43	10	8	5	0	36	11
სელტიკი	29	18	2	9	78	33	56	10	1	3	48	13	8	1	6	30	20
ჰართსი	29	12	8	9	40	33	44	6	5	3	21	13	6	3	6	19	20
მოზერუელი	29	10	9	10	38	56	39	5	2	6	19	30	5	7	4	19	26
ჰიბერნიანი	29	9	9	11	41	47	36	6	5	5	26	24	3	4	6	15	23
სტ. ჯონსტონი	29	8	9	12	28	35	33	4	6	5	14	15	4	3	7	14	20
დანდი იუნ.	28	9	6	13	28	44	33	6	4	4	15	16	3	2	9	13	28
დანდი	29	9	4	16	37	55	31	2	3	9	15	29	7	1	7	22	26
კილმარნოკი	29	5	13	11	31	39	28	3	5	6	12	17	2	8	5	19	22
აბერდინი	27	6	6	15	32	69	24	4	4	6	20	32	2	2	9	12	37

იტალია. სერია B

ვიჩენცა	30	16	6	8	55	32	54	12	2	1	37	11	4	4	7	18	21
ბრესა	30	14	11	5	43	25	53	9	4	3	27	10	5	7	2	16	15
ატალანტა	30	14	8	8	40	28	50	10	3	2	28	14	4	5	6	12	14
ნაპოლი	30	12	11	7	41	34	47	8	6	1	25	13	4	5	6	16	21
სამპდორია	30	12	11	7	33	27	47	6	6	2	17	12	6	5	5	16	15
ჯენოა	30	12	6	12	37	33	42	10	4	2	28	13	2	2	10	9	20
სალერნიტანა	30	11	9	10	43	42	42	9	4	2	27	13	2	5	8	16	29
ტრევიზო	30	11	8	11	39	36	41	10	4	1	30	13	1	4	10	9	23
კიევო	30	10	9	11	37	39	39	7	6	2	21	14	3	3	9	16	25
კოზენცა	30	9	12	9	26	29	39	8	4	3	15	9	1	8	6	11	20
ჩეზენა	30	8	14	8	37	34	38	7	9	0	25	11	1	5	8	12	23
რავენა	30	9	11	10	30	29	38	7	5	2	16	6	2	6	8	14	23
ტერნანა	30	8	13	9	32	37	37	5	8	2	20	16	3	5	7	12	21
პესკარა	30	7	15	8	43	40	36	5	5	4	25	17	2	10	4	18	23
ალბანო	30	9	9	12	28	37	36	8	3	4	20	19	1	6	8	8	18
ემპოლი	30	9	9	12	28	44	36	9	3	2	19	15	0	6	10	9	29
მონცა	30	6	16	8	30	35	34	5	11	0	16	11	1	5	8	14	24
პისტოიეზე	30	9	8	13	28	34	31	8	4	3	17	10	1	4	10	11	24
სავოია	30	6	10	14	29	44	28	5	7	3	18	15	1	3	11	11	29
ფერმანა	30	5	10	15	28	48	25	5	5	5	16	18	0	5	10	12	30

იტალია. სერია C1/a

სიენა	29	15	9	5	36	17	54	11	2	2	25	8	4	7	3	11	9
ვარეზე	29	11	13	5	35	24	46	8	5	2	22	11	3	8	3	13	13
ლუკეზე	29	11	12	6	33	27	45	9	4	2	19	10	2	8	4	14	17
პიზა	29	11	11	7	29	22	44	6	4	4	18	15	5	7	3	11	7
ჩიტადელა	29	10	12	7	27	23	42	7	5	3	16	9	3	7	4	11	14
ალბინოლეფე	29	10	12	7	30	27	42	7	5	2	20	11	3	7	5	9	10
ბრეშელო	29	10	11	8	27	27	41	5	7	3	14	12	5	4	5	13	15
სპალ	29	10	10	9	29	26	40	6	5	3	14	8	4	5	6	15	18
ლივორნო	29	8	13	8	31	29	37	5	6	4	18	14	3	7	4	13	15
კომო	29	7	16	6	22	21	37	3	10	2	9	10	4	6	4	13	11
კარარეზე	29	8	12	9	26	29	36	4	9	1	16	11	4	3	8	10	18
მოდენა	29	8	12	9	21	28	36	4	8	3	10	11	4	4	6	11	17
რეჯანა	29	9	8	12	30	31	35	7	3	4	18	13	2	5	8	12	18
კრემონეზე	29	5	15	9	25	30	30	3	9	3	15	15	2	6	6	10	15
ლუმეცანე	29	5	13	11	22	31	28	3	6	5	12	13	2	7	6	10	18
ლეკო	29	5	13	11	21	31	28	2	9	3	8	9	3	4	8	13	22
მონტევარკი	29	5	12	12	22	31	27	4	5	5	12	14	1	7	7	10	17
სანდონა	29	3	16	10	22	34	25	2	8	4	13	15	1	8	6	9	19

იტალია. სერია C1/b

კროტონე	29	17	10	2	52	19	61	11	3	0	31	6	6	7	2	21	13
ანკონა	29	16	9	4	42	18	57	10	5	0	29	10	6	4	4	13	8
ასკოლი	29	11	14	4	43	24	47	5	7	2	24	12	6	7	2	19	12
ვიტერბეზე	29	12	10	7	41	33	46	7	7	1	25	12	5	3	6	16	21
არეცო	29	12	10	7	40	32	46	6	7	1	25	15	6	3	6	15	17
კატანია	29	11	12	6	35	24	45	7	5	2	20	10	4	7	4	15	14
პალერმო	29	11	11	7	24	20	44	7	6	2	16	7	4	5	5	8	13
ნოჩერინა	29	8	15	6	24	19	39	7	7	1	16	6	1	8	5	7	12
სტაბია	29	9	12	8	35	31	39	7	4	4	23	14	2	8	4	12	17
ბენევენტო	29	7	13	9	23	30	34	5	6	3	14	11	2	7	6	9	19
დი სანგრო	29	8	10	11	26	34	34	6	3	6	17	18	2	7	5	9	16
ჯულიანოვა	29	9	7	13	29	40	34	7	3	4	16	11	2	4	9	13	29
აველინო	29	8	9	12	24	29	33	7	4	3	18	10	1	5	9	6	19
გუალდო	29	6	12	11	27	36	30	5	8	2	15	11	1	4	9	12	25
ლოდიჯანი	29	6	11	12	31	43	29	5	4	5	17	17	1	7	7	14	26
ფ. ანდრია	29	4	12	13	20	34	24	3	8	4	11	13	1	4	9	9	21
ატლეტიკო	29	5	9	15	22	38	24	4	5	6	13	18	1	4	9	9	20
მარსალა	29	5	6	18	20	54	21	2	4	8	9	18	3	2	10	11	36

მეორე ბუნდესლიგა

კიოლნი	26	14	7	5	50	26	49	9	4	0	36	9	5	3	5	14	17
ბოხუმი	26	14	5	7	45	34	47	9	0	4	28	19	5	5	3	17	15
კოტბუსი	26	13	3	10	48	33	42	9	1	2	28	11	4	2	8	20	22
ნიურნბერგი	25	12	6	7	42	38	42	10	3	0	31	13	2	3	7	11	25
ფლდბანი	26	10	10	6	41	31	40	8	3	3	28	14	2	7	3	13	17
ალემანია	26	10	9	7	36	40	39	6	4	2	20	12	4	5	5	16	28
ბერლინი	26	9	10	7	33	33	37	7	4	3	20	16	2	6	4	13	17
ვალდჰოფი	26	8	12	6	38	36	36	7	5	1	26	17	1	7	5	12	19
ჰანოვერი	26	9	7	10	39	40	34	6	4	3	24	18	3	3	7	15	22
მაინცი	26	7	11	8	32	31	32	5	7	1	17	8	2	4	7	15	23
ქემნიცი	25	8	7	10	33	36	31	6	4	2	25	14	2	3	8	8	22
ობერჰაუზენი	26	7	10	9	27	30	31	5	6	2	18	14	2	4	7	9	16
ფიურტი	26	6	13	7	28	32	31	2	10	1	8	6	4	3	6	20	26
ზტ. პაული	26	6	12	8	26	31	30	3	8	2	12	11	3	4	6	14	20
ოფენბახი	26	6	10	10	26	37	28	6	3	5	18	18	0	7	5	8	19
ფორტუნა	26	5	11	10	25	35	26	5	6	2	17	13	0	5	8	8	22
კიკერსი	26	6	7	13	36	49	25	6	3	4	22	21	0	4	9	14	28
კარლსრუე	26	3	10	13	29	42	19	2	5	5	10	12	1	5	8	19	30

ავსტრია

რაპიდი	28	17	5	6	51	20	56	11	2	1	31	6	6	3	5	20	14
ტიროლი	28	17	5	6	41	24	56	10	2	1	23	5	7	3	5	18	19
შტურმი	28	16	7	5	53	24	55	10	2	2	37	14	6	5	3	16	10
რიდი	28	12	6	10	45	30	42	8	2	4	27	11	4	4	6	18	19
აუსტრია	28	12	6	10	37	33	42	8	1	5	23	18	4	5	5	14	15
გრაცერი	28	11	4	13	33	43	37	7	3	4	18	13	4	1	9	15	30
ზალცბურგი	28	9	8	11	27	32	35	7	4	4	18	12	2	4	7	9	20
ლინცერი	28	7	7	14	34	41	28	5	4	5	22	15	2	3	9	12	26
ბრეგენცი	28	5	5	18	19	61	20	3	5	6	13	23	2	0	12	6	38
ლუსტენაუ	28	4	7	17	19	51	19	3	5	6	13	17	1	2	11	6	34

დანია

ჰერფიოლგე	23	13	4	6	38	33	43	9	1	2	26	15	4	3	4	12	18
სილკებორგი	23	10	7	6	39	22	37	7	4	1	22	7	3	3	5	17	15
ბრონდბიუ	23	10	7	6	40	27	37	7	3	1	24	10	3	4	5	16	17
აკადემისკი	23	10	7	6	37	27	37	5	4	3	21	13	5	3	3	16	14
ლიუნგბიუ	23	11	4	8	37	31	37	8	0	4	25	15	3	4	4	12	16
ვიბორგი	23	9	6	8	33	34	33	4	4	3	16	15	5	2	5	17	19
ოლბორგი	23	7	11	5	33	26	32	6	3	3	20	12	1	8	2	13	14
კოპენჰაგენი	23	9	4	10	31	24	31	6	2	3

ესპანეთში ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი ტურიღა დარჩა. გასარკვევი ჯერაც ბევრია, მაგრამ ზოგიერთი კლუბი საშიშავლო თადარიგს აქედანვე იჭერს — ძველ ფეხბურთელებს ყიდიან, ახლებს ყიდულობენ. გარდა ამისა, ზოგიერთი მოთამაშე დაშავდა, ვიღაც კი მოშჯობინდა. ისეთებიც არიან, რომელთაც არაფერი აწუხებთ და უბრალოდ დასვენება სჭირდებათ. ბევრი სხვა პრობლემაც არსებობს. მოკლედ, საფეხბურთო ცხოვრება ჩვეული რიტმით მიდის.

ესპანური ბლოკნოტი

კარლოს როა: შაბათობით ღმერთს ვემსახურები

მალიორკა

კუნძულელებისთვის ჩემპიონატის ბოლო ტური იღბლიანი გამოდგა — „კამპ ნოუზე“ „ბარსელონის“ განადგურება ხომ ბევრისთვის აუხდენელი ოცნებაა. თუმცა მალიორკელთა სისარული ერთმა ამბავმა ოდნავ სევდანარევი გახადა. მატჩის მე-17 წუთზე ვეტერანმა მცველმა მიგელ ანხელ ნადალმა ჰაერის უკმარისობა იგრძნო და შესაცვლელი შეიქნა. 33 წლის ექსბარსელონელი დაუყოვნებლივ საავადმყოფოში წაიყვანეს. როგორც ექიმმა ხოსეპ ბორელმა განაცხადა, ფეხბურთელს კლინიკიდან რამდენიმე დღეში გაწერენ, თუმცა მინდორზე დაბრუნებას ის რამდენიმე თვეს ვერ შეძლებს. თავსატეხი გაუჩნდა ხოსე ანტონიო კამაჩოსაც. საევროპისჩემპიონატოდ გამზადებულ ესპანეთის ნაკრებს ჯერ ლუის ენრიკე, ახლა კი ნადალი გამოაკლდა. ხანგრძლივი კარიერის მანძილზე ნადალი 45-ჯერ გახლდათ მიწვეული ნაკრებში.

მალიორკელებს დაცვის ბურჯი კი დააკლდათ, მაგრამ მომავალს იმედიანად შეჰყურებენ. ამის მიზეზი არგენტინის საკურორტო ქალაქ მარდელ პლატადან მოსული შეტყობინებაა. კარლოს როა ფეხბურთს უბრუნდება! ამ სახელის გაგონებაზე ბევრს გაელიმება. შეგახსენებთ, ბრწყინვალედ ჩატარებული წინა სეზონის შემდეგ არგენტინელი მეკარე ერთ-ერთი რელიგიური სექტის ფეხის ხმის აჰყვა და განაცხადა, სამყაროს აღსასრულის დღე ახლოვდება, რა დროს ფეხბურთია, სულის გადასარჩენად უნდა ვილოცოთო. არმაგედონი, მოგეხსენებათ, არ დადგა და როამაც ძველი პროფესია გაიხსენა. ოღონდ „მალიორკას“ პრეზიდენტს ერთი პირობაც წაუყენა, რელიგია პარასკევს და შაბათს თამაშს მიკრძალავსო. ვინაიდან ესპანეთში ტურები ძირითადად კვირას ტარდება, კლუბი მეკარის მოთხოვნას დაეთანხმა. კარლოს როა ვარჯიშს მალე განაახლებს და მომავალი სეზონიდან „მალიორკას“ სასტარტო შემადგენლობაშიც ვიხილავთ.

რეალი

მოუსვენარი კაცია ლორენსო სანსი. მოგეხსენებათ, მიმდინარე სეზონის დაწყების წინ მან თითქმის 100 მილიონი დოლარი გადიხადა ახალი ფეხბურთელების შეძენაში (აქედან რაც გამოვიდა, ვხედავთ). მადრიდელ პრეზიდენტს ახლაც რამდენიმე კაცისთვის დაუდგამს თვალი. ცხელ-ცხელი ამბავი: ამბობენ, სანსმა დელ ბოსკე აითვალწუნა და „ინტერიდან“ მარჩელო ლიპის გადაბირება სურსო. რამდენად რეალურია ეს გადასვლა, ვერაფერს მოგახსენებთ. ისე, ამ ცნობის კომენტირებისას თავად იტალიელმა მწვართნელმა სიცილით თქვა: „საუზმეზე „ლაციოს“ წარმომადგენლებს უნდა შევხვდე, სადილად მადრიდელებს ველი, ორიოდე კლუბის ემისრებს კი საღამოს ვინახულებ“. ლიპი ჯერჯერობით ხუმრობს, მაგრამ ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი...

სანსისგან მიწვევა ორმა ფეხბურთელმაც მიიღო — ნიუკასლელმა ნოლბერტო სოლანომ და არსენალელმა ემანუილ პეტიმ. სოლანო ამბობს: „რეალი“ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კლუბია. კმაყოფილი ვარ, მისი ყურადღება რომ დავიმსახურე. თუმცა თავს „ნიუკასლშიც“ ბედნიერად ვგრძნობ. მით უმეტეს, გუნდი აღმავლობის გზაზეა, ამიტომ კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი“.

სოლანოსგან განსხვავებით, ემანუილ პეტი სულაც ვერ აღაფრთოვანა „რეალის“ სურვილმა. „30 წლის ვარ და ვხვდები, რომ ცხოვრებაში ფეხბურთის გარდა სხვაც ბევრია მნიშვნელოვანი“ — თქვა ფრანგმა მსოფლიოს ჩემპიონმა.

ერთი მსოფლიოს ჩემპიონიც ვახსენოთ. თუ „რეალს“ არსენალელის ყიდვა სურს, ლონდონელ მეთოფეებს, პირიქით, რეალელზე უჭირავთ თვალი. კრისტიან კარემბუზე მოგახსენებთ. კარემბუ, ვისაც მიშღინარე სეზონში მხოლოდ ერთი სრული მატჩი ჩაუტარებია, ამ ვარიანტით კმაყოფილი უნდა იყოს. აკი ამბობს კიდეც: „საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში ვითამაშე, ახლა ინგლისშიც მსურს ძალების მოსინჯვა“.

როგორი შემადგენლობით შეხვდება „რეალი“ მომავალ სეზონს, ძნელი სათქმელია. ალბათ გასაყიდ თუ შესაძენ ფეხბურთელთა კანდიდატურები კიდევ ბევრჯერ შეიცვლება. ზუსტად კი ის ვიცით, რომ რობერტო კარლოსი არსად წამსვლელი არ არის, თუმცა საუბრის თემა ბრაზილიელის წასვლა-დარჩენას კი არა, მის ფიზიკურ მდგომარეობას ეხება. შეუძლებელია, არ გაოცდე, რამდენ დატვირთვას უძლებს მადრიდელთა ტანმორჩილი მცველი. ის იერიშშიც პირველი ერთვება და უკან დაბრუნებასაც ასწრებს. ასეა მთელი 90 წუთი, ტურიდან ტურში. მაგრამ რობერტო კარლოსი ადამიანია, ადამიანი კი რობოტი არ არის (ისე, ზოგჯერ რობოტებიც გამოდიან მწყობრიდან). ჰოდა, გადაიღალა კაცი. იგი ამბობს: თამაში შემიძლია, თუმცა ვატყობ, რომ ჩვეული სისწრაფით ვეღარ დავრბივან. ამიტომ ცოტა ხნით დასვენება მჭირდება, „რეალში“ ხომ უცვლელად ვთამაშობ. თან ცოტა მუხლიც მაწუხებს. ვფიქრობ, ხავიერ დორადო ან აიტორ კარანკა ჩემს ნაცვლად ჩინებულად ითამაშებენ, ისინი მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან“.

ბარსელონა

ზემოთ „ბარსელონას“ „მალიორკასგან“ ძლევა ვახსენეთ და ამ ამბავს ისევ მივუბრუნდეთ. იმ მატჩში კატალონიელთა მცველები საოცრად უნიათოდ თამაშობდნენ, თუმცა ლუის ვან გაალის წყრომა თავდამსხმელებმა — რივალდომ და კლუივერტმა დაიმსახურეს. მეორე ტაიმში მწვრთნელმა ისინი შეცვალა. ბრაზილიელი გაოცებას ვერ მალავდა: „გუნდმა მთლიანობაში ძალიან ცუდად ითამაშა, მაგრამ ახლაც ვერ გამიგია, რატომ შემცვალეს. მწვრთნელმა მატჩის წინ რაც დამავალა, ყველაფერს ზუსტად ვასრულებდი. ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ“. შემდეგ რივალდოს ალბათ გაახსენდა, ერთხელ მის ვან გაალთან შეკამათებას რაც მოჰყვა და დაამატა: „მიზეზი მაინტერესებს, თორემ დავას არ ვაპირებ“. პატრიკ კლუივერტმა კი თქვა: „ცხადია, არასასიამოვნოა, როდესაც გცვლიან. ალბათ, ასე იყო საჭირო. ვეჭვობ, თავდამსხმელებმა მცველებზე უარესად ვითამაშეთ, მაგრამ წაგება წაგებაა. პასუხისმგებლობა ყველამ უნდა გავინაწილოთ“.

„ბარსელონას“ რომ კოშმარული კვირა ჰქონდა, ამაზე ბევრი ითქვა. ახლა რივალდო და კლუივერტიც რომ ნაწყენები არიან, ფაქტია, მაგრამ მწვრთნელთან კამათს როგორ გაბედავენ. ლუის ვან გაალმა უკეთ იცის, რა გააკეთოს და როგორ. ჩვენ მის ბლოკნოტში ვინ ჩაგვახედებს.

ატლეტიკო

„მე მხოლოდ ხესუს ხილი ვარ და არა იესო (ესპანურად ხესუს) ქრისტე“ — განაცხადა „ატლეტიკოს“ დამაქცეველმა და კლუბის ოფისში პრეზიდენტის სავარძელში მოკალათდა. დიახ, ხესუს ხილი კვლავ მადრიდელთა პრეზიდენტია. მის მიერ ნათქვამი ფრაზა კი იმას ნიშნავს, გუნდი გავარდნის პირას რომ არის, რა ჩემი ბრალიაო.

საშობაოდ დაპატიმრებულმა ხილმა იმდენი ქნა, რომ ჯერ ციხიდან თავდებით დაიძვრინა თავი, ახლა კი პრეზიდენტობაც დაიბრუნა. თუმცა ისიც გასარკვევია, რამდენ ხანს დაჰყოფს ხილი თავის კაბინეტში. გამომძიებლები ხომ დღემდე არკვევენ, სად აორთქლდა 54 მილიონი დოლარი. ისე, ფული იქით იყოს და მადრიდელთა პრეზიდენტს ბევრი ადამიანის ცოდვა აწევს. 1970 წელს მისი კომპანიის მიერ უხეიროდ აშენებული სახლი დაინგრა, რასაც 50 კაცი შეეწირა. მაშინ ხილს ხუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ 18 თვის შემდეგ ფრანსისკო ფრანკომ შეიწყალა. ახლა რა იქნება?

გიორგი დარჯანია

ხესუს ხილი: ქრისტე არ ვარ

ევროპრიზი ფეხბურთში

აი, ალექს ფერგიუსონი

ბოლო დღეების საერთაშორისო საფეხბურთო ცნობათა შორის ერთი განსაკუთრებით გამოირჩეოდა: ჰოლივუდის დიდი ვარსკვლავი, წარმოშობით ავსტრალიელი მელ გიბსონი „მანჩესტერ იუნაიტედზე“ იღებს ფილმს. მიმომხილველთა ინტრიგან გონებაში მყისვე იშვა კითხვა: რამ აიძულა გიბსონი ასეთ თემას შესჭიდებოდა? იქვე გამოიკვეთა ორი პასუხი. ერთი, რომ ჰოლივუდის ნათებას ეროვნულ-პატრიოტული გრძნობები ამოძრავებს ანუ ვითომ აქეთ, ვითომ იქით და სინამდვილეში ფილმი მარკ ბოსნიჩს მიეძღვნება — მოგეხსენებათ „იუნაიტედის“ მეკარეც ავსტრალიელია — მეორე კი ის, რომ გიბსონი, როგორც მწვანე კონტინენტელი, ფეხბურთზე უკაცრავად და მწყრალად არის, ჰოდა თემებსაც შესაბამისად ირჩევს.

ჩვენ, ცხადია ვიჯმენთ ინტრიგანთაგან და ამ ვერსიებიდან ერთიც არ ვირწმუნეთ. გვწამს, აგრეთვე, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ დიახაც შემოქმედთა ფანტაზიის წყაროა და მელ გიბსონი, როგორც ასეთი (გაიხსენეთ ფილმები „სასიკვდილო იარაღი I“, „სასიკვდილო იარაღი II“, „ჰამლეტი“, „სასიკვდილო იარაღი III“ და „სასიკვდილო იარაღი IV“) ამ დიდ თემას გვერდს ვერ აუქცევდა, მაგრამ სულმა გვძლია და მაინც ჩავიჭვრიტეთ მიმომხილველთა მოძიებულ მასალებში.

როგორც ირკვევა, თავად ვარსკვლავი ბოსნიჩის როლის შესასრულებლად ემზადება და გმირის ხასიათის გასათავისებლად უკვე გაეყარა ცოლს, შეირთო მეორე, ქორნილის დღეს პოლიციის განყოფილების წინ იჩხუბა და, რაც მთავარია, მეორე ქალი იმიტომ ითხოვა, რომ ის დიდი ბრიტანეთის მოქალაქე იყო, მას კი ამ ქვეყანაში ფილმის გადაღების ანუ მუშაობის უფლებას არ აძლევდნენ.

ცნობილია სხვა როლების შემსრულებლებიც. ფილ და გარი ნევილებს ტომ კრუზი განასახიერებს, იაპ სტამს კი დენი დე ვიტო. შემდეგ, პოლ სქოულზის როლისთვის გიბსონს ედი მერფი ჰყოლია შერჩეული, როი კინის როლისთვის — ანტონიო ბანდერასი, ენდი კოულის და დუაიტ იორკის თამაში ლეონარდო დი კაპრიოს ხვდომია წილად, ხოლო დევიდ ბექემისა (აქ გიბსონის გადაწყვეტილებას ჩვენც აღფრთოვანებით ვხვდებით) მის მეუღლეს, ვიქტორია ადამსს. აბა ვინ იცნობს საფეხბურთო ვარსკვლავის ხასიათს ისე კარგად, როგორც თანამეცხედრე?

განსაკუთრებით დიდი ჯაფა ფილმის ავტორს მწვრთნელის, ალექს ფერგიუსონის როლის შემსრულებლის შერჩევაზე დადგომია. გაუსინჯავთ მარლონ ბრანდო, პოლ ნიუმენი, რობერტ დე ნირო და რობერტ რედფორდი, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი მივიწყებულ, მაგრამ ბრწყინვალე ადრიანო ჩელენტანოზე შეუჩერებიათ (გაახმოვანებს ჯო პეში).

ფილმს გადაიღებენ მანჩესტერში, „ოლდ ტრეფორდზე“ და დისნეი ლენდში, სადაც ეპიზოდურ როლში ითამაშებს მიკი მაუსი. ის ინგლისის ნაკრების შეფს, კევინ კიგანს განასახიერებს.

მელ გიბსონის კინოშედევრი იქნება ოტმარ ჰიცფელდის რომანის „ჩემი მშვენიერი ბედის“ ეკრანიზაცია. სცენარის ავტორია პიერლუიჯი კოლინა, მუსიკა სამუელ კუფურისა.

პაპუნა კედია

ავტორი ადასტურებს თავის პატივისცემას „მანჩესტერ იუნაიტედისადმი“ და გული წყდება, რომ ფილმში არ გადაიღებენ ჯულია რობერტსს, შერონ სტოუნს, კიმ ბესინჯერს და კამერონ დიასს.

აი, კადრი შედევრიდან „სასიკვდილო იარაღი რომელიღაცა“: ჯო პეში (მარცხნივ) და დენი გლოვერი

ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

საფრანგეთი 78:62 საქართველო

11 აპრილი. სენტ კანტენი

საფრანგეთი	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	ფოლი	ქ.
ბრუნელი	4	0/1	0/0	2/2	1	0	0	1	2
დიაპი	23	3/6	2/4	4/5	2	4	0	3	16
დიაპარა	3	1/1	0/0	0/0	2	0	0	0	2
ლორო	9	0/1	0/1	2/4	2	1	0	1	2
ფრაპარ	10	0/0	0/0	0/0	0	4	1	1	0
მიუალხი	31	4/6	2/6	2/2	2	7	3	1	16
მიულერი	5	1/1	0/0	0/0	0	0	1	1	2
ნიჟანი	23	3/4	0/0	0/0	3	0	1	2	6
პარკერი	30	5/7	2/3	1/1	5	7	3	2	17
უაუჩაკი	11	1/1	0/1	0/0	0	1	0	0	2
ტურიაფი	34	4/7	0/0	3/5	9	1	3	3	11
იანგო	16	1/2	0/0	0/0	3	0	1	5	2
სულ	200	23/37	6/15	14/19	29	25	12	20	78

საქართველო	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	ფოლი	ქ.
ბაბიაშვილი	24	4/9	0/0	1/2	4	0	0	4	9
ბერიშვილი	25	1/1	1/2	1/2	3	5	3	2	6
კეიდია	4	1/1	0/0	0/2	0	0	0	1	2
ხეცურიანი	22	0/2	0/1	0/0	1	3	0	4	0
მარკოიშვილი	11	1/4	0/4	0/0	0	0	0	1	2
მოისწრაფიშვილი	11	0/0	0/1	0/0	1	0	0	1	0
ფაჩულია	33	5/15	0/0	4/6	10	3	1	1	14
შანიძე	6	0/1	0/0	0/0	1	1	0	0	0
სულაძე	5	0/0	0/0	0/0	0	0	0	0	0
ცქიტიშვილი	27	6/8	1/3	2/4	8	0	0	4	17
ტულუში	23	2/6	1/1	3/3	1	3	1	0	10
შგრეხელიძე	9	1/5	0/0	0/0	3	0	0	1	2
სულ	200	21/52	3/8	11/19	32	15	5	19	62

რა ბიჭები და... რა მომზადება

ქართული მაჯამა: თამაში შეუთამაშებელი მოთამაშეებით

საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრების პირველივე თამაშში მასპინძელ ფრანგებთან დამარცხება დასანანი კია, მაგრამ ვერ ვიტყვით, მოულოდნელი იყოო. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ყოველმხრივ მოუმზადებელი წავიდნენ ქართველი თვრამეტწლამდელები და ტურნირის მასპინძელ და უპირველეს ფავორიტებად მიჩნეულ ფრანგებთან წაგება, თუნდაც 16-ქულიანი სხვაობით, რაღად გვეუცხოვებოდა.

წასვლამდე მწვრთნელები ერთთავად არასრულფასოვან მომზადებაზე ჩიოდნენ. გუშინ სენ კანტენში ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ნიკო ჩერქეზიშვილს დავუკავშირდით, სადებიუტო მარცხის მიზეზებს დავეკითხეთ და ადვილი მისახვედრია, რა პასუხსაც მივიღებდით:

— რასაც ვამბობდი, ასი პროცენტით გამართლდა. აქ ყველანი ფაქტის წინაშე აღმოჩნდით და დაინახეთ, რომ ამ ტურნირისთვის გუნდი სრულიად მოუმზადებელია. სხვა თამაშები რომც მოვიგოთ და შემდეგ ეტაპზე გავიდეთ, მაინც ამ აზრზე ვიქნები. ვხედავ ჩემი ბიჭების დიდ პოტენციალს და გული მწყდება, რომ მათთან სრულფასოვანი მუშაობის საშუალება არ მომეცა.

ფრანგებთან მარცხით ტრაგედიას მაინც ნუ შევქმნით. ისინი, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდებულად არიან მოშზადებულნი. ყველანაირად შეკრული გუნდია, მოთამაშეები უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს და მწვრთნელებსაც ათასგვარი ტაქტიკური ვარირების საშუალება აქვთ. ერთი სიტყვით, ისეთი მეტოქის წინააღმდეგ მოგვიწია თამაშმა, ალალად გეტყვით, მისი მომგები არ ვიყავით. ეჭვი არ მეპარება, ფრანგები ჯგუფში პირველობას არავის დაანებებენ. ეგ კი არა, დიდი შანსი აქვთ, ფინალურ ეტაპზეც სერიოზულ წარმატებას მიაღწიონ.

არ იფიქროთ, რომ უიმედოდ დავმარცხდით, თამაში მთლიანობაში დაძაბული გამოდგა. საწყისი წუთები შედარებით უკეთ ჩავატარეთ და ერთხანს შვიდი ქულითაც დავწინაურდით. მერე და მერე მეტოქეც გამოერკვა და ტაიმის ბოლოს დავთმეთ პოზიციები. მეორე ნახევარში სულ მდევრის როლში ვიყავით, მიუხედავად ამისა, ბიჭებს ყურები არ ჩამოუყრიათ და ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ მატჩის ბედის შემოტრიალება ვეღარ შეეძელით. თორმეტივე კალათბურთელი დავასაქმე, მაგრამ ოპტიმალურ ხუთეულს მაინც ვერ მივაგენი, ბიჭები სრულიად შეუთამაშებელნი იყვნენ, შეხვედრის მსვლელობისას გვიხდებოდა მწვრთნელებს კომბინაციების მოფიქრება და შემდეგ მისი პრაქტიკულად განხორციელება. ამგვარ პირობებში კი ისეთი გუნდის დამარცხება, როგორიც საფრანგეთის ნაკრებია, მერწმუნეთ, შეუძლებელი იყო. ახლავე გეტყვით: ღმერთმა ქნას და, ფინალშიც რომ გავაღწიოთ, ასეთი მომზადებული გუნდით არსად წამსვლელი აღარ ვარ.

ფრანგები ძალიან სერიოზულად მეეკიდნენ ჩვენთან თამაშს, ერთი წამითაც არ მოდუნებულან. მათი ლიდერი პარკერი ტრავმირებული იყო და ბოლომდე ვერ დაიხარჯა, თუმც 17 ქულით თავისი საქმე მაინც გააკეთა. პარკერს მწვრთნელი ხშირად ასვენებდა. სლოვაკეთის ტურნირისგან განსხვავებით გუნდი ერთი-ორად გაუძლიერებიათ. სამი მოთამაშე ჰყავდათ დამატებული, მაღლები იყვნენ, ზანგები, ფიზიკურად ძალიან ძლიერები. ამიტომ მასპინძლებს ვერც ფარი მოუგეთ.

საბოლოო ჯამში ბიჭებით უკმაყოფილო მაინც არ ვარ. გამოვარჩევდი ზაზა ფაჩულიას და ნიკა ცქიტიშვილს. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ბაბიაშვილმაც, ნორმალურად გამოიყურებოდნენ ტულუში და ბერიშვილიც. დანარჩენებმა საშუალოდ ითამაშეს.

სხვა გუნდებიდან რუსეთი და სლოვენია ვნახე საქმეში. ერთი შეხედვით, ჩვენი მომგებები არ ჩანან, მაგრამ გამორიცხულიც არაფერია. ყოველ შემთხვევაში, წარმატების მიღწევა თუ გვსურს, რუსებსაც და სლოვენიელებსაც უეჭველად უნდა მოვუგოთ. დღეს დანარჩენ მეტოქეებსაც ვნახავთ. გუშინ პოლონეთ-თურქეთის შეხვედრაზე დასწრება, სამწუხაროდ, არ მოგვიხერხდა.

გიორგი ბიკაშვილი

რეგულარული ჩემპიონატი

ბრძოლა ცხენებმა მოიგეს



REUTERS ჩიკაგოდან

ჩიკაგო — ნიუ ჯერსი. ჩიკაგოელი ელტონ ბრენდი (ბურთით) და ნიუჯერსელი კენდალ გილი

11 აპრილი

საკრამენტო 92.98 სან ანტონიო

(ძირთადი დრო 84:84)

საკრამენტო: ვილიამსი (17), დივაცი (17), ვებერი (16 ქულა, 12 მოხსნა), ანდერსონი (16)

სან ანტონიო: რობინსონი (26 ქულა, 14 მოხსნა), დანკანი (18 ქულა, 13 მოხსნა)

ჩიკაგო 100:93 ნიუ ჯერსი

ჩიკაგო: ბრენდი (22 ქულა, 15 მოხსნა, 7 პასი), მელონი (19)

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (25 ქულა, 10 მოხსნა), გილი (19)

დალასი 92:81 პორტლენდი

დალასი: ფინლი (24), ნოვიცკი (21 ქულა, 14 მოხსნა)

პორტლენდი: ვოლესი (13)

დენვერი 93:103 ჰიუსტონი

დენვერი: ვან ექსელი (27 ქულა, 11 პასი)

ჰიუსტონი: ვილიამსი (23 ქულა, 12 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი 109:97 ვანკუვერი

გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (28), დევისი (25 ქულა, 12 მოხსნა), კეფი (25)

ვანკუვერი: დიკერსონი (24), აბდურ-რაჰიმი (23 ქულა, 13 მოხსნა)

კლიპერსი 88:95 ფინიქსი

კლიპერსი: ოდომი (26 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი), ანდერსონი (25)

ფინიქსი: რობინსონი (20), მარიონი (17 ქულა, 12 მოხსნა), ჰარდეეი (17)

ბებერი ხარისა რქებიც ხნავენო — ეს ძველქართულში ანდაზა სწორედ რომ ზედგამოჭრილია „სან ანტონიო სფურზის“ 35 წლის ცენტრ დევიდ რობინსონისთვის. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, „ადმირალი“, როცა საჭიროა, ყოველთვის ევლინება თავის „ფლოტს“ წინამძღოლად. ჩემპიონ „სან ანტონიოსთვის“ რეალობა ასეთია — გუნდის ლიდერი ტიმ დანკანი სეზონის მეორე ნახევარში ფორმიდან ამოვარდა და ძველებურად ვეღარ ლიდერობს. რომ შეატყო, საქმე ასე შემობრუნდაო, რობინსონმა წამყვანი მოთამაშის ფუნქცია თავის თავზე იტვირთა და იმ ძველ რობინსონად იქცა, რომელსაც არასდროს უჭირდა მატჩში 20 და მეტი ქულის მოგროვება. საქმე მარტო ქულებში როდია, „ადმირალმა“ თავისიანებს არაერთი თამაში მოგებინა. ასეთი იყო 11 აპრილს საკრამენტოში გამართული შეხვედრაც.

რაც შეეხება ტიმ დანკანს, მას იმ დღეს თავი არ დაუზოგავს, მაგრამ მაინც შორს იყო იმ დანკანისგან, რომელიც წინა სეზონში ლიგას აზანზარებდა. მან უამრავი როლა ააცილა, ხროლების მხოლოდ ერთი მეოთხედი, 22-დან სულ 6 ჩააგდო, თუმცა მაინც მოახერხა ქულების საკმაო რაოდენობით დაგროვება. აქვე აღვნიშნოთ სანანტონიოელი შონ ელიოტის მშვენიერი გარჯა. მოგეხსენებათ, რამდენიმე თვის წინ მან თირკმელი გადაინერგა და შეიქნა პირველი სპორტსმენი, რომელიც ამგვარი ოპერაციის შემდეგ აქტიურ სპორტს დაუბრუნდა. ელიოტი თანდათან შედის ფორმაში და სხვისი (საკუთარი ძმის) თირკმლით მოთამაშემ ამ მძიმე მატჩში 13 ქულა და 3 ჩაჭრა გაუხერხა თავისიანებს.

შეხვედრა მართლაც დაძაბული გამოდგა. ორივე გუნდის დაცვა სანაქებოდ ირჯებოდა და ხშირ შემთხვევებში სჯაბნიდა შეტევას. ჩემპიონებისთვის თამაში ერთობ ცუდად დაიწყო. მასპინძელთა გამთამაშებელი ჯეისონ ვილიამსი სასწაულებს სჩადიოდა, ბურთებსაც აგდებდა და არც თანაგუნდელებისთვის იშურებდა პასებს. მარტო პირველ მეოთხედში მან შვიდი შედეგიანი გადაცემა მიითვალა. მასპინძლებიც მძლავრობდნენ. ისინი თავიდან 7:0 დაწინაურდნენ, შემდეგ 14:4, რასაც მოჰყვა ბრწყინვალე სამწუთიანი მონაკვეთი და „კინგზი“ 17 ქულით გაექცა მეტოქეს — 23:6. რა ხდებოდა ამ დროს „სან ანტონიოში“? ჩემპიონი გუნდის რიგებში პანიკა თუ არა, არეულობა აშკარად შეიმჩნეოდა. რობინსონმა უკვე საწყისი მეოთხედის შუაწელს მიიღო ორი პერსონალური დაცვაში, დანკანი კი სულაც შეტევაში დაჯარიმდა. მატჩის დაწყებიდან შვიდ წუთში მწვრთნელმა ორივე დევკაცი დაასვენა და მათ ნაცვლად მალიქ როუზი და სამაკი უოლკერი შეუშვა მოედანზე. ამათგან არც ერთია სახელგავარდნილი კალათბურთელი, მეორეს სულაც ნაბში თითქმის არ იცნობენ, მაგრამ უოლკერმა ლომის წილი დაიდო თამაშის შემობრუნებაში. მისი 8 ქულისა და 7 მოხსნის (სულ კი შეხვედრაში 10 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა) წყალობით „სან ანტონიომ“ მხოლოდ რვა ქულის სხვაობით, 22:30 დათმო მეოთხედი.

მეორე თორმეტწუთეულშვი „სფურზმა“ საქმე გამოასწორა, რობინსონმა და აივერი ჯონსონმა, ჩემპიონს რომ ეკადრება, გუნდი ისე ათამაშეს და პირველი ნახევარიც მათ სასარგებლოდ 49:48 დამთავრდა. მეორე ნახევარში ორივე გუნდმა გაამკაცრა დაცვა, განსაკუთრებით ეს „საკრამენტოზე“ ითქმის. ამის შედეგად „სან ანტონიომ“ ბოლო მეოთხედში თამაშიდან სროლაც ვერ ჩააგდო და მხოლოდ 11 ქულა მოაგროვა, სულ სჯარიმებით. საკუთარი ფარის მისადგომები საიმედოდ გადაკეტეს მასპინძელთა ცენტრმა ვლადე დივაცმა და თავდამსხმელმა კრის ვებერმა, მაგრამ ამ ორმა საჯარიმოებიც ბლომად მიიღო და სწორედ ამან დაღუპა „კინგზი“. ორივემ ექვს-ექვსი პერსონალური მოიმკო და მეოთხე მეოთხედის ბოლო წუთზე მათი მოედანზე ყოფნაც გასრულდა. მაგრამ ამით არ დამთავრებულა ყველაფერი. პერიოდის და არა მატჩის, როგორც ეს მალე გაირკვა, დასრულებამდე 15 წამით ადრე რობინსონზე დივაცი დაჯარიმდა და მოედანიც დატოვა. რობინსონმა პირველი საჯარიმო ჩააგდო და 84:84 გახადა. მეორე ააცილა და ბურთი ვებერმა მოხსნა. აქ მას ერთ-ერთმა სანანტონიოელმა მოხერხებულად ჩაუდგა ტანი და ვებერმაც მეექვსე პერსონალური აიკიდა. დარჩენილ დროში მეტოქეებმა თითო-თითო უშედეგო შეტევა გაცვალეს და თამაშიც ოვერტაიმში გაგრძელდა.

„ძნელია, როცა იცი, რომ შენი ორი დიდი ცხენი შენთან აღარაა, მათ კი ისევ ჰყავთ თავიანთი ორი დიდი ცხენი მოედანზე“ — „საკრამენტოს“ უკანახაზელი ნიკ ანდერსონი სიმაღლეში ორი მეტრიც არაა და იგი თავს უფლებას აძლევს, დიდ კალათბურთელებს „ცხენები“ უწოდოს. ამას რომ ამბობდა, ანდერსონი თავის ცხენებში დივაცს და ვებერს, მეტოქეებისაში კი დანკანს და რობინსონს გულისხმობდა. მართლაც მთავარი მეფარეების არყოფნაში „საკრამენტოს“ არავინ აღმოაჩნდა ისეთი, ვინც რობინსონს შეაჩერებდა. ოვერტაიმში „ადმირალმა“, როცა ანგარიში 88:84 იყო, თავის გუნდს ერთბაშად ექვსი ქულა მოუტანა და თავისიანები 94:86 დააწინაურა. ოვერტაიმის დროს ამოწურვამდე ერთ წუთზე ოდნავ მეტი რჩებოდა და მასპინძლებიც ბედს უნდა შერიგებოდნენ. „ამ საღამოს ჩვენი დაცვა ჩემპიონისთვის შესაფერის დონეზე იდგა, განსაკუთრებით მეოთხე მეოთხედში — თქვა სტუმართა გამთამაშებელმა აივერი ჯონსონმა — „საკრამენტო“ მთელ ლიგაში უძლიერესი შემტევია, მაგრამ ჩვენ არ მივეცით იმის კეთების საშუალება, რაც მათ ყველაზე უკეთ იციან. დღეს მათი დაცვა აშკარად სჯობდა შეტევას. გაიხსენეთ, ხშირად ხდება, რომ „საკრამენტო“ ვერ აღწევს 100 ქულამდე? მით უმეტეს, მათ კიდევ დამატებითი ხუთი წუთი ითამაშეს.“

„წლეულსაც ვერ მოვხვდით პლეიოფში, მაგრამ მომდევნო სეზონში იქ თამაშს ვაპირებთ. ჩვენ ვუგებთ პლეიოფის გუნდებს, რომლებიც ერთმანეთს უფრო მაღალი ადგილებისთვის ებრძვიან, შესანიშნავად ვაბარებთ ტესტებს. აბა, მომავალ სეზონში გვნახეთ“ — „პორტლენდის“ დამარცხებამ ფრთები შეასხა „დალას მავერიკსის“ ლიდერ მაიკლ ფინლის, რომელიც ამ გამარჯვების სულისჩამდგმელი გახლდათ. „დალასმა“ მოულოდნელად თვით „პორტლენდი“ შეიწირა და ამ გამარჯვებით თავის ზედიზედ ოთხმატჩიან მოგებების სერიას ერთიც წაუმატა. აქ სათქმელიც არაფერია. „მავერიკსმა“, რომელსაც ბოლო ათი წელია, პლეიოფი თვალით არ უნახავს, დაამარცხა გუნდი, რომელიც 18 წელია საუკეთესოთა შორის ხვდება და ახლა თვალი სულაც ჩემპიონობისკენ უჭირავს. მართალია, სტუმრებს არ ჰყავდათ ლიტველი არვიდას საბონისი და გერმანელი დეტლეფ შრემპფი, მაგრამ მწვრთნელ მაიკ დანლიკის ხელში მაინც საკმარისი რაოდენობით არიან ვარსკვლავები, რომლებმაც წესით, სულ იოლად უნდა მოუგონ „დალასის“ დონის გუნდს. მათდა საშწუხაროდ, იმ დღეს არც ერთ პორტლენდელს თამაში არ წაუვიდა და აკი შერცხვნენ კიდეც.

„ნიუ ჯერსი ნეტსმა“ ერთ დროს პლეიოფში მოხვედრა განიზრახა და ერთხანს ტოლს არავის უდებდა, მაგრამ ვერაფერი გამოუვიდა. თან ლიდერი სტივენ მარბერი დაშავდა და ნიუ ჯერსიშიც ხელი ჩაიქნიეს. ახლა „ნეტსი“ თამაშს თამაშზე აგებს და აი, აღმოსავლეთში ყველაზე უსაბურ „ჩიკაგოსთანაც“ მარცხი ჭამა. რაც შეეხება „ჩიკაგოს“, მას გამარჯვებები იოლად არ მოსდის, ასე რომ, ამ ქალაქში ფრიად გაიხარეს.

ირაკლი ფირაზვილი

საპორტას თასი. ფინალი. 11 აპრილი. ლოზანა (შვეიცარია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარშანწინდელიც კი მახსოვს

თუ ფინალში კინდერის დამარცხება გსურთ, შეიძინეთ ბოუი

აეკ (საბერძნეთი) — კინდერი (იტალია) 83:76

აეკ: ბოუი (15), ხაძისი (16), ჰანსელი, კაკუსისი (12), კორონიოსი (11), მიუურსეპი (15), დიკუდისი (7), ოსალივანი, ცაკალიდისი (7)

კინდერი: აბიო (16), მ. ანდერსენი (2), დანილოვიჩი (18), ეკონომუ (16), ფროზინი (2), სკონოჩინი (9), შტომბერგასი (13)

ათენის აეკ-ის გულშემატკივრებმა საპორტას თასის ფინალში საყვარელი გუნდის გამარჯვების აღსანიშნავად მთელი ღამე ზარ-ზეიმში გაატარეს. ათენის გარდა საბერძნეთის კიდევ მრავალმა ქალაქმა ღამე თეთრად გაათენა. ზოგან მცირე ინციდენტიც მოხდა. ქვეყნის დედაქალაქის ცენტრში ასეულობით მანქანა მოგროვდა და სიგნალებმაც ძილი გაუკრთო კალათბურთის არმოყვარულებს. შავ-ყვითელი ყელსახვევებით და მაისურებით მორთული აეკ-ის ქომაგები მაშხალებსა და პეტარდებს აფეთქებდნენ. „საბრძოლო მასალა" რომ შემოელიათ, შამპანურები გახსნეს, სვეს, იწუწავეს, იცეკვეს და იმღერეს.

ზოგიერთ ფანზე ალკოჰოლმა ძალიან ცუდად იმოქმედა. მათ „მოლოტოვის კოქტეილები" დაამზადეს და პრეზიდენტისა და მთავრობის სასახლეების მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩერებულ მანქანებს ესროლეს. ამ ვანდალიზმმა რამდენიმე ათეული მანქანა დააზიანა, ორი კი, მათ შორის ერთი პოლიციისა, მთლიანად დაიწვა. წესრიგის დამცველებმა, რომლებიც ზეიმის ადგილზე თავიდანვე მოგროვილიყვნენ, მხოლოდ ამის შემდეგღა გამოიღეს ხელი და ბრბოდ ქცეული გულშემატკივრები, მათი წინააღმდეგობის მიუხედავად (ქვებისა და სხვა საგნების სროლა), მაინც დაშალეს.

გაცილებით მშვიდად იზეიმეს აეკ-ის წარმატება ნეა ფილადელფიაში, ათენის ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანში, სადაც გუნდის მთავარი ოფისი მდებარეობს. იქ თავმოყრილმა ხალხმა ენერგია მხოლოდ სიმღერასა და ცეკვაში დახარჯა (ქუჩებში). ისე, იქაც ბევრი შამპანური და სხვა სასმელები დაილია, მაგრამ ნეაფილადელფიელები ალკოჰოლს, ეტყობა, კარგად იტანენ.

REUTERS ლოზანიდან

საპორტას თასის მფლობელი ათენის აეკი

ეს ეროვნული დღესასწაული, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საპორტას თასის ფინალში ათენის აეკ-ის გამარჯვებას მოჰყვა. ბერძნებმა 11 აპრილს შვეიცარიულ ლოზანაში იტალიის „კინდერი" დაამარცხეს 83:76 და თავიანთი მეორე ევროპული ჯილდო მოიპოვეს. 32 წლის წინ აეკ-მა თასების თასიც მოიხვეჭა. ამ მოგებით ათენელებმა ორი წლის წინანდელი წაგებისთვის ევროლიგის ფინალში (44:58) ერთგვარი რევანში აიღეს ბოლონიელებთან, რომლებსაც თავიანთი ფრანგი გამთამაშებელი ანტუან რიგოდო აკლდათ.

ზედიზედ სამი ევროპული ფინალის გამოცდილებით ზურგგამაგრებულმა იტალიელებმა მატჩი მეტოქეზე გაცილებით უკეთ დაიწყეს. სამი წუთის შემდეგ ისინი უკვე 7:0 იგებდნენ. დუშან ივკოვიჩის შეგირდები ძალიან ცუდად ისროდნენ — პირველი ოთხი ცდიდან ვერც ერთი ჩააგდეს. დაცვაშიც უსუსურად გამოიყურებოდნენ „კინდერის" სერბი ლეგიონერის, დანილოვიჩის წინააღმდეგ. იტალიური კლუბის რიგებში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი თავის მეურვეებს ელვისებური სვაბნიდა და რამდენიმე სწრაფი გარღვევაც განახორციელა.

აპენინელთა მთავარ მწვრთნელ ეტორე მესინას დაცვაში ზონიდან პერსონალურ მეურვეობაზე და პირიქით ხშირად გადაჰყავდა თავისი გუნდი. ამიტომაც ათენელები ახლო და საშუალო მანძილებიდან ვერ ხერობდნენ. ივკოვიჩმაც სამქულიანების ხშირი სროლა დაავალა თავისიანებს, რამაც სასურველი შედეგი მალე გამოიღო — მე-8 წუთზე წინ უკვე ბერძნები იყვნენ (14:12). ამის მერე თამაში გათანაბრდა. მე-14 წუთზე ისევ „კინდერი" დაწინაურდა — 29:24. აქედან დაიწყო მისი უბედურებაც.

რიგოდოს ნაცვლად გამთამაშებლობა აბიოს დაეკისრა. მან თავის გუნდს 16 ქულა კი შემატა, მაგრამ დირიჟორობას ნამდვილად ვერ გაართვა თავი და მრავალი ბურთიც დაკარგა, განსაკუთრებით უხეიროდ კი პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე გაისარჯა. ამით ბერძნებმა მშვენივრად ისარგებლეს და შესვენებამდე დარჩენილი 6-წუთიანი მონაკვეთი 22:4 მოიგეს, ანგარიში კი 46:33 გახდა მათ სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის დასაწყისში კორონიოსმა სამქულიანი სროლა ზუსტად შეასრულა და ანგარიშში სხვაობა 16 ქულამდე გაზარდა. მოწინააღმდეგე ბანაკში კი თითქოს ყველას ჩასძინებოდა. მხოლოდ ტომით ბერძენი ნიკოს ეკონომუ ცდილობდა ბოლონიელთა გამოფხიზლებას, მაგრამ ამაოდ. თუმცა მის აქტიურობას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია და 25-ე წუთზე „კინდერი" მეტოქეს 9 ქულამდე წამოეწია (51:42). სხვაობა თითქოს მაინც დიდი იყო და აეკ-ის გამარჯვება სადავო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მალე კორონიოსმა მეოთხე პერსონალური შენიშვნა მიიღო და მწვრთნელმა იგი სათადარიგოთა სკამზე დასვა.

თითქოს ამას ელოდაო, შტომბერგასმაც აიწყვიტა. მან ზედიზედ რამდენიმე ქულა მოიხვეჭა, რასაც დაცვაში ბოლონიელთა კარგი თამაშიც დაერთო და 38-ე წუთზე აეკ-ი ორ ქულასღა იგებდა — 76:74. ბოლო წუთებზე კი აპენინური გუნდი ქაოსმა მოიცვა, ყველამ გმირობა მოინდომა, მაგრამ არავის გამოუვიდა. ყველაზე მეტად სკონოჩინის აქტიურობით იხეირეს ათენელებმა. მან ზედიზედ სამი შეტევა ჩაუშალა თავისიანებს და მოწინააღმდეგეს გამარჯვება, ფაქტობრივად, აჩუქა.

მატჩის შემდეგ კი აეკელებმა უზომოდ გაიხარეს. დუშან ივკოვიჩმა თავისი შეგირდები ძლიერ შეაქო, განსაკუთრებით კორონიოსი და ბოუი გამოარჩია და თქვა, რომ გუნდი ამ გამარჯვებისკენ დიდი ხანია, ისწრაფვოდა. საინტერესოა, რომ ამერიკელი ენტონი ბოუისთვის ეს ზედიზედ მეორე ევროფინალია, „კინდერს" რომ ხვდება და ამარცხებს. შარშან მან ევროლიგა კაუნასის „ჟალგირისის" რიგებში მოიგო.

მერე კი საბერძნეთის ქალაქებში ქომაგებიც მოედვნენ ქუჩებს...

გაიოზ თალაკვაძე

REUTERS ლოზანიდან

გაიხარეს ათენის აეკ-ის გულშემატკივრებმა

REUTERS ლოზანიდან

საკალათბურთო პარადოქსი: ტომით ბერძენი ბოლონიის კინდერელი ნიკოს ეკონომუ (მარცხნივ) ათენის აეკ-ის ესტონელ ფორვარდ მარტინ მიუურსეპს მისდევს

თურქეთი

პლეი ოფის პირველი წრე (სამ მოგებამდე)

ტელეკომი	2	გალათასარაი	1
ფენერბაჰჩე	0	ტროი	0

ტელეკომი 64:63 ფენერბაჰჩე

გალათასარაი 79:65 ტროი

ტელეკომმა სერია 1:0-ით დაიწყო. მეორე მატჩები დღეს გაიმართება

ბედინეიშვილი ბუდაპეშტში: პაემანი ბედთან

ემზარ ბედინეიშვილის ფოტო

ემზარ ბედინეიშვილი ამ დღეს დიდხანს ელოდა. ის ყოველწლიურად იმოკლებდა გზას ევროპის ჩემპიონობისკენ. ბევრჯერ იმედი გასცრუებია, მსაჯთა უნამუსობაც უგემია და მაინც, ბუდაპეშტში სურვილი აისრულა, 69 კგ წონაში კონტინენტის უპირველესი ფალავნის სახელი დაიგდო. ბოლო წლებში ჩვენმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა თითქოს გაგვანებივრეს ევროპის ჩემპიონის ტიტულით — 1996-98 წლებში ელდარ კურტანიძემ სამჯერ, ხოლო დავით პოღოსიანმა ორჯერ გაიმარჯვეს. ამის კვალობაზე შარშან მოპოვებული სამი ბრინჯაო წარუმატებლობად ჩაითვალა. ამას ისიც დაემატა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატებზე ამ წყვილმა ვერაფრით გამოიჩინა თავი და ქართველ გულშემატკივარს ერთგვარი შიში გაუჩნდა, პოზიციები ხომ არ დავთმეთო. ბედინეიშვილის გამარჯვებამ ეს შიში ბოლომდე თუ ვერ აღმოფხვრა, საფუძველი მაინც გვარიანად შეურყია.

... თბილისში დაბრუნებულმა ევროპის ახალმა ჩემპიონმა წარმატება ოჯახურ გარემოში აღნიშნა და ლამის გათენებამდე მოილხინა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, დილაადრიან ჩვენთან სასაუბროდ მოეცალა.

— ემზარ, ჯერ ჩემპიონობისკენ განვლილი გზა გავიხსენოთ. რომელ მეტოქეებს მოუგეთ და რა ანგარიშით?

— პირველ წრეში უკრაინელი რომან მატროვიჩს ვეჭიდავე. ის ევროპის სამგზის ბრინჯაოსმედალოსანია, რაც მის სიძლიერეზე კარგად მეტყველებს. მას აქამდე არ შევხვედრიდი — ადრე ორჯერ ტრავმის გამო არ გამოცხადდა.

ჩემპიონატის დაწყებამდე წონაში დავიკელი, რამაც ფიზიკურად დამასუსტა ხალიჩაზე რომ გავედი, ფეხზე ძლივს ვიდექი, შეხვედრის მიწურულს კი ისე დავიღალე, მუხლები მიკანკალებდა. ამ დროს მეტოქემ ანგარიშიც გამითანაბრა. დამთავრებამდე წამები რჩებოდა და ვიფიქრე, ჩემპიონობის მოპოვების იმედი დასაწყისშივე მესპობა-მეთქი, მაგრამ როგორღაც ერთი ქულა მაინც ავიღე და 3:2 მოვიგე.

მეორე შეხვედრაში რუსეთის ნაკრების წევრი ისხაკ ბოციევი 4:1 დავამარცხე და ჯგუფიდან გავედი, მეოთხედფინალში კი თურქს მოვუგე. ფინალში გასასვლელად გაბულგარებულ მოლდაველ ნიკალაი პასლავს შევხვდი. მასთან ისე გამიჭირდა, კინაღამ ფარხმალი დავყარე, მაგრამ საბოლოოდ გამოცდილებითა და ეშმაკობით ვაჯობე. დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ₾3-ს ვაგებდი. ამ დროს მეტოქეს კისრული გავუკეთე, რამაც ისე დააბნია, ფსიქოლოგიურად გატყდა და 6:3 მოვუგე. ჩემპიონობაც მაშინ ვირწმუნე, რადგან ფინალში ჩემთვის კარგად ნაცნობი ბელარუსი სერგეი დემჩენკო მელოდა, რომელსაც შარშან ევროპაზეც ვაჯობე (ბრინჯაოს მედალი სწორედ მას წავართვი) და მსოფლიოზეც. ამიტომ ისიც ერთგვარი შიშით გამოვიდა საჭიდაოდ და მეც დარწმუნებული ვიყავი გამარჯვებაში. მართლაც, 3:0 მოვიგე და ევროპის ჩემპიონი გავხდი.

— ყველაზე მეტად ვისთან გაგიჭირდათ?

— ბულგარელ პასლავთან. ის ძლიერი და ამასთან, მოუხერხებელი მეტოქეა. აღნაგობით კურტანიძეს ჰგავს — მასავით დაკუნთულია, ხელსაც ვერსად მოჰკიდებ. ერთ-ორ წელიწადში მისი სახით ძლიერი მეტოქე მეყოლება.

— მასთან ბრძოლა უფრო გაგიჭირდათ თუ მატროვიჩთან?

— მატროვიჩთან გაუარესებული ჯანმრთელობის გამო გამიჭირდა, პასლავთან — წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით.

— ბოლო ხანს ელიტაში ტრიალებთ, მაგრამ ამ ჩემპიონატისთვის მთლად სახარბიელო პირობებში ვერ ემზადებოდით. ბუდაპეშტში მიმავალი ელოდით, რომ ჩემპიონი გახდებოდით?

— კარგი მომზადება უეჭველ გამარჯვებას არ ნიშნავს. ხომ ხდება-ხოლმე, შედარებით სუსტი მოჭიდავე გაჭირვებით, მაგრამ მაინც იგებს. მეც ასე მომივიდა. შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე გაცილებით უკეთ ვიყავი მომზადებული და დიდი ანგარიშითაც ვიმარჯვებდი, ახლა კი სამ ქულაზე მეტით არავისთვის მომიგია, თუმცა მაინც ჩემპიონი გავხდი. შარშან მესამეზე გავედი, თუმც იქ ალაჰვერდიევთან წაგება ნეკნის ტკივილმაც განაპირობა.

— ჩემპიონობა თავისთავად კარგია და სასიხარულო, მაგრამ ოლიმპიადისთვის მზადებაში ხელს ხომ არ შეგიშლით იმ თვალსაზრისით, რომ ამ გამარჯვებით ჩავარდნის პერიოდი დაგეწყებათ.

— ფსიქოლოგიური ფაქტორი მართლაც გასათვალისწინებელია. ყოველ შემთხვევაში, ვეცდები, ოლიმპიადას სრულ მზადყოფნაში შევხვდე. ასეთი გამარჯვება საოლიმპიადოდ დიდი სტიმულიცაა, მაგრამ ყველაფერი მაინც პირობებზეა დამოკიდებული. თუ ასე მოხდა, მაშინ მეც და გუნდის ყველა წევრიც ოლიმპიადისთვის სრულყოფილად მოვემზადებით. იმედია, ხელს ყველანაირად შეგვიწყობენ. სიდნეიში წარმატების მისაღწევად სხვა გზა არ არსებობს. მრავლისმთქმელი იყო ქვეყნის პრეზიდენტთან ამასწინანდელი შეხვედრაც. იგი ოლიმპიელებს ყოველმხრივ დახმარებას შეგვპირდა. მეც მჯერა, სიდნეიდან უმედლოდ არ დავბრუნდები, ოღონდ რა სინჯის მედლით, წინასწარ ვერ ვიტყვი.

— ბუდაპეშტში რამდენიმე ლიცენზირებულმა არ იჭიდავა, რამაც ახლა ჩემპიონობა გაგიიოლათ, მაგრამ ისინი სიდნეიში აუცილებლად გამოვლენ და წარმატების მიღწევაც ბევრად გაგიჭირდებათ.

— ბუდაპეშტში უძლიერესი შემადგენლობა მართლაც არ იყო. არ ჩამოვიდა ზაზა ზოზიროვი, რომელიც მთელი მონდომებით ემზადება ოლიმპიადისთვის და ეს ჩემპიონატი შეგნებულად გამოტოვა. არც მსოფლიოს მესამე პრიზიორს, თურქ იუკსელ შანლის უჭიდავია, რომელთანაც შარშანდელ მსოფლიოზე ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა მსაჯებმა წამაგებინეს. მსოფლიოს ჩემპიონი, კანადელი დანიელ იგალაც ჩინებულ ფორმაში ყოფილა. მათთან პაექრობა მართლაც არ იქნება იოლი, მაგრამ მიღწეულზე შეჩერებას არც მე ვაპირებ. ოლიმპიადამდე რამდენიმე ტურნირში ვიჭიდავებ. კონკრეტულად სად, ამას უახლოეს დღეებში მოავარი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე ჩვენთან შეთანხმებით გადაწყვეტს.

ირაკლი თავაძე

ვაი სიყვარულისგან

გულშემატკივართა და თაყვანისმცემელთა სიმრავლე აბა, რომელ მანდილოსანს დასწყევტს გულს, მაგრამ მარტინა ჰინგისს სიხარულის ნაცვლად შიშის გრძნობა უფრო ეუფლება. უკვე წელიწადზე მეტია, მსოფლიოს მეორე ჩოგანს მავანი შერეკილი ფანატი უწვრილებს გულს სხვადასხვა ტურნირზე კუდში დევნითა და შინ სასიყვარულო წერილების გზავნით.

45 წლის ხორვატული წარმოშობისა და ავსტრალიური პასპორტის პატრონ დუბრავკო რაჟევიჩს, ჯერჯერობით სახიფათო და კრიმინალური არაფერი ჩაუდენია, მაგრამ ჰინგისის გარემოცვა და განსაკუთრებით დედა, მელანი მილიტორი ძალიან შეშფოთებულები არიან.

რაჟევიჩი ყურადღების ცენტრში პირველად შარშან შემოდგომაზე მოხვდა, როდესაც ციურიხში მიმდინარე ტურნირზე ჩოგბურთელის თხოვნით ორგანიზატორებმა შესვლა აუკრძალეს. რამდენიმე თვემ მშვიდად ჩაიარა და განგაშის ზარი ახლა ბისკეინში გაისმა.

„ერიქსონის ღია პირველობაზე“ უარყოფილი რომეო ორჯერ გააფრთხილეს, რომ ტრიბუნაზე არ გამოჩენილიყო, მესამედ კი პოლიციამ ხელბორკილები დაადო და ვირის აბანოში მიაბრძანა.

ჰინგისის ბანაკმა ამოისუნთქა, მაგრამ მხოლოდ დროებით: მეორე დღესვე ავსტრალიელი 1000 დოლარის გიროათი გამოუშვეს ციხიდან.

„მე არ დავდევ მარტინას. მჯერა, რომ ის ჩემგან დადებით ენერგიას იღებს. მარტინა კარგად მიცნობს“ — განუცხადა მაიამის ადგილობრივი ტელევიზიის ჟურნალისტებს რაჟევიჩმა, რომელსაც დევნისა და დაუმორჩილებლობის ბრალდებები წაუყენეს. დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში მას ჩვენთვის გაუგებარი, აშშ-ში კი ფართოდ მიღებული არაფრისმთქმელი სასჯელი ელის — ჰინგისთან, ვთქვათ, 100 ან 200 ნაბიჯზე მეტად მიახლოების აკრძალვა.

მარტინამ აბეზარი თაყვანისმცემლის შიში თავიდან იუარა, თუმცა მერე აღიარა, რომ შინიდან მარტო აღარასოდეს გადის.

„მე მას შევხვედრივარ კიდეც ადრე, ციურიხში. მგონი, ცოტა აფრენს, ჩემზე უგონოდაა შეყვარებული. თავიდან შევეცადე, ამეხსნა, რომ უკვე მყავს მეგობარი მამაკაცი და ბედნიერი ვარ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ეტყობა, მას ყურადღება სიამოვნებს.“

19 წლის შვეიცარიელს შიშის საფუძველი ნამდვილად აქვს — შერეკილ ფანატებს ხერი ჯერ არავისთვის დაუყრიათ. ლეგენდარული ჯონ ლენონის მკვლელობაზე რომ არაფერი ვთქვათ, შარშან „ბითლზის“ კიდევ ერთი წევრი, ჯორჯ ჰარისონი საკუთარ სახლში დაჭრა ერთმა თაყვანისმცემელმა, მსახიობ ჯუდი ფოსტერზე შეყვარებული ფსიქოპათი კი სულაც პრეზიდენტ რონალდ რეიგანს დაესხა თავს სატრფოზე შთაბეჭდილების მოსახდენად.

„არა, ტურნირის მიმდინარეობის დროს არ მეშინია, რადგან დაცვა და უსაფრთხოება ყველგან მაღალ დონეზეა. მისი ახლოს ყოფნის პერსპექტივა სასიამოვნო სულაც არ არის, თავიდან შეწუხებული იმით ვიყავი, შინ არ დამხვდეს-მეთქი“ — თქვა ჩოგბურთელმა.

ჯერჯერობით, ჰინგისს კორტსგარეთაც შესანიშნავად აქვს მოგვარებული ეს პრობლემა, ის „ტამპა ბეი ლაითნინგის“ ჰოკეისტ, ჩეხ პაველ კუბინას ხვდება: „პირადი მცველის აყვანაზე არ მიფიქრია და ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ, სანამ ირგვლივ პაველისთანა ბიჭები მეყოლება.“

„პაველისთანა ბიჭები“ კი მარტინას არასოდეს ელევა. მისი ყოფილი ბოიფრენდები — ჯასტინ გიმელსტობი, ხულიან ალონსო და ივო ჰოიბერგერი (ყველა ჩოგბურთელია) სიმაღლეში ორ მეტრს ბევრით არ ჩამოუვარდებიან.



სერენა უილიამსი

უილიამსის კომპლექსი

ამელია აილენდი. აშშ.
BAUSCH&LOMB-ის ჩემპიონატი.
მწვანე თიხნარი.
საპრიზო | მილიონი $

სერენა უილიამსს რომ ღირსეულად წაგება არ ეხერხება, ჩოგბურთის სამყაროში ყველას კარგად მოეხსენება. 1998 წლის უიმბლდონზე ჰერკულესის დედაკაცურ ვარიანტს სულ ცოტა უკლდა მარცხს, როდესაც ტრავმა მოიმიზეზა და თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. გგონიათ, მომდევნო დღეები მოთამაშემ ექიმის კაბინეტში გაატარა? სულაც არა, იმავე უიმბლდონზე შერეულ წყვილებში ჩემპიონი გახდა.

წლეულს, თებერვალში პარიზის პირველობის ფინალში ვეტერანმა ნატალი ტოზიამ სერენა აშკარად დაჩაგრა. ამ უკანასკნელმა თავის გასამართლებლად მუხლის ტრავმა გამოიგონა და როლში ისე შევიდა, ნიანგის ცრემლებიც კი აღვარღვარა. რა მოხდა შემდეგ? სამ დღეში უილიამსს „სასწაულებრივ“ მოურჩა „მტკივანი“ ფეხი და გერმანიაში ტურნირიც მოიგო.

მამის, რიჩარდ უილიამსის შთაგონებულმა მარცხის კომპლექსმა თუ უბრალოდ შიშმა, ამჯერად ამელია აილენდის პრესტიჟულ ტურნირზე იჩინა თავი.

მეორე წრეში (პირველი წრიდან 8 განთესილი თავისუფალი იყო) სერენას მოულოდნელად არგენტინელი პაოლა სუარესი გაუძალიანდა. სამხრეთამერიკელმა ჩოგბურთელმა პირველ სეტში იმარჯვა, მეორე კი მხოლოდ დიდი ბრძოლის შემდეგ დათმო.

უმცროსი უილიამსი გადამწყვეტ ხელში თავიდან დაწინაურდა, მაგრამ მერე ზედიზედ 5 გეიმი წააგო და კატასტროფის პირას აღმოჩნდა — 3:6, 6:4, 2:5.

სწორედ ამ მომენტში სერენამ აღმოაჩინა, რომ მუხლის მსუბუქი ტრავმა, რომელიც მანამდე ოდნავ აწუხება, უკვე აუტანელ ტკივილს აყენებდა და მთავარ მსაჯს აუწყა, თამაშის გაგრძელება აღარ შემიძლიაო.

„100 პროცენტით ჯანმრთელად არ ვგრძნობდი თავს. მთელი მატჩის მანძილზე მოძრაობა მიჭირდა და ამის გაძლება უკვე შეუძლებელი გახდა. მოწოდების დროს ფეხი ძალიან მტკიოდა. სუარესი ხელრიანი მოთამაშეა, მაგრამ ცოტა უკეთ რომ ვყოფილიყავი, შეხვედრა სულ სხვაგვარად დასრულდებოდა“ — განაცხადა თავის გასამართლებლად უილიამსმა.

მეტოქის მიერ თეთრი ბაირაღის უდროო დროს გადმოფენამ კლასიფიკაციით 62-ე სუარესის სიხარულს ვერაფერი დააკლო, მან საუკეთესო ათეულის წარმომადგენელს კარიერაში პირველად მოუგო: „თიხნარზე ადრეც არ მქონია ურიგო შედეგები, მაგრამ ეს გამარჯვება მაინც განსაკუთრებულია. ბედნიერად ვგრძნობ თავს, თუმც არ ველოდი, თუ სერენა ასეთ მომენტში დაანებებდა თავს თამაშს.“

პირველი წრე: რიტა გრანდე (იტალია) — ემი ფრეზერი (9, აშშ) 6:2, 6:7 (₾:7), 7:6 (7:5); ამანდა კუტცერი (10, სამხრეთ აფრიკა) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:0, 6:4; აი სუგიამა (11, იაპონია) — ირინა სპირლეა (რუმინეთი) 6:3, 5:7, 6:3; ელენა ლიხოვცევა (12, რუსეთი) — ჯოანეტ კრუგერი (სამხრეთ აფრიკა) 7:6 (9:7), 6:2; ასა კარლსონი (შვედეთი) — რუქსანდრა დრაგომირი (13, რუმინეთი) 4:6, 6:4, 7:5; ენ კრემერი (ლუქსემბურგი) — მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) 6:1, 6:3; პატი შნიდერი (შვეიცარია) — ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) 7:5, 4:6, 6:2; ელენა დოკიჩი (ავსტრალია) — ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) 6:4, 6:3; ანა სმაშნოვა (ისრაელი) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:3, 6:1.

ავთანდილ სვანიძე

მიხაელ შუმახერი უკვდავთა სიაშია

იმოლას იუბილარები

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

კვირას იმოლას ავტოდრომზე, სან მარინოს დიდი პრიზის გათამაშებისას, ერთბაშად რამდენიმე „მრგვალი“ შედეგი დაფიქსირდა.

ევროპის ამ ერთ-ერთი ჯუჯა სახელმწიფოს სახელობის მეოცე რბოლა საიუბილეო, მე-100 გახდა ორი პილოტისთვის. ასეთ სიატიო შედეგს, რაც მძღოლის სტაბილურობაზე მეტყველებს, 34 წლის ირლანდიელმა ედი ირვინმა (იაგუარი) და მასზე ორი წლით უმცროსმა, გერმანელმა ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმა (ჯორდანი) მიაღწიეს. თუმცა ზეიმი სათანადოდ, ანუ თუნდაც თითო ქულის მოპოვებით, ვერც ერთმა ვერ აღნიშნა. მეორე ადგილზე გასულ მიკა ჰაკინენისთვის კი იმ 6 ქულას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რაკი ამით ზუსტად 300 შეუსრულდა. ყველაზე გამორჩეული, ცხადია, მიხაელ შუმახერის მიღწევა გახლდათ. წლევანდელ სეზონში ზედიზედ მესამე ეტაპის მოგებით, ორგზის ჩემპიონმა კარიერაში 600 ქულა დაგროვა. მანამდე, ანუ „სმეფო რბოლების“ ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში, ამ ფანტასტიკური ზღურბლის გადაბიჯება სულ ორად-ორმა პილოტმა შეძლო. სხვებისთვის ოცნებაშიც კი მიუღწეველი ზემონაგარიდან შუმიმ 380 ქულა სხვადასხვა ქვეყნის 38 დიდი პრიზის მოგებით დაიმახურა, შესაბამისად 132 და 56 — მეორე და მესამე ადგილებისთვის, ხოლო დანარჩენი 32 IV-VI ჩასათვლელმა ადგილებმა მოუტანა. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ გერმანელი მრბოლი 131 ეტაპიდან 74-ის შემდეგ პოდიუმზე იდგა, რაც 56,5 პროცენტს შეადგენს და ლამის ყველა დროის საუკეთესო შედეგია. უმაღლესი მაჩვენებელი კი ფორმულის ყველაზე ტიტულოვან, ხუთგზის ჩემპიონ ხუან მანუელ ფანხიოს აქვს — 70,6 %. მას შემდეგ 42 წელი გავიდა, ლეგენდარული არგენტინელის მიღწევა კი დღესაც ხელშეუხებელია.

შუმახერმა პირველი ქულა, უფრო ზუსტად ორი (მეხუთე ადგილისთვის), თავის მეორე რბოლაში, 1991 წელს „მონაკოზე“ მოიპოვა „ბენეტონის“ შემადგენლობაში. საინტერესოა, რომ ის 600 ქულა თანაბრად ნაწილდება იმ ორ გუნდზე, რომელთა ღირსებასაც მიხაელი იცავდა — 303 „ბენეტონს“, 297 „ფერარის“. სტატისტიკის მოყვარულებს კი იმასაც შევახსენებთ, რომ შუმიმ პირველი და ამასთან ერთადერთი რბოლა ედი ჯორდანის ბოლიდით ჩაატარა.

და კიდევ: რაც შეეხება საშუალოდ ეტაპზე დაგროვილ ქულებს, შუმახერს აქაც მეორე მაჩვენებელი აქვს — 4,6. საუკეთესო კი ამ მხრივაც ფანხიოა 5,4 ქულით.

შუმახერის ფონზე ჰაკინენის მიღწევა მართალია, ბევრად უფრო მოკრძალებულია, მაგრამ თქმა არ უნდა, ისიც უმაღლესი სიხვისაა. ფინელი ორგზის ჩემპიონი მე-11 პილოტი გახდა, ვისაც კი სამასიანელთა კლუბის კარი შეუღია.

შუმახერიცა და ჰაკინენიც ჯერ 31 წლისანი არიან, ასე რომ საპენსიო ასაკამდე ბევრი უკლიათ და იმედია, საკუთარ რეკორდებს უფრო გაუმჯობესებენ. თუმცა, ორიოდე კვირის წინ მიხაელმა გაკვრით აღნიშნა, არაა გამორიცხული, მიმდინარე სეზონის შემდეგ კარიერა დავასრულოო. მას სურს, მეტი ყურადღება დაუთმოს ჟენევის ტბისპირა სასახლეში სანახევროდ მიტოვებულ ცოლ-შვილს, მაგრამ შუმის მილიონობით იტალიელ და გერმანელ ფანს ამის გაგონებაც კი არ სურს. დაბოლოს, ფორმულის ისტორიაში სულ 25 პილოტია, ვისაც 200-ზე მეტი ქულა დაუგროვებია. ახლა სწორედ ამ სიას გთავაზობთ (მეორე გრაფაში მოცემულია რბოლების რაოდენობა, მესამეში — საშუალო შედეგიანობა).

ირაკლი ნიკოლაძე

1.	ალენ პროსტი	საფრანგეთი	798,5	199	4,0
2.	აირტონ სენა	ბრაზილია	614	161	3,8
3.	მიხაელ შუმახერი	გერმანია	600	131	4,6
4.	ნელსონ პიკე	ბრაზილია	485,5	204	2,4
5.	ნაიჯელ მენსელი	ბრიტანეთი	482	187	2,6
6.	ნიკი ლაუდა	ავსტრია	420,5	171	2,5
7.	გერჰარდ ბერგერი	ავსტრია	385	210	1,8
8.	ჯეკი სტიუარტი	ბრიტანეთი	360	99	3,6
9.	დეიმონ ჰილი	ბრიტანეთი	360	115	3,1
10.	კარლოს რუტმანი	არგენტინა	310	146	2,1
11.	მიკა ჰაკინენი	ფინეთი	300	131	2,3
12.	გრეჰემ ჰილი	ბრიტანეთი	289	176	1,6
13.	ემერსონ ფიტიპალდი	ბრაზილია	281	144	1,9
14.	რიკარდო პატრეზე	იტალია	281	256	1,1
15.	ხუან მანუელ ფანხიო	არგენტინა	277,5	51	5,4
16.	ჯიმ კლარკი	ბრიტანეთი	274	72	3,8
17.	ჯეკ ბრებემი	ავსტრალია	261	126	2,1
18.	ჯოდი შექტერი	ს. აფრიკა	255	112	2,3
19.	დენის ჰალმი	ახალი ზელანდია	248	112	2,2
20.	ჟან ალეზი	საფრანგეთი	236	170	1,4
21.	ჟაკ ლეფიტი	საფრანგეთი	228	176	1,3
22.	დევიდ კულჰარდი	ბრიტანეთი	225	93	2,4
23.	კლეი რეგაცონი	შვეიცარია	212	132	1,6
24.	ალან ჯოუნსი	ავსტრალია	206	116	1,8
25.	რონი პეტერსონი	შვედეთი	206	123	1,7

ვინ ვის?

თექვსმეტეული საქმეს შეუდგა

12 აპრილს სამი თამაშით დაიწყო სეზონის მთავარი მოვლენა — ამიერიდან 300-ზე მეტი მოთამაშე და 16 გუნდი ყველაფერს გაკეთებს იმისთვის, რომ სანუკვარ მიზანს მიაღწიოს, დაეუფლოს სტენლის თასს. გამარჯვებულის ვინაობას ორი თვის შემდეგ შევიტყობთ. ერთი რამ ცხადია, წლეულს უაღრესად საინტერესო მოვლენების მოწმენი გავხდებით, ვინაიდან პლეი ოფში დაახლოებით შვიდი-რვა თანაბარი შესაძლებლობების გუნდი იბრძვის თასის მოსაპოვებლად.

აღმოსავლეთი

ფილადელფია (1) — ბუფალო (8)
1999-2000:+3=0-1

ეს გუნდები ბოლო ხუთ სეზონში პლეი ოფში სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ფილადელფიამ ოთხიდან სამი მოიგო (4:1, 4:1 და 1:4), წლეულს ბოლო მატჩი 12 თებერვალს გაიმართა, მას შემდეგ კი ბუფალო ძალიან შეიცვალა, დუგ გილმორისა და კრის გრეტონის შეძენის შემდეგ გაცილებით მრისხანე გ[illegible], ხოლო დომინიკ ჰაშეკი კვლავ საუკეთესო ფორმაშია. ბუფალოს მთავარი უპირატესობაც ეს არის: მას ჰყავს საპლეიოფო გამოცდილების მეკარე, ურომლისოდაც გუნდის ბოლოდროინდელი წინსვლა წარმოუდგენელია, ხოლო „მფრინავებს“ ჯერაც ვერ გადაუწყვეტიათ, უაღრესად ნიჭიერ, მაგრამ სავსებით გამოუცდელ ბრაიან ბუშეს ენდნონ, თუ ვეტერანი ჯონ ვანბისბრუკი დააყენონ კარში, რომელმაც შარშან პლეი ოფში არცთუ დამაჯერებლად ითამაშა.

ფილადელფიას კვლავ არ ეყოლება ერიკ ლინდროსი. ვნახოთ, შეძლებს თუ არა კეიტ პრიმო ამ პირობებში გუნდს მებრძოლი სული შეუნარჩუნოს. ბუფალოელებს კი ტრავმირებული მაიკ ჰეკა დაუბრუნდათ.

პროგნოზი: ბუფალო 4:2 მოიგებს.

ვაშინგტონი (2) — პიტსბურგი (7)
1999-2000:+1=0-3

ბოლო ხუთ სეზონში პლეი ოფში ორივე სერია პიტსბურგმა მოიგო (4:3, 4:2). მართალია, ვაშინგტონი სეზონის მეორე ნახევარში საუცხოოდ ასპარეზობდა, თანაბარძალოვანი შემადგენლობითაც ბევრი ვერ შეედრებოდა, მაგრამ ფიქრობენ, რომ პიტსბურგი არ არის ის გუნდი, რომელიც ვაშინგტონისთვის ყველაზე სასურველ მეტოქედ შეიძლება ჩაითვალოს. „პინგვინებს“ ბევრი ისეთი ოსტატი ჰყავს, უპირველესად იარომირ იაგრი, ვისაც შეუძლია მობილური და საიმედო ვაშინგტონის დაცვის ძლევა. თუ ვაშინგტონს სურს, არასასიამოვნო ტრადიცია დაირღვევს, მაშინ მას ორი რამ მართებს: სანამ იაგრი ტრავმის შემდეგ ჯერ კიდევ არ არის სასურველ ფორმაში, სერია მაქსიმალურად სწრაფად უნდა დასრულოს, თანაც რაც შეიძლება შედეგიანი უნდა იყოს, რადგან დახურულ თამაშში პიტსბურგს 2-3 გოლის გატანა მაინც შეუძლია.

სერიის ბედი ბევრად არის დამოკიდებული იაგრისა და ვაშინგტონის მეკარის, ოლაფ კოლიგიის დაპირისპირებაზე, ხოლო დედაქალაქელთა კიდევ ერთი კოზირი ოდესღაც პოლიციელისგან ჩინებულ ძალისმიერ ფორვარდად ქცეული კრის საიმონი გახლავთ.

პროგნოზი: ვაშინგტონი 4:3 მოიგებს.

ტორონტო (3) — ოტავა (6)
1999-2000:+1=1-3

პლეი ოფში ერთმანეთს პირველად ხვდებიან. რეგულარულ ჩემპიონატში კი ლამის ყველა თამაშში ოტავა ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობდა, თანაც დაცვითი თამაშის მოყვარულ „სენატორებს“ სულაც არ უძნელდებოდათ შემტევი ტორონტოს იერიშების მოგერიება. რადგან ბონკი იოლად უმკლავდებოდა მათს სუნდინს (3 პასი 5 თამაშში), ამასთანავე ოტაველთა დაცვა გაცილებით გაუვალი და საიმედოა, ვიდრე მეტოქის. ტორონტოს თავის მხრივ უძლიერესი კოზირი აქვს — კერტის ჯოზეფი, სეზონის საუკეთესო მეკარე, რომელსაც მარტოს შეუძლია მეტოქეთა ძლევა, რაც მან ბოლო წლების პლეი ოფში არაერთხელ დაამტკიცა. ჯოზეფს საქმეს ისიც გაუიოლებს, რომ ოტავა არ არის ის გუნდი, რომლის ფორვარდებიც აქტიურად მიდიან დამატებაზე და მაქსიმალურად ავიწროებენ მეკარეს. მეორეს მხრივ, გაურკვეველია, როგორ ფორმაშია ამჟამად ოტაველთა გოლკიპერი ტომ ბარასო, რომელიც პიტსბურგიდან გადასვლის შემდეგ უფრო მკურნალობდა, ვიდრე თამაშობდა. ნებისმიერ შემთხვევაში ორი სრულიად განსხვავებული სტილის მქონე გუნდის ორთაბრძოლა საინტერესო იქნება.

პროგნოზი: ტორონტო 4:3 მოიგებს.

ნიუ ჯერსი (4) — ფლორიდა (5)
1999-2000:+3=0-1

პირველად ხვდებიან პლეი ოფში.

ბოლო წლების უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად ნიუ ჯერსი („ეშმაკებმა“ ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვეს კონფერენციაში და თასის პირველივე რაუნდიდან გამოვარდნენ) უკეთეს შესაძლებლობას და მეტოქეს ვერც ინატრებდნენ. ფლორიდის ბედი ხომ მხოლოდ ერთადერთ მოთამაშეზე, პაველ ბურეზეა დამოკიდებული. ის კი, რაოდენ ბრწყინვალე სნაიპერიც არ უნდა იყოს, იაგრზე სახიფათო როდია. ბურე დამაგვირგვინებელია და არა შემქმნელი და, თუ ნიუ ჯერსი გადაწყვეტს ბურეს პრობლემას (პაველის და ნიუჯერსელი სკოტ სტივენსის ორთაბრძოლა მთელ სერიას გამოაცოცხლებს), მის წინაშე აღმონდება გუნდი, რომელსაც კიდევ სამი-ოთხი მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი გამტანი ჰყავს მაშინ, როცა თავად სამი შედეგიანი სამეულის და ჩინებული „ჩეხური“ ხაზის პატრონია. გარდა ამისა, ნიუ ჯერსი ძალიან კარგად იყენებს რიცხვრავლობას, ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მეორე თამაშში ყინულს დაუბრუნდება სკოტ ნიდერმაიერი, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ სერიაში ბევრი შეხლა-შემოხლა და გაძვება იქნება. ასე რომ, „ეშმაკებს“ რიცხვმრავლობის გამოყენების საშუალება ხშირად მიეცემათ. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნიუ ჯერსიმ სეზონი ცუდად დასრულა, რასაც თავკაცი, რობი ფტორეკი შეეწირა, მისმა შემცვლელმა ლარი რობსონმა კი გუნდის თამაში ბევრად ვერ გააუმჯობესა.

პროგნოზი: ნიუ ჯერსი 4:2 მოიგებს.

დასავლეთი

სენტ ლუისი (1) — სან ხოსე (2)
1999-2000:+4=1-0

პლეი ოფში პირველად ხვდებიან.

ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეძლებს სან ხოსე სენტ ლუისის დაცვის ძლევას. „ზვიგენები“ ალბათ უნდა ეცადნონ, კრის პრონგერი და მისი პარტნიორები რაც შეიძლება ხშირად დაჯარიმდნენ, ხოლო საკუთარ ზონაში შეცდომები მინიმუმამდე შეამცირონ, რადგან სენტ ლუისი ამას არ აპატიებს. და თუ „ბლუზმენები“ დაწინაურდნენ, თამაშში გარდატეხის შეტანა თითქმის შეუძლებელია. ამასთანავე სან ხოსეს მეკარე სტივ შილდსმაც მთლიანად უნდა გამოამჟღავნოს თავისი შესაძლებლობები, რადგან მათი არცთუ მარჯვე დაცვა მეტოქის გუნდის ზეწოლას ნამდვილად ვერ გაუძლებს. სან ხოსეს საქმეს ისიც ურთულებს, რომ ტრავმირებული პაველ დემიტრა და სკოტ იანგი არ ეყოლება, რაც „ბლუზმენების“ რიცხვმრავლობაში თამაშს ეფექტურს გახდის.

პროგნოზი: სენტ ლუისი 4:1 მოიგებს

დალასი (2) — ედმონტონი (7)
1999-2000:+3=1-0

ბოლო ხუთ პლეი ოფში სამჯერ შეხვდნენ (3:4, 4:1 და 4:0)

პლეი ოფი ამ გუნდების პაექრობის გარეშე უკვე წარმოუდგენელია. ახლავე შეგვიძლია, ძალისმიერი, მძიმე ორთაბრძოლა ვიწინასწარმეტყველოთ, რომელშიც გამარჯვებულის უპირატესობა მინიმალური იქნება. ისე, ბოლო ხანს დალასის წარმატებებს „ვარსკვლავთა“ დაბალანსებული შემადგენლობა განაპირობებს. ჩემპიონს წლეულს არ ულხინდა, მაგრამ როგორც კი ტრავმების ეპიდემია ჩაცხრა, გუნდი ძველებურად ათამაშდა. საპლეიოფოდ მას ლამის ყველა დაშავებული ჰოკეისტი, მათ შორის იურე ლეჰტინენიც, დაუბრუნდა, ასე რომ, დალასი სათასო ბატალიებს მთელი ძალით შეხვდა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ედმონტონს აღარ ჰყავს ჩინებული კერტის ჯოზეფი, რომლის ძალისხმევითაც „ოილერსმა“ სენსაციურად მოუგო „ვარსკვლავებს“ 1997 წელს. ახლა ერთმანეთს ორი განსხვავებული სათამაშო სტილი დაეჯახება — ლაღად, გახსნილად თამაშის (ედმონტონელთა) და მეტოქის შეცდომაზე გამოჭერის (დალასელთა) ტაქტიკა. უთუოდ ანგარიშგასაწევია დალასის რიცხვმრავლობის ბრიგადა, რომელიც სერგეი ზუბოვის დაბრუნების შემდეგ კიდევ უფრო მრისხანე გახდება.

პროგნოზი: დალასი 4:1 მოიგებს.

კოლორადო (3) — ფინიქსი (6)
1999-2000:+2=0-2

პლეი ოფში ერთმანეთს პირველად ხვდებიან.

სეზონის დასაწყისში ფინიქსი კოლორადოზე მძლავრად გამოიყურებოდა და ორივე შეხვედრა მოუგო, მაგრამ მერე როლები შეიცვალა და ახლა საქმეს ისეთი პირი უჭირს, რომ „კოიოტები“ მეტოქეს ვერ გაუმკლავდებიან. რეი ბურკისა და დეივ ანდრეიჩუკის შეძენამ კოლორადო სრულიად გარდაქმნა. დიდებული — სხვა სიტყვას ვერ უწოდებ „ეველანშის“ თავდასხმას, რომელშიც გამოცდილ ჯო საკიკს ახალგაზრდები, ჰეიდუკი, დრური და ტანგეიც უბამენ მხარს. თვით პეტერ ფორსბერგის არყოფნამაც კი ვერ დაატყო კვალი გუნდს. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ არც ფინიქსს ეყოლება თავისი ლიდერი კეიტ ტკაჩუკი. თუ ესეც არ კმარა კოლორადოს უპირატესობის დასამტკიცებლად, მეკარეები შეადარეთ: პატრიკ რუა თავისი 110 საპლეიოფო მოგებით და მისი ფინიქსელი კოლეგა შონ ბურკი, რომელსაც კარგა ხანია, პლეი ოფში არ უასპარეზია. ცნობისთვის: ფინიქსი 1987 წლის შემდეგ პლეი ოფის პირველ რაუნდს არ გასცდენია.

პროგნოზი: 4:2 კოლორადოს სასარგებლოდ.

დეტროიტი (4) — ლოს ანჯელესი (5)
1999-2000:+2=1-2

პლეი ოფში პირველად ხვდებიან.

აქ შედეგის გამოცნობა არც ისე ძნელია. თავად გასაჯეთ, მდიდარი საპლეიოფო გამოცდილების ჭქონე გუნდი ხვდება ისეთს, რომელსაც ბოლო ექვს სეზონში თასზე მხოლოდ ერთხელ უასპარეზია (ლოს ანჯელესმა მაშინაც პირველივე რაუნდში წააგო სენტ ლუისთან 0:4 და ბრძოლას გამოეთიშა). დეტროიტის სახელოვან თავკაცს, სკოტი ბოუმენს, რომლისთვისაც ეს 28-ე სეზონია ლიგაში (აქედან 8 საჩემპიონო) ენდი მიურეი ეწინააღმდეგება, კაცი, რომელიც ჯერ კიდევ შარშან კოლეჯის გუნდს წვრთნიდა. ბოლოს და ბოლოს დეტროიტის უკლებლივ ყველა ფორვარდი სახიფათოა და თამაშში გარდატეხის შეტანა შეუძლია მაშინ, როცა ბრაიან სმოლინსკის და ნელსონ ემერსონის არყოფნაში „მეფეებს“ იოზეფ შტუმპელის სამეულის და გლენ მიურეის იმედი აქვს. და კიდევ: მეტოქის ზონაში შეღწევა დეტროიტზე უკეთ არავის შეუძლია. საინტერესოა, ლოს ანჯელესის არცთუ მარჯვე დაცვა როგორ გაუმკლავდება ტომას ჰოლმსტრიომს, ბრენდან შენაჰანსა და სხვა ფორვარდებს, რომელთაც კარის სიახლოვეს ბრძოლაში ბადალი არ ჰყავთ.

პროგნოზი: 4:1 დეტროიტის სასარგებლოდ.

საბველ ღარიბიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS მონაკოდან

მონაკო — ნანტი 0:1. გულის ოპერაციის შემდეგ მონაკოს პრინცი რაინერი პირველად წავიდა სტადიონზე

გერმანია

XXIX ტური

არმინია 3:0 ჰამბურგი
1:0 ლაბადია (7), 2:0 შტრატოსი (66პ), 3:0 გიოქთანი (70)

მიუნხენი 4:1 დუისბურგი
1:0 მაქსი (3), 2:0 აგოსტინო (29), 3:0 მაქსი (42), 4:0 აგოსტინო (81), 4:1 ტიოფტინგი (84)

აინტრახტი 1:0 ვერდერი
1:0 ჰელდტი (70პ)

ფრაიბურგი 1:2 ბაიერნი
1:0 კობიაშვილი (11), 1:1 იანკერი (23), 1:2 შოლი (87პ)

ჰანზა 1:1 ლევერკუზენი
1:0 ბრაიტკროიცი (44), 1:1 ბ.შნაიდერი (66)

ინგლისი

გადადებული მატჩები

ჩელსი 2:1 ქოვენთრი
0:1 მაკალისტერი (17), 1:1 ჰენდრი (53ს.კ.), 2:1 ძოლა (56)

ვესტ ჰემი 2:1 ნიუკასლი
0:1 სპიდი (47), 1:1, 1:2 ვანჩოპე (60, 89)

უიმბლდონი 0:2 უენსდი
0:1 დებილდე (39), 0:2 სიბონი (87)

საფრანგეთი

თასის ნახევარფინალი

მონაკო 0:1 ნანტი

კალაისი 3:1დ.დ. (0:0) ბორდო

ჰოლანდია

თასის ნახევარფინალი

ვიტესი 0:1დ.დ. (0:0) როდა

შოტლანდია

გადადებული მატჩი

კილმარნოკი 1:0 აბერდინი
1:0 რაიტი (24)

ჰარტსი 1:2 რეინჯერსი
0:1 მაკსვიგანი (12), 1:1 უოლესი (44), 1:2 დოდსი (64)

იტალია

თასის ფინალი

ლაციო 2:1 ინტერი

ესპანეთი

თასის ნახევარფინალი

ატლეტიკო 3:0 ბარსელონა

რეალი 0:0 ესპანიოლი

პორტუგალია

თასის ნახევარფინალი

მორეირენსე 0:1 სპორტინგი

პორტუ 3:0 რიუ ავე

ბელგია

თასის ნახევარფინალი

გენკი 0:0 სენტ ტრუიდენი

ჩეხეთი

თასის მეოთხედფინალი

სიგმა 2:1დ.დ. (1:1) ვიკტორია

ლიბერეცი 2:0 სლავია

ვიტკოვიცე 0:0 (პენ.3:2) იაბლონეცი

პლზენი (II) 1:2 ბანიკი (II)

საბერძნეთი

27-ე ტური. აპოლონი — პანიონიოსი 2:1; ოლიმპიაკოსი — ირაკლისი 1:0; იონიკოსი — ეთნიკოსი 3:0; ტრიკალა — პანაპაიკი 0:1; აეკ — ქანთი 4:1; პაოკ — ოფი 2:2; არისი — პანათინაიკოსი 0:2

დანია

თასის მეოთხედფინალი

ორჰუსი 0:1 ბრიონდბიუ

ესბიერგი 1:2 ოლბორგი

კოპენჰ. 1:1დ.დ. (1:1, პენ.4:5) აკადემისკი

ლიუნგბიუ 2:3დ.დ. (1:1) ვიბორგი

რუსეთი

თასის მეოთხედფინალი

ურალანი 1:0 დინამო

შვეიცარია

თასის მეოთხედფინალი

ლუცერნი 3:2 სერვეტი

ლოზანა 3:2 ბაზელი

ცნობის ფურცელი...

საპრიპეტრე სამყაროში გათქვეფილ ქვეყნებს ახლა ერთი სალაპარაკო აქვთ — სამხრეთაფრიკელ მოკრიკეტეთა უნამუსო საქციელი. ნაკრების კაპიტანმა ჰანრი გრონიემ დელის პოლიციაში დაკითხვაზე უკვე აღიარა, რომ მან და მისმა სამმა თანაგუნდელმა ფული აიღეს და მეტოქეს მოაგებინეს. აღიძრა საქმე ერთდროულად სამი ბრალდებით. ჭეშმარიტად, მიცემაზე „სროკია“.

დავლევ, აბა, რას ვიზამ!

სხვა რა დარჩენია მოჰან სინგხს — თავის დროზე ერთი ჩვეულებრივი ფიჯელი კაცი იყო, მაგრამ მერე ამერიკაში გადაბარგდა და, რაც მთავარია, ბიჭი გამოზარდა ისეთი, გოლფის ტურნირებს წამდაუწუმ რომ იგებს. ახლაც მოჰანი ახალზელანდიური „აუგუსტა ნეიშნლის“ დამთავრებას და ვაუის, ვიჯაის გამარჯვებას შამპანურით აღნიშნავს.

გასწი, კამეჩო

პნომპენში და, საერთოდ, მთელს კამბოჯაში დღეს ახალი წელია, რასაც გულითადად ვულოცავთ მთელ კამბოჯელ ხალხს და განსაკუთრებით 50 წლის ჩეი ჩორნს, ვინც კამეჩებით რბოლის ახალწლისწინა ტურნირი მოიგო. „სარბიელს“ რა გამოეპარება და, ბარემ გეტყვით, რომ მარცხენა კამეჩს პერლი ჰქვია, მარჯვენას კი — კლარი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი პასტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აბულედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli